



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

მონეტარული ეკონომიკა

სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

ტომი 1, N3, 2025

ნათია თურნავა

საქართველოს 2026-2028 წლების
ფულად-საკრედიტო და სავალუტო
პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების
შესახებ

მარიამ თანიაშვილი, აკაკი მოსახლიშვილი,
მარიამ ჭანტურია

ოპტიმალური მონეტარული პოლიტიკა
მიწოდების შოკების ფონზე

ნანა ასლამაზიშვილი

დაბატობი მთლიანი შიდა პროდუქტის
(მშპ-ის) შესახებ და ეროვნული ანგარიშების
განახლებული სისტემა (2025 SNA)

დავით უტიაშვილი

შინამეურნეობების ფორმალური და
არაფორმალური შემოსავლების შეფასება
საქართველოში

ელენე ღვინიაშვილი, ალექსანდრე ერგეშიძე
საზღადახადველო "BOTTOM-UP" სტრატეგია
ტესტი, როგორც საბანკო სექტორის შოკების
მიმართ მდგრადობის ანალიზის
ინსტრუმენტი



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

მონეტარული ეკონომიკა

სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

ტომი 1, N3, 2025

სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
„მონეტარული ეკონომიკა“

მთავარი რედაქტორი
მერაბ კაკულია

სარედაქციო კოლეგია
ვლადიმერ პაპავა
დევიდ ვაჟრა
თეიმურაზ ხომერიკი
თამთა სოფრომაძე
დავით უტიაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია
საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველო, თბილისი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1
ელ-ფოსტა: monetaryeconomics@nbg.gov.ge

პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორებს
და არ წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ პოზიციას.

ISSN 3088-4187

შინაარსი

ნათია თურნავა

**საქართველოს 2026-2028 წლების ფულად-საკრედიტო
და სავალუთო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების
შესახებ**

6

მარიამ თანიაშვილი, აკაკი მოსახლიშვილი, მარიამ ჭანტურია

**ოპტიმალური მონეტარული პოლიტიკა მიწოდების
შოკების ფონზე**

10

ნანა ასლამაზიშვილი

**დებატები მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის)
შესახებ და ეროვნული ანგარიშების განახლებული
სისტემა (2025 SNA)**

31

დავით უტიაშვილი

**შინამეურნეობების ფორმალური და არაფორმალური
შემოსავლების შეფასება საქართველოში**

48

ელენე ღვინიაშვილი, ალექსანდრე ერგეშიძე

**საზედამხედველო "BOTTOM-UP" სტრუქტურის ტესტი, როგორც
საბანკო სექტორის შოკების მიმართ მდგრადობის
ანალიზის ინსტრუმენტი**

67

საქართველოს 2026-2028 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ¹

ნათია თურნავა

საქართველოს მომავალი სამი წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში, რომელიც პარლამენტს წარედგინა, ასახულია ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის დონე, მის მისაღწევად გამოყენებული მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები და არსებული მაკროეკონომიკური გარემო და რისკები.

ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმში ახორციელებს, რომელიც გულისხმობს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის წინასწარ განსაზღვრას და მონეტარული პოლიტიკის გატარებას იმგვარად, რომ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელთან მაქსიმალურად ახლოს იყოს. ამასთან, მოკლევადიან პერიოდში შესაძლოა ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრა, რასაც ეგზოგენური (მონეტარული პოლიტიკისაგან დამოუკიდებელი), ერთჯერადი ფაქტორები განაპირობებს.

ეროვნული ბანკის შეფასებით, განვითარების მოცემულ ეტაპზე, ქვეყნისთვის ინფლაციის ოპტიმალური მიზნობრივი მაჩვენებელი 3%-ს შეადგენს. აღნიშნული დონე, ერთი მხრივ,

საკმარისად დაბალია და არ ახდენს ნეგატიურ გავლენას ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებებზე, ხოლო მეორე მხრივ – არც იმდენად დაბალია, რომ ეკონომიკური ზრდის პროცესი შეანელოს.

ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა, თავის მხრივ, დამოკიდებულია სხვადასხვა გრძელვადიან ეკონომიკურ ფაქტორსა და ეკონომიკის სტრუქტურულ მახასიათებლებზე. ცენტრალური ბანკები სამიზნე მაჩვენებლად, როგორც წესი, ინფლაციის დადებით დონეს ირჩევენ, ვინაიდან დეფლაცია ზრდის რეცესიის რისკებს და ეკონომიკური კეთილდღეობის დანაკარგს განაპირობებს. განვითარებულ ქვეყნებში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლები 1-2%-ის ფარგლებში მერყეობს, განვითარებად ქვეყნებში კი – 2-4%-ის დიაპაზონშია.

ინფლაციის თარგეთირების პირობებში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტის - მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის (რეფინანსირების განაკვეთის) – ცვლილებით მიიღწევა. რეფინანსირების განაკვეთისა და მისი სამომავლო ტრაექტორიის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება მაკროეკონომიკური გარემოს ანალიზის, ინფლაციის პროგნოზირების,

1. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, ნათია თურნავას, გამოსვლიდან საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე 2025 წლის 25 ნოემბერს.

ფინანსურ ბაზრებზე დაკვირვების, ინფლაციაზე მოქმედი მაკროეკონომიკური რისკებისა და ინფლაციის მოლოდინების შეფასების შედეგად მიიღება.

მნიშვნელოვანია, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე აისახოს. ამგვარად, საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ეფექტიანი მართვა, საოპერაციო თვალსაზრისით, ეროვნული ბანკის მთავარ ორიენტირს წარმოადგენს. ამისათვის ეროვნულ ბანკს აქვს მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო ჩარჩო, რომელიც ფულად-საპროდუქტო პოლიტიკის ინსტრუმენტებისგან შედგება.

მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო ჩარჩოს პირობებში, ეროვნული ბანკი იყენებს როგორც ლიკვიდობის მიწოდების, ისე ლიკვიდობის ამოღების ინსტრუმენტებს. ლიკვიდობის მიწოდების მთავარი ინსტრუმენტი რეფინანსირების სესხებია. ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორს შედარებით უფრო გრძელვადიან ლიკვიდურ სახსრებს ღია ბაზრის ერთიანი ინსტრუმენტის მეშვეობით აწვდის. დამატებით, მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების ეფექტიანი მართვისათვის ეროვნული ბანკი ასევე იყენებს მუდმივმოქმედ ინსტრუმენტებს – ერთდღიან სესხებს და ერთდღიან დეპოზიტებს. გარდა ამისა, ეროვნულ ბანკს გააჩნია ლიკვიდობის ამოღების ინსტრუმენტი – სადეპოზიტო სერტიფიკატები. აღნიშნული ინსტრუმენტებით ეროვნული ბანკი საფინანსო სისტემის ლიკვიდობაზე მოთხოვნასა და მიწოდებას ისე აბალანსებს, რომ საპროცენტო განაკვეთები მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან ახლოს ჩამოყალიბდეს, რაც, საბოლოო ჯამში მონეტარული პოლიტიკის გადაცემის სიძლიერეს განაპირობებს.

მონეტარული პოლიტიკის ძირითადი საოპერაციო ინსტრუმენტის – რეფინანსირების განაკვეთის – გამოყენებით გადადგმული თანმიმდევრული ნაბიჯები როგორც პოლიტიკის გამკაცრების, ისე ნორმალიზების მიმართუ-

ლებით, უზრუნველყოფს ქვეყანაში ფასების სტაბილურობას. კერძოდ, 2024 წელს ინფლაცია მიზნობრივ 3%-იან ნიშნულზე დაბალი იყო და საშუალოდ 1.1% შეადგინა. 2025 წლის იანვარ-ნოემბერში საშუალო ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელთან შედარებით ზომიერად, 3.9%-დე გაიზარდა, რაც გარკვეულწილად დაბალი საბაზო ეფექტითა და ეგზოგენური ფაქტორების გავლენით აიხსნება. გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების საზომები მოლოდინების სტაბილურობაზე მიუთითებს. ინფლაციის მაჩვენებელი სურსათის გამოკლებით და ამავდროულად შედარებით ხისტი ფასების ინდიკატორები, რომლებიც კარგად ასახავენ გრძელვადიან ინფლაციურ მოლოდინებს, მიზნობრივ დონესთან ახლოს რჩება. კერძოდ, ნოემბრის მდგომარეობით საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათაში მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლებისა და თამბაქოს ფასებს გამორიცხავს, 2.3% შეადგინა. მიზნობრივ დონესთან ახლოს, 2.6%-ის ფარგლებში, შენარჩუნდა აგრეთვე მომსახურების ინფლაცია.

მიუხედავად აღნიშნული ტენდენციებისა, შედარებით მოქნილი ფასების ინფლაციის (მეტწილად სურსათის) ხანგრძლივად მაღალ დონეზე შენარჩუნება საყურადღებოდ ტოვებს ინფლაციური მოლოდინების ზრდის რისკებს. ოქტომბერში ეროვნულმა ბანკმა განაახლა მაკროეკონომიკური პროგნოზი. მიმდინარე ცენტრალური სცენარით, ინფლაცია დროებით 3%-იან მაჩვენებელზე ზემოთ შენარჩუნდება. თუმცა საშუალოვადიან პერიოდში, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის, ერთობლივი მოთხოვნის ნორმალიზაციის და სურსათის ფასებიდან მომდინარე ინფლაციური ეფექტების მიღების შედეგად, ინფლაცია მიზნობრივი მაჩვენებლის გარშემო დასტაბილურდება.

იმის გათვალისწინებით, რომ არსებული რისკები ძირითადად მიწოდების ფაქტორებიდან მომდინარეობს და ცენტრალური ბანკები, ჩვეულებრივ, მათზე მხოლოდ იმ შემთხვევაში რეაგირებენ, თუ ისინი ინფლაციურ მოლო-

დინებში აისახება, ეროვნული ბანკი მაინც ფრთხილ მდგომარეობას ირჩევს. კონკრეტულად, გლობალურად არსებული რისკებიდან და შიდა მაკროეკონომიკური ტენდენციებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი, 2024 წლის მაისიდან უცვლელად ინარჩუნებს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს – 8.0%-ის დონეზე.

ამავდროულად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მაღალ ეკონომიკურ აქტივობას ქვეყანაში მეტწილად ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებები განაპირობებს. კერძოდ, წარმოების პოტენციალის გაუმჯობესება გარკვეულწილად ანეიტრალურებს ძლიერი ერთობლივი მოთხოვნის ფასებზე გავლენას. წინასწარი მონაცემებით 2025 წლის 10 თვის საშუალო ეკონომიკური ზრდა 7.6%-ს შეადგენს. ეროვნული ბანკის ცენტრალური პროგნოზის მიხედვით, ეკონომიკური ზრდა 2025 წელს 7.4% იქნება. შემდგომ წლებში რეალური აქტივობის ზრდის ტემპი განაგრძობს მის გრძელვადიან დონესთან ეტაპობრივ დაახლოებას.

ინფლაციის თარგეთირების პირობებში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთისა და მისი სამომავლო ტრაექტორიის შესახებ გადაწყვეტილება პროგნოზებზე დაყრდნობით მიიღება. იმის გამო, რომ ბოლო წლებში გაურკვევლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, პროგნოზიდან გადახრის რისკები მაღალია. შესაბამისად, 2025 წლის დასაწყისიდან ეროვნულმა ბანკმა დანერგა მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის ახალი, სცენარებზე დაფუძნებული მიდგომა, რომელმაც გადაწყვეტილებების მიღების პროცესი უფრო გამჭვირვალე გახადა და რისკების მართვა შესაძლო მაკროეკონომიკური სცენარების სისტემურ ანალიზს დაუკავშირა. კერძოდ, მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისას ეროვნული ბანკი რეაგირებს ისე, რომ იდენტიფიცირებადი რისკების რეალიზების შემთხვევაში ეკონომიკური დანაკარგები მინიმალური იყოს.

გეოპოლიტიკური დაძაბულობის ფონზე ეკონომიკური გაურკვევლობა გაიზარდა, ხოლო

ვითარება სწრაფად ცვალებადი გახდა. შესაბამისად, ყურადღების ცენტრშია ინფლაციაზე, როგორც ზრდის, ისე შემცირების მიმართულებით მოქმედი რისკები, როგორიცაა ენერგომატარებლებსა და სურსათზე ფასების, ასევე ტრანსპორტირების ღირებულებისა და რეგულირებადი ფასების ცვლილება, გლობალური ეკონომიკური ფრაგმენტაცია და სხვა. ამ რისკების გავლენის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, ოპტიმალურია მონეტარული პოლიტიკის შერბილების მიმართ ფრთხილი მდგომარეობის შენარჩუნება.

მაკროეკონომიკური რისკების გათვალისწინებით მომზადებული მიმდინარე ცენტრალური პროგნოზით, ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ნორმალიზებას მხოლოდ ზომიერი ბიჯებით განაგრძობს. საშუალოვადიან პერიოდში კი, ინფლაციური მოლოდინების ზრდის რისკების მიღების პარალელურად, პოლიტიკის განაკვეთი მისი ნეიტრალური დონის (მიმდინარე შეფასებით 7%-ის ფარგლებში) გარშემო დასტაბილურდება. აღსანიშნავია, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის მოსალოდნელი დინამიკა დიდწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ განვითარდება გლობალური ეკონომიკა და გეოპოლიტიკური პროცესები.

საერთაშორისო რეზერვები ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის და მის მიმართ ინვესტორთა ნდობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამიტომ ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა საერთაშორისო რეზერვების დაგროვებასა და მის ეფექტიან მართვაზეა ორიენტირებული. ამ მხრივ 2025 წელი გამორჩეული იყო. სავალუტო ბაზარზე არსებული ხელსაყრელი პირობებიდან გამომდინარე, 2025 წლის დასაწყისიდან ეროვნული ბანკი აქტიურად ახორციელებს რეზერვების შევსებას. მის მიერ განხორციელებულმა წმინდა შესყიდვებმა 2025 წლის იანვარ-ოქტომბერში 1.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. 2025 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, საერთაშორისო რეზერვების მოცულობა ისტორიულად რეკორდულ

ნიშნულს – 5.8 მლრდ აშშ დოლარს – აჭარბებს. ამასთან, მნიშვნელოვანია საერთაშორისო სარეზერვო აქტივების ეფექტიანი მართვა. ამ კონტექსტში, საერთაშორისო რეზერვებში მონეტარული ოქროს დამატება სტრატეგიული გადანაცვეტილებაა, რომელიც დაკავშირებულია გლობალურ ინფლაციურ რისკებთან და რეზერვების მსყიდველუნარიანობის დაცვასთან. საერთაშორისო ბაზარზე ოქროს ფასი მზარდია, რის გამოც, მისი შესყიდვის მომენტიდან მიმდინარე წლის ოქტომბრის მდგომარეობით, რეზერვები 461.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

მონეტარული პოლიტიკის ეკონომიკაზე გადაცემის გაძლიერებისთვის და ფინანსური სტაბილურობის გასამყარებლად ეროვნული ბანკი აქტიურად აგრძელებს ლარიზაციის ღონისძიებებს. ოქტომბრის მდგომარეობით, მთლიანი სესხების პორტფელის 58% ლარით არის დენომინირებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიზიკურ პირების სესხების ლარიზაციის მაღალი დონე. კერძოდ, ფიზიკური

პირების სესხების 76.9% ეროვნული ვალუტით არის გაცემული. ეროვნული ბანკი მუდმივად აანალიზებს დოლარიზაციის დინამიკას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებს, რაც არა მხოლოდ ცალკეული მსესხებლების სავალუტო და მასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკებს ამცირებს, არამედ ასევე ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. ფასების სტაბილურობის შენარჩუნებით ლარის მიმართ ნდობა იზრდება, რაზეც საბანკო სექტორის დეპოზიტების ლარიზაციის ტენდენცია მიუთითებს. სექტემბრის მდგომარეობით, მთლიანი დეპოზიტების 51.2% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

ეროვნულ ბანკს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა უზრუნველყოფს ფასების სტაბილურობას საშუალოვადიან პერიოდში. შესაბამისად, ის გაზრდის საქართველოს ეკონომიკის მდგრადობას პოტენციური შოკების მიმართ და ხელს შეუწყობს ეკონომიკის სტაბილურ და გრძელვადიან ზრდას.

ოპტიმალური მონეტარული პოლიტიკა მიწოდების შოკების ფონზე

მარიამ თანიაშვილი, აკაკი მოსახლიშვილი, მარიამ ჭანტურია

ანოტაცია

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის მექანე ცენტრალური ბანკების კომუნიკაცია, როგორც წესი, ფოკუსირებულია ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობის შენარჩუნებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მონეტარული პოლიტიკა ყველაზე ეფექტიანად მოთხოვნის მხარეს წარმოქმნილ ინფლაციურ წნეხს ანეიტრალებს, ბოლო პერიოდში ინფლაციის მთავარი გამომწვევი მიზეზები სულ უფრო მეტად უკავშირდება მიწოდების მხარეს, რომელიც მონეტარული პოლიტიკისგან დამოუკიდებელი ფაქტორებით ყალიბდება. მიწოდების შოკების დროს ცენტრალური ბანკისთვის ძირითადი გამოწვევა ისეთი რეაგირებაა, რომელიც მიწოდების შოკებს ინფლაციურ მოლოდინებში გადაზრდის საშუალებას არ მისცემს. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციური მოლოდინები ხშირად უფრო რაციონალურად მიიჩნეოდა, ბოლო ათწლეულების დინამიკა მიუთითებს, რომ მოლოდინები ნაწილობრივ ადაპტურია, რაც იმას გულისხმობს, რომ ნებისმიერი შოკი აძლიერებს მათი ზრდის რისკს. აღნიშნულის ფონზე მონეტარულმა პოლიტიკამ ფრთხილი პოზიცია უნდა შეინარჩუნოს.

საქართველოს გამოცდილებაზე დაყრდნობით, წარმოდგენილი ნაშრომი აღწერს მიწოდებისა და მოთხოვნის შოკებზე ოპტიმალურ რეაგირებას და წარმოაჩენს კეთილდღეობის დანაკარგებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ მონეტარული პოლიტიკის რეაგირება დაგვიანებული ან არასაკმარისია.

მიღებული შედეგები ხაზს უსვამს რისკების მინიმიზაციაზე ორიენტირებული მიდგომის მნიშვნელობას, რომელიც მოიაზრებს ფრთხილი მონეტარული პოლიტიკის გატარებას იმ გარემოში, სადაც შოკები ხშირი და გარდაუვალია.

საკვანძო სიტყვები: მონეტარული პოლიტიკა, ინფლაციის თარგეთირება, ინფლაცია, მიწოდების შოკები, ხისტი და მოქნილი ფასები.

შესავალი

ბოლო წლების გლობალური ეკონომიკური მოვლენები ცხადყოფს, რომ როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ეკონომიკებში, ინფლაციის დინამიკას მეტწილად მიწოდების შოკები განაპირობებს. პანდემიისა და გეოპოლიტიკური დაძაბულობის შედეგად მიწოდების ჯაჭვების რღვევებმა, მსოფლიო სასაქონლო ფასების მკვეთრმა ზრდამ და შრომის ბაზრის სტრუქტურულმა პრობლემებმა ინფლაციური წნეხი მნიშვნელოვნად გააძლიერა. ამ გარემოებებმა აუცილებელი გახადა ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიის გადახედვა. პანდემიამდე მიწოდების შოკები, განსაკუთრებით განვითარებულ ეკონომიკებში, ნაკლები რისკის შემცველ მოვლენებად მიიჩნეოდა, რადგან მაღალი სანდოობის პირობებში შოკის გავლენა ინფლაციაზე სწრაფად ილეოდა და ინფლაცია მიზნობრივ დონეს უბრუნდებოდა. თუმცა, ბოლო წლების გამოცდილებამ აჩვენა, რომ მიწოდების შოკები გახშირდა, გახანგრძლივდა და უფრო მდგრადი ხასიათი შეიძინა. შედეგად, პასიური რეაგირება არ არის

საკმარისი ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ინფლაციის თარგეთირების პირობებში, როგორც წესი, მონეტარული პოლიტიკა მოთხოვნის შოკებით გამოწვეულ ინფლაციურ წნეხზე რეაგირებს, ხოლო მიწოდების დროებით შოკებზე რეაგირების შემთხვევაში ეკონომიკაში დამატებით მერყეობას იწვევს. განახლებული მონეტარული სტრატეგიების ფარგლებში ცენტრალური ბანკები ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ნებისმიერი ტიპის შოკის მიმართ უფრო მოქნილ და პროაქტიულ ზომებს განიხილავენ.

ზოგადად, მონეტარული პოლიტიკის ჩარჩოს ევოლუციის საფუძველი ხშირად დიდი კრიზისებია. ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაცია, რომელიც ბოლო ათწლეულებში უფრო მკაფიო, გრძელვადიანი და ინფლაციური მოლოდინების მართვაზე ორიენტირებული გახდა. მონეტარული პოლიტიკის ამჟამინდელი ჩარჩოს განვითარებისა და მისი ეფექტიანობის შეფასებისთვის, განსაკუთრებით მიწოდების შოკების პირობებში, მნიშვნელოვანია რეტროსპექტიული ანალიზი. მაგალითისთვის, 1970-იან წლებში, OPEC-ის ემბარგოს შემდეგ, მიწოდების შეფერხებების შედეგად, ნავთობის ფასების მკვეთრმა ზრდამ მრავალ ქვეყანაში, მათ შორის განვითარებულ ეკონომიკებში, ძლიერი ინფლაციური შოკი გამოიწვია. იმ დროს ცენტრალურმა ბანკებმა ნაკლებად აგრესიული პოლიტიკა შეინარჩუნეს, რათა წარმოებისა და დასაქმებისთვის შეეწყოთ ხელი (Clarida et al., 2000). მონეტარულ პოლიტიკაში მთავარი გარდატეხა 1980-იანი წლების დასაწყისში, ფედერალური სარეზერვო სისტემის (ფედის) თავმჯდომარის პოლ ვოლკერის ხელმძღვანელობის პერიოდში მოხდა. ნავთობის შოკის ფონზე არსებული მაღალი და განგრძობითი ხასიათის ინფლაციის საპასუხოდ, მან უფრო პროაქტიული და მო-

ლოდინებზე ორიენტირებული მონეტარული პოლიტიკა გაატარა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ზომებმა რეცესია გამოიწვია, მათ ხელი შეუწვეს ინფლაციის ტემპის კლებასა და ინფლაციური მოლოდინების მართვას. შედეგად ფედის სანდოობა გაიზარდა, რამაც საფუძველი დაუდო „დიდი შენელების“ პერიოდს, როდესაც შემცირდა ინფლაციის მერყეობა და მოლოდინების არასტაბილურობა (Clarida et al., 2000).

1990-2000-იან წლებში მრავალი ცენტრალური ბანკი ოფიციალურად გადავიდა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე, რომლის მთავარი პრინციპი ინფლაციური მოლოდინების მართვაა. ამ რეჟიმის პირობებში თავდაპირველად მიიჩნეოდა, რომ ცენტრალური ბანკები მიწოდების მხრიდან შოკებზე არ უნდა რეაგირებდნენ, რადგან ამგვარი რეაგირება კონტროლდუქტიულია და მაღალ ეკონომიკურ მერყეობას იწვევს. ეს დასკვნა ეფუძნებოდა მოსაზრებას, რომ მიწოდების შოკები, როგორც წესი, დროებითი და მოკლევადიანია, ხოლო რეალურ ეკონომიკაზე მონეტარული პოლიტიკის გადაცემას დროითი ლაგი ახასიათებს. შესაბამისად, როდესაც მონეტარული პოლიტიკის გადაცემის პიკური მომენტი დგება, ფასებზე შოკი უკვე მიღებულია და ეკონომიკაში დამატებითი მერყეობა ვლინდება: მცირდება ეკონომიკური ზრდის ტემპი და ინფლაცია მიზნობრივ დონეზე მეტად კლებულობს. ასეთ პირობებში ოპტიმალურია, რომ მონეტარულმა პოლიტიკამ მსგავსი ტიპის შოკებზე პასიური რეაგირება მოახდინოს („Look Through“). თუმცა, როდესაც მიწოდების შოკი იმდენად ხანგრძლივი ან/და მასშტაბურია, რომ იგი ე.წ. „მეორე რაუნდის“¹ ეფექტს ქმნის და ინფლაციურ მოლოდინებზე აისახება, მონეტარული პოლიტიკის რეაგირება უკვე აუცილებელი ხდება, რათა საშუალოვადიან პერიოდში ფასების სტაბილურობას საფრთხე არ შეექმნას.

1. მეორე რაუნდის ეფექტი გულისხმობს პროცესს, რომლის დროსაც ფასების პირველადი შოკი, მაგალითად, სურსათის ან ენერგომატარებლებზე, გადაეცემა სხვა საქონლისა და მომსახურების ფასებს.

ბოლო წლებში, პანდემიისა და პოსტპანდემიურ პერიოდში, ხშირი და მასშტაბური შოკების ფონზე ინფლაციის მართვა მნიშვნელოვნად გართულდა. სწორედ მიწოდების თანმდევ შოკებზე მონეტარული პოლიტიკის შედარებით დაგვიანებულმა რეაგირებამ (“Falling behind the curve”), განსაკუთრებით განვითარებულ ეკონომიკებში, ხელი შეუწყო „მეორე რაუნდის“ ეფექტების წარმოქმნას. შედეგად ხისტი ინფლაციის საზომები, რომლებიც გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების კარგი ინდიკატორია, დღემდე აღემატება 2%-იან მიზნობრივ დონეს. რაც შეეხება განვითარებად ეკონომიკებს, მათ შორის საქართველოს, პანდემიის პერიოდშივე ინფლაციურ წნეხზე მონეტარული პოლიტიკის რეაგირება შედარებით ოპერატიული იყო. ეს კი, ნაწილობრივ, იმან განაპირობა, რომ ასეთი ეკონომიკის მქონე ქვეყნები მიწოდების შოკების მიმართ უფრო მოწყვლადები არიან. მიუხედავად სწრაფი საპასუხო ქმედებებისა, ინფლაციური ზეწოლა მასშტაბური საგარეო შოკების პირობებში განვითარებად ეკონომიკებში მაინც ძლიერი აღმოჩნდა (World Economic Outlook, 2025). იმავდროულად, სხვადასხვა ტიპის სტრუქტურული ფრიქციები, მათ შორის მაღალი დოლარიზაცია და საგარეო შოკების უფრო სწრაფი გადაცემა, ზღუდავდა მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობას.

ზოგადად, მიწოდების შოკების გრძელვადიან ინფლაციურ მოლოდინებზე ასახვა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის, არსებულ ინფლაციურ გარემოზე, შრომის ბაზრის სიმჭიდროვეზე, ეკონომიკის ციკლურ პოზიციასა და უშუალოდ შოკის ბუნებაზე. კერძოდ, შრომის მჭიდრო ბაზრის პირობებში, როდესაც სამუშაო ძალაზე მოთხოვნა მაღალია, დასაქმებულებს ხელფასების ზრდის შესახებ მოლაპარაკების მეტი ძალა (Bargaining power) აქვთ. ამავდროულად, თუ ასეთ ვითარებაში, ერთობლივი მოთხოვნა მის ოპტიმალურ დონეს აღემატება, ფირმებს საშუალება ეძლევათ შეინარჩუნონ მოგების მარჟა და წარმოების გაზრდილი დანახარჯები ფასებში ასახონ.

შედეგად, მიწოდებისა და მოთხოვნის შოკების ერთობლიობა ინფლაციურ წნეხს აძლიერებს და მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება აუცილებელი ხდება, ვინაიდან ხელფასი-ფასების სპირალის განვითარების რისკები ძლიერდება (Blanchard and Galí, 2007).

ასევე, მეორე რაუნდის ეფექტის წარმოქმნის ალბათობა განსაკუთრებით დიდია მაღალი ინფლაციურ გარემოში, სადაც ფასების მოქნილობა იზრდება. მათ შორის, ზრდა შეინიშნება შედარებით ხისტი ფასების მქონე სექტორებშიც, ვინაიდან მათი ხანგრძლივად უცვლელად დატოვება ფირმებისთვის უფრო ხარჯიანია. ფასების მოქნილობა კი, როგორც წესი, ასიმეტრიულია – უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე იკლებს. ასეთ პირობებში ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობისა და მონეტარული პოლიტიკის სანდოობის რისკები ძლიერდება (Benigno and Rossi, 2021).

მიწოდების უარყოფითი შოკების მიმართ ინფლაციური მოლოდინების მოწყვლადობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სამომხმარებლო კალათის სტრუქტურაც. როდესაც კალათაში მოქნილი ფასების წონა მაღალია, რომელთა მიმართ მოთხოვნაც ნაკლებად ელასტიკურია (როგორიცაა სურსათი და ენერგორესურსები), ნებისმიერი შოკი, რომელიც ამ პროდუქტების ფასებს ცვლის, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთლიან ინფლაციასა და ინფლაციური მოლოდინების ფორმირებაზე. შესაბამისად, მსგავსი ტიპის შოკების დროს, მთლიანი ინფლაციისა და შეფარდებითი ფასების დინამიკაც უფრო მერყევი ტენდენციით ხასიათდება, რაც ინფლაციური მოლოდინების ზრდის რისკებსაც აძლიერებს (ბლუაშვილი, 2015). ეს უკანასკნელი კი, მონეტარული პოლიტიკის გამტარებლების მხრიდან უფრო ფრთხილი პოზიციის შენარჩუნებას მოითხოვს.

ამავდროულად, მიწოდების შოკის ბუნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მონეტარული პოლიტიკის ოპტიმალური რეაგირების განსაზღვრაში. თუკი მიწოდების შოკის წყარო შრო-

მის ბაზრის სტრუქტურული პრობლემებია, მონეტარული პოლიტიკის პასიური რეაგირება ზრდის ხელფასი-ფასების სპირალის (wage-price spiral) წარმოქმნის რისკს. გარდა ამისა, სტრუქტურული შოკების დროს იზრდება იმის ალბათობა, რომ ინფლაციურ მოლოდინებში ჰისტერეზისის ეფექტი ჩამოყალიბდეს, რაც მოლოდინების მართვას მნიშვნელოვნად გაართულებს (Maechler, 2024). შედეგად, აუცილებელი ხდება მონეტარული პოლიტიკის მხრიდან პროაქტიული ნაბიჯების გადადგმა.

მიწოდების შოკების გადაცემა ინფლაციურ მოლოდინებზე ასევე დამოკიდებულია ცენტრალური ბანკის სანდოობაზე, რაც წარსული ინფლაციის გამოცდილებით ფასდება. როდესაც სანდოობა მაღალია, შინამეურნეობები და ფირმები უფრო მეტად არიან ორიენტირებული მომავალზე და მომავალ ინფლაციას მიზნობრივ დონესთან აკავშირებენ. ამ პირობებში, მიწოდების უარყოფითი შოკის ინფლაციურ მოლოდინებზე ასახვის რისკები მინიმიზებულია და მონეტარული პოლიტიკის გამტარებლების მხრიდან მოკლევადიანი წნეხის დროს პოლიტიკის იმავე პოზიციაზე შენარჩუნება ("Look Through") გამართლებულია. თუმცა, განვითარებად ეკონომიკებში, სადაც მოქნილი ფასების წილი მაღალია და ინფლაციას შედარებით მაღალი მერყეობა ახასიათებს, მოლოდინები ნაწილობრივ წარსული გამოცდილებით ყალიბდება (Pariès and Moyen, 2012). ასეთ ვითარებაში მიწოდების უარყოფითი შოკი ზრდის ინფლაციური მოლოდინების მართვასთან დაკავშირებულ რისკებს. ამ ფონზე, მონეტარული პოლიტიკის ზომიერი გამკაცრების ან გამკაცრებულ დონეზე შენარჩუნების საჭიროება დგება, რადგან, თუ მიწოდების შოკები უფრო ხშირი და ხანგრძლივი გახდება, მათზე დაგვიანებული რეაგირება მომავალში პოლიტიკის ბევრად უფრო მკვეთრი გამკაცრების აუცილებლობას წარმოშობს. ეს კი, საბოლოო ჯამში, კეთილდღეობის დანაკარგს მნიშვნელოვნად გაზრდის, რაც ინფლაციის მიზნობრივი დონიდან გადახრაში, ეკონომიკური აქტივობის შემცირებაში, საპროცენტო

განაკვეთების მერყეობასა და ფასების დონის მნიშვნელოვან მატებაში გამოიხატება.

ზემოთ მოყვანილი არგუმენტები ცხადყოფს, რომ მიწოდების შოკებზე მონეტარული პოლიტიკის ოპტიმალური რეაგირება პოლიტიკის გამტარებლებისთვის რთული ამოცანაა. მისი ეფექტიანი განხორციელება მაკროეკონომიკური გარემოს ყოვლისმომცველ ანალიზს, მათ შორის დაუკვირვებადი ცვლადების ადეკვატურ შეფასებას, საჭიროებს. მაღალი გაურკვევლობის პირობებში, როდესაც გარემო სწრაფად იცვლება და შოკების წარმოქმნა გარდაუვალია, მონეტარული პოლიტიკა კეთილდღეობის დანაკარგის მინიმიზებაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც სხვადასხვა ტიპის რისკ-სცენარების სისტემატურ მონიტორინგს მოითხოვს. ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონტრაფაქტიური ანალიზი და წარსული გამოცდილების შეფასება.

წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია როგორც ამ თემის გარშემო ლიტერატურის მიმოხილვა, ისე საქართველოს ინფლაციური გამოცდილების ანალიზი და მონეტარული პოლიტიკის რეაგირების ისტორიული ნარატივი. გარდა ამისა, ახალი კვინზიანური მიდგომის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე, შეფასებულია მონეტარული პოლიტიკის ადეკვატური რეაგირება სხვადასხვა ტიპის შოკზე. ბოლოს, წარმოდგენილია ეკონომეტრიკული მოდელი, რომელიც აანალიზებს მონეტარული პოლიტიკის რეაგირებას ხისტი და მოქნილი ფასების კონტექსტში.

ლიტერატურის მიმოხილვა

მიწოდების უარყოფით შოკზე (რომლის დროსაც ინფლაცია იზრდება, გამოშვება კი – მცირდება) ცენტრალური ბანკის ოპტიმალური რეაქციის განსაზღვრა მონეტარული პოლიტიკის რთულ დილემას წარმოადგენს. მოთხოვნის შოკებისგან განსხვავებით, რომლებიც ინფლაციასა და ეკონომიკურ აქტივობაზე ერთი და იმავე მიმართულებით მოქმედებს,

მიწოდების შოკები ცენტრალური ბანკისთვის ფასებისა და გამოშვების სტაბილურობას შორის არჩევანს წარმოქმნის. ეკონომიკური ლიტერატურა გვთავაზობს, რომ ამგვარ შოკებზე მონეტარული პოლიტიკის რეაგირება შოკის მახასიათებლებთან, ხელფასი-ფასის დინამიკასთან (Blanchard and Gali, 2007) და ცენტრალური ბანკის ინსტიტუციურ სანდოობასთან ერთად (Reis, 2022; Gáti, 2023), მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობაზეცაა დამოკიდებული (Erceg et al., 2024; Maechler, 2024; Bandera et al., 2023).

ათწლეულების განმავლობაში, პოსტპანდემიურ პერიოდში ინფლაციის მკვეთრად ზრდამდე, განვითარებულ ეკონომიკებში დომინირებდა პრინციპი, რომ მიწოდების შოკებისგან მომდინარე ინფლაციურ წნეხზე მონეტარულ პოლიტიკას უმეტესად არ უნდა ერეაგირა („Look Through“). მექლერის (2024) მიხედვით, ეს კონსენსუსი „დიდი მოდერაციის“ გამოცდილებას და „პასიური რეაგირების“ სტრატეგიის მხარდამჭერ სამ მთავარ არგუმენტს ეყრდნობოდა:

1. შოკების დროებით ბუნება: მიწოდების შოკები, როგორებიცაა, მაგალითად, ნედლეულის ფასების ცვლილება, უმეტესად მოკლევადიანი, ერთჯერადი ბუნებით ხასიათდებოდნენ. შესაბამისად, ფასების დონეზე მათი გავლენაც მხოლოდ დროებითი იყო და ინფლაციის ხანგრძლივ ზრდას არ იწვევდა. რადგან ეკონომიკაზე მონეტარული პოლიტიკის ეფექტის სრულ ასახვას დიდი დრო სჭირდება (საშუალოდ, 12-18 თვე), დროებითი შოკით გამოწვეულ მკაცრ პოლიტიკას თან სდევდა რისკი, რომ ეფექტი გვიან აისახებოდა და ინფლაციაზე მაშინღა იმოქმედებდა, როდესაც საფასო წნეხი ჩარევის გარეშეც დაიწყებდა მიღევას. ეს კი გამოშვების არასაჭირო შეზღუდვას გამოიწვევდა;
2. პოლიტიკის გამტარებლების წინაშე წამოჭრილი დილემა: მიწოდების უარყოფითი შოკი ფასებზე ზრდის მიმართულებით მოქმედებდა, გამოშვებაზე კი – კლების. თუ

ცენტრალური ბანკი ინფლაციის მოსათოკად პოლიტიკას გაამკაცრებდა, გამოშვება კიდევ უფრო შემცირდებოდა და პოტენციურად, რეცესიის რისკები წარმოიქმნებოდა. ამიტომ, სტანდარტული მიდგომის მიხედვით, მიწოდების შოკებზე რეაგირება ნაკლებ აგრესიული უნდა ყოფილიყო მოთხოვნის შოკებთან შედარებით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გამოშვების ზედმეტად შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად, ცენტრალური ბანკი საშუალებას აძლევდა ინფლაციას დროებით სამიზნე მაჩვენებელზე ზემოთ ასულიყო;

3. კარგად მართული ინფლაციური მოლოდინები: მოლოდინების მდგრადობა ცენტრალური ბანკებისთვის იმის წინაპირობა იყო, რომ მიწოდების დროებით შოკებზე მკვეთრი რეაგირების საჭიროება არ იქნებოდა და ეს შოკები „მეორე რაუნდის“ ხანგრძლივ ეფექტებში არ გადაიზრდებოდა. როგორც რეისი (2022) შენიშნავს, შოკზე არ-რეაგირების პოლიტიკა სწორი გადაწყვეტილებაა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოლოდინები მდგრადია. გარდა ამისა, ამ მიდგომას მხარს უჭერდა ფართოდ დამკვიდრებული ემპირიული შეხედულებაც, რომ პანდემიამდე პერიოდში, როდესაც ინფლაცია ხანგრძლივად დაბალ დონეზე ნარჩუნდებოდა, ფილიპსის მრუდი ბრტყელი იყო; შესაბამისად, ინფლაცია ბიზნეს ციკლზე მხოლოდ სუსტად რეაგირებდა (Del Negro et al., 2020; Hazell et al., 2021).

ბოლოდროინდელი ცვლილებები ამ მიდგომის მართებულობას ეჭვქვეშ აყენებს. მაგალითად, ვერნიინგი, ლორენცონი და გუერიერი (2025) ხსნიან, რომ პროტექციონისტური ზომები, როგორიცაა, მაგალითად, ტარიფების შემოღება, ეკონომიკაზე მიწოდების შოკების მსგავსად მოქმედებს და ამ შემთხვევაში შოკზე არ-რეაგირების პოლიტიკა შესაძლოა არ იყოს ოპტიმალური. თუკი წინა ათწლეულების განმავლობაში გლობალური ინფლაცია ძირითადად მოთხოვნის ფაქტორებით იყო განპირობებული და მიწოდების შოკების უმეტესობას მხოლოდ დროებითი, ლოკალიზებული გავლენა

ჰქონდა (Clarida et al., 1999), დღეს ვითარება სხვაგვარია. გეოპოლიტიკური დაძაბულობა, ეკონომიკური ფრაგმენტაცია, კლიმატის დინამიკა და დემოგრაფიული დაბერება ფუნდამენტურ ცვლილებებზე მიუთითებს: მიწოდების ფაქტორები სულ უფრო ხშირად გვევლინება ინფლაციის გამომწვევ მიზეზად. შედეგად, მიწოდების შოკის ბუნებისა და მახასიათებლების² უკეთ შესწავლა მნიშვნელოვანი ხდება, რაზეც არაერთი კვლევა მიუთითებს (Bandera et al., 2023; Buřs and Traficante, 2025; Erceg et al., 2024; Maechler, 2024).

ცენტრალური ბანკის არჩევანი, მოახდინოს რეაგირება მიწოდების შოკზე თუ არა, ან რა დოზით იმოქმედოს, მეორე რაუნდის ეფექტების წარმოქმნაზეა დამოკიდებული, რა დროსაც შუალედური პროდუქციის მომატებული ღირებულება ხელფასებისა და საბაზო ინფლაციის ზრდაზე შეიძლება აისახოს. მსგავსი ეფექტები პოლიტიკის გამტარებლის წინაშე არსებულ არჩევანს ფუნდამენტურად ცვლის. კრიტიკული ფაქტორი, რითაც ცენტრალურ ბანკს მიწოდების შოკზე რეაგირების დასაბუთება შეუძლია, ინფლაციური მოლოდინების მკვეთრი ცვლილების რისკია. გატიმ (2023) შეისწავლა მოკლევადიანი შოკების გავლენა მოლოდინებზე და დაასკვნა, რომ როდესაც ინფლაციური მოლოდინები არამდგრადია, საზოგადოების შეხედულებას სამომავლო ინფლაციაზე მიწოდების შედარებით მცირე შოკიც კი მნიშვნელოვნად ცვლის. შედეგად, მოლოდინების მოსათოკად პოლიტიკის გამტარებლებს ჩარევის აუცილებლობა უჩნდებათ.

ინფლაციური მოლოდინების ცვლილების რისკი შესაძლოა უეცრად წარმოიქმნას, რაც ინფლაციის „ორ-რეჟიმიან“ ხედვასთანაა თავსებადი. ამ ხედვის თანახმად, ეკონომიკა დაბალინფლაციური, თვითსტაბილიზებადი

რეჟიმიდან მაღალინფლაციურ რეჟიმში სწრაფად შეიძლება გადავიდეს (Maechler, 2024). მაღალინფლაციურ გარემოში შინამეურნეობები და საწარმოები ფასთა ცვლილებას უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ და შედეგად, ხელფასებიცა და ფასებიც მიწოდების შოკების მიმართ უფრო მგრძნობიარეა, ფილიპსის მრუდი კი უფრო მაღალი დახრილობით ხასიათდება. მაქლერი (2024) ასევე შენიშნავს, რომ დახრილობის ცვლილებას ეკონომიკის მახასიათებლები განსაზღვრავს: კერძოდ, ფილიპსის მრუდი შოკის გავლენას მით უფრო მეტად განიცდის, რაც უფრო მაღალია შრომის ბაზრის სიმჭიდროვე ან/და ფასების მოქნილობა.

ინფლაციის დინამიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ცენტრალური ბანკის სანდოობა და რეპუტაცია, რაც აყალიბებს საზოგადოების შეხედულებას იმის თაობაზე, თუ რამდენად აგრესიულად დაუპირისპირდება პოლიტიკის გამტარებელი ხანგრძლივ ინფლაციურ წნეხს. ბოკოლასა და სხვების (2025) მიხედვით, ცენტრალურ ბანკს მიწოდების უარყოფით შოკზე უფრო აგრესიული რეაგირება მართებს, რათა „მკაცრი ინსტიტუტის“ რეპუტაცია მოიპოვოს ან განიმტკიცოს. მართალია, ამის გამო ეკონომიკა მოკლევადიან პერიოდში დანაკარგებს განიცდის, თუმცა სამაგიეროდ გრძელვადიანი მოლოდინები უფრო მდგრადია, რაც „რეპუტაციულ დივიდენდს“ წარმოადგენს.

ლიტერატურა პოლიტიკის გამტარებლებს მკაფიო რეკომენდაციას სთავაზობს: როდესაც მიწოდების შოკის შემდეგ „მეორე რაუნდის“ ეფექტები წარმოიქმნება, არ-რეაგირების პოლიტიკა ოპტიმალური აღარაა. პირიქით, ზომიერ გამკაცრებას შეუძლია ხელი შეუწყოს ინფლაციის შენელებას და საშუალოვადიან პერიოდში სამიზნე მაჩვენებელთან დაბრუნებას, განსაკუთრებით კი ისეთ გარემოში, სადაც

2. იგულისხმება მიწოდების შოკის წარმოშობა და მახასიათებლები. მაგალითად, ნავთობის ბაზრიდან მომდინარე შოკებს ეკონომიკაზე სხვაგვარი გავლენა შეიძლება ჰქონდეთ, ვიდრე მიწოდების ჯაჭვების რღვევას, ფრაგმენტაციას, ან ბუნებრივი კატაკლიზმებიდან წარმოქმნილ შეფერხებებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შოკის ბუნებაც და იმის შეფასება, შოკი ერთჯერადია თუ განმეორებადი, სექტორული თუ ზოგადი, დროებითი თუ ხანგრძლივი (Central Bank of Malaysia, 2024).

მიმდინარე ინფლაციური ფონი მოლოდინების ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს (Bandera et al., 2023). პოსტ-პანდემიური გამოცდილება ცხადყოფს, რომ პოლიტიკის გამტარებლებისთვის გადანაცვებების მიღებისას ერთერთ მთავარ გამოწვევას მიწოდების შოკის ხანგრძლივობაზე შეზღუდული ინფორმაცია წარმოადგენს. სწორედ ამ გაურკვევლობით იყო განპირობებული წამყვანი ცენტრალური ბანკების დაახლოებით ექვსკვარტლიანი უმოქმედობა მაშინაც კი, როცა პანდემიის შემდეგ ინფლაციამ განსაკუთრებით მოიმატა (Maechler, 2024).

პასიური რეაგირების პოლიტიკისგან განსხვავებულ ხედვას გვთავაზობენ ერცეგი და სხვები (2024), რომელთა მიხედვით მსგავსი მიდგომა მხოლოდ მცირე და მოკლევადიანი შოკის შემთხვევაშია გამართლებული. მათი აზრით, შოკის ზომასთან და ხანგრძლივობასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ საზოგადოებაში შეიძლება ჩამოაყალიბოს აზრი, რომ შოკი გრძელვადიანია, რაც ინფლაციის მკვეთრ მატებას გამოიწვევს. არასრული ინფორმაციის პირობებში, მომავლის მიმართ მოლოდინები კრიტიკულად მნიშვნელოვანი ხდება. შესაბამისად, „მოვიცადოთ-და-ვნახავთ“ მიდგომამ, რომელიც მიზანშეწონილია სრული ინფორმაციის არსებობისას, უფრო პროაქტიულ პოლიტიკას უნდა დაუთმოს ადგილი. როგორც აღინიშნა, ცენტრალური ბანკის ოპტიმალური რეაგირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ფილიპსის მრუდის მოყვანილობაზე: რაც უფრო დიდია მრუდის დახრილობა, ინფლაცია მით მეტად რეაგირებს შოკზე და ადრეული ჩარევაც უფრო გონივრულია.

მთლიანობაში, თანდათან უფრო სარწმუნო ხდება მოსაზრება, რომ გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის, კლიმატური ცვლილების, ენერგოტრანზიციული პროცესებისა და დემოგრაფიული ცვლილებების შედეგად სამომავლოდ


მიწოდების შოკები უფრო ხშირი, მძლავრი, ხანგრძლივი და ინფლაციური იქნება (Maechler, 2024). ცხადია, მონეტარულ პოლიტიკას მიწოდების შოკებისგან წარმოქმნილი ეფექტების სრულად განეიტრალება არ შეუძლია, თუმცა დროული და სწორი რეაგირება მერყეობების შემცირებას, ეფექტიანი კომუნიკაციით მოლოდინების მართვასა და ინფლაციური წნეხის შერბილებას შეუწყობს ხელს. ამისათვის კი საჭიროა, რომ ცენტრალურმა ბანკმა მხედველობაში მიიღოს როგორც არსებული ინფლაციური გარემო, ისე მიწოდების შოკის ბუნება და მისი მახასიათებლები, რაც დაეხმარება შოკის შესაძლო გავლენის შეფასებაში.

ინფლაციური პროცესები

საქართველოში: ისტორიული ანალიზი

საქართველოს, როგორც მცირე და ღია ტიპის ეკონომიკას, საგარეო შოკების მიმართ მაღალი მოწყვლადობიდან გამომდინარე, მიწოდებისა და საგარეო მოთხოვნის უარყოფითი შოკების მრავალფეროვანი ისტორია აქვს (იხ. დიაგრამა 1). მიწოდების უარყოფითი შოკების მიმართ ეკონომიკის მოწყვლადობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა. როდესაც კალათაში მოქნილი ფასების (როგორიცაა სურსათი და ენერგორესურსები) წონა მაღალია, ნებისმიერი შოკი ამ პროდუქტების ფასებზე და მთლიან ინფლაციაზეც მნიშვნელოვნად აისახება. განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, მსგავსი ვითარება განსაკუთრებით თვალსაჩინოა. შედარებით მოქნილი ფასების წონა სამომხმარებლო კალათაში დაახლოებით 60-70%-ის ფარგლებში მერყეობს. შესაბამისად, მთლიანი ინფლაციისა და შეფარდებითი ფასების დინამიკაც უფრო მერყევი ტენდენციით ხასიათდება, რაც ინფლაციური მოლოდინების ზრდის რისკებსაც აძლიერებს. ეს უკანასკნელი კი, მონეტარული პოლიტიკის გამტარებლების მხრიდან უფრო ფრთხილი პოზიციის დაცვას მოითხოვს.

დიაგრამა 1. მოთხოვნისა და მიწოდების ფაქტორების წვლილი მთლიან ინფლაციაში (პპ)



წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი და ავტორთა გამოთვლები.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის შემოღების შემდეგ, მიწოდების შოკების გამოცდილება საქართველოში შეგვიძლია სამ კატეგორიად დავყოთ:

- მიწოდების უარყოფითი შოკები, რომელთაც ინფლაცია მხოლოდ ერთჯერადად გაზარდეს და არ წარმოშვეს „მეორე რაუნდის“ ეფექტები – ამ დროს სებ-მა “პასიური (Look Through)” პოლიტიკა გაატარა და მონეტარული პოლიტიკა არ შეუცვლია;
- მიწოდების უარყოფითი შოკები, რომელთა დროსაც სებ-ის მხრიდან რეაგირება საჭირო იყო, რადგანაც მათი სიმძლავრიდან გამომდინარე, ინფლაციური მოლოდინების ზრდის რისკები გაძლიერდა;
- მიწოდების დადებითი შოკები, რომლებიც ფასებზე შემცირების მიმართულებით აისახებოდა.

პირველ კატეგორიას მიეკუთვნება, მაგალითად, 2017 წელს თამბაქოზე სააქციზო გადასახადის


გაზრდა (იხ. დიაგრამა 2). მიუხედავად იმისა, რომ ეს ცვლილება მომატებულ ინფლაციაში აისახა, სებ-მა ნეიტრალური პოზიცია შეინარჩუნა, რადგან აღნიშნულ შოკს ერთჯერადად და მოკლევადიანად მიიჩნევდა. ინფლაციური მოლოდინების მართვას ამ პერიოდში სწორმა კომუნიკაციამაც შეუწყო ხელი. შესაბამისად, საბაზო ეფექტის ამოწურვის შემდგომ, ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს დაუბრუნდა.

რაც შეეხება მეორე კატეგორიის უარყოფით შოკებს, მათი სიმწვავე „მეორე რაუნდის“ ეფექტების რისკებსაც წარმოშობდა, და შესაბამისად, მათ გასაწეიტრალებლად საჭირო იყო მონეტარული პოლიტიკის რეაგირება. ამგვარი შოკების მაგალითებია: საერთაშორისო სასაქონლო ფასების ზრდა 2011 წელს; ნავთობის ფასების შოკი და დოლარის გლობალური გამყარება 2014-2015 წლებში; 2019 წელს რუსეთიდან ფრენების შეზღუდვის შედეგად, საგარეო მოთხოვნის შოკის ფონზე, ლარის გაუფასურება; პანდემია 2020-2021 წლებში და

მიწოდების ჯაჭვების რღვევა, რაც საერთაშორისო სასაქონლო ფასებისა და გადაზიდვის ხარჯების მკვეთრ ზრდაში გამოიხატა. პანდემიის პერიოდშივე, მიწოდების უარყოფით შოკს დაემატა დაგუბებული მოთხოვნიდან და მჭიდრო შრომის ბაზრიდან მომდინარე ინფლაციური წნეხი. აღსანიშნავია, რომ პანდემიის საწყის სტადიაზე, მოთხოვნის უარყოფითი შოკის მიუხედავად, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი მხოლოდ 1 პროცენტული პუნქტით (პპ-ით), 8%-მდე შემცირდა, რაც განპირობებული იყო წინარე პერიოდის მაღალი ინფლაციური გარემოთი. მოგვიანებით, მიწოდებისა და მოთხოვნის

თანმდევი შოკების ფონზე, მონეტარული პოლიტიკა მნიშვნელოვნად გამკაცრდა. კერძოდ, 2022 წელს, რუსეთ-უკრაინის ომმა მიწოდების დამატებით შოკები წარმოქმნა, რამაც მოქნილი ფასები კვლავ გაზარდა და ინფლაციური წნეხი შედარებით ხისტ ფასებსაც გადაეცა. ინფლაციური მოლოდინების დასტაბილურებისთვის, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ჯამურად 3 პპ-ით, 11%-მდე გაიზარდა და მკაცრი პოზიცია ხანგრძლივად შენარჩუნდა, რამაც ხისტი ფასების ინფლაციის შემცირება უზრუნველყო.

დიაგრამა 2. ხისტი და მოქნილი ფასების დინამიკა საქართველოში და მონეტარული პოლიტიკის რეაგირება სხვადასხვა საგარეო შოკზე



წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლიდან მიწოდების დადებითი შოკის შედეგად ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებები მოხდა და საწარმოო პოტენციალის გაუმჯობესებას დისინფლაციური ეფექტი ჰქონდა როგორც მოთხოვნის, ისე გაცვლითი კურსის არხითაც. ამავე პერიოდში, მონეტარული პოლიტიკის ნელი ნორმალიზება დაიწყო, თუმცა არსებული შიდა და გარე რისკების გათვალისწინებით, ის კვლავ ზომიერად გამკაცრებულ დონეზე დარჩა. უკანასკნელმა, თავის მხრივ, დაბალინფლაციური გარემოს ხანგრძლივად შენარჩუნება განაპირობა. 2025 წელს, წინა წლების დაბალი საბაზო ეფექტისა და მიწოდების მხრიდან მომდინარე ერთჯერადი ფაქტორების გამო, ინფლაცია კვლავ მცირედით აჩქარდა (იხ. დიაგრამა 1 და 2). მიუხედავად ამისა, მიმდინარე ეტაპზე, მაკროეკონომიკური გარემოს მახასიათებლები, როგორიცაა ეკონომიკის ციკლური პოზიცია, შრომის ბაზრის მდგომარეობა და წინა პერიოდის შედარებით დაბალინფლაციური გარემო, ინფლაციური მოლოდინების მკვეთრად ზრდის რისკებს ამსუბუქებს, თუმცა მაღალი გაურკვევლობის ფონზე ნათელს ხდის მონეტარული პოლიტიკის ხანგრძლივად მკაცრი პოზიციის შენარჩუნების საჭიროებასაც.

ზოგადი პერსპექტივიდან, მონეტარული პოლიტიკის ოპტიმალური რეაგირება მიწოდებისა და მოთხოვნის მხრიდან მომდინარე შოკებზე განხილულია ახალი კეინზიანური მიდგომის კონტექსტში და დეტალურადაა წარმოდგენილი შემდგომ თავში.

თეორიული ჩარჩო და გამოყენებითი მეთოდოლოგია

მოცემულ თავში განიხილება თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელიც სხვადასხვა ტიპის მაკროეკონომიკურ შოკებზე მონეტარული პოლიტიკის ოპტიმალური რეაგირების შესაფასებლად გამოიყენება. იგი ეფუძნება ახალ კეინზიანურ (NK) მიდგომას, რომლის მიხედვითაც, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმში მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტი – მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი -

ნომინალური ცვლადების სიხისტის პირობებში ეკონომიკის ციკლურ პოზიციაზე (ე.წ. გამოშვების გაპზე) მოქმედ ეფექტიან ინსტრუმენტად და ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის საშუალებად განიხილება (Bernanke et al., 1999).

კვლევაში გამოყენებული ახალი კეინზიანური, ნახევრად სტრუქტურული დინამიკური სტოქასტური ზოგადი წონასწორობის კვარტალური მოდელი (Semi-structural QPM) მორგებულია საქართველოს ეკონომიკაზე (ე.წ. GEMO). ინფლაციის თარგეთირების მქონე ცენტრალური ბანკები მსგავს მოდელებს ხშირად იყენებენ პროგნოზირებისა და ანალიზისათვის, რადგან ისინი კარგად ასახავენ მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმებს და, ამავე დროს, წარმოადგენენ მოქნილ ჩარჩოს სხვადასხვა ტიპის შოკების ზემოქმედების შეფასებისათვის. სხვაგვარად, ეს არის ე.წ. გაპ მოდელი, რომლის ძირითადი განტოლებები აღწერს:

- ინფლაციის ფორმირების პროცესს, რომელიც ფილიპსის მრუდის სპეციფიკაციით განისაზღვრება;
- ერთობლივი მოთხოვნის ციკლური კომპონენტის ფორმირების პროცესს. ე.წ. ინვესტიციები-დანაზოგების მრუდი (IS Curve);
- დაუზღვეველი საპროცენტო განაკვეთის პარიტეტის პირობას (UIP), რომელიც უზრუნველყოფს არბიტრაჟის არარსებობას ადგილობრივ და უცხოურ აქტივებს შორის;
- და ბოლოს, მონეტარული პოლიტიკის რეაქციის ფუნქციას.

აღნიშნული განტოლებები და მათში წარმოდგენილი ცვლადების დინამიკა ენდოგენური პროცესებია და, შესაბამისად, თითოეულის ცვლილება ერთმანეთზე აისახება. ამასთან კოეფიციენტები მეტწილად კალიბრირებულია, რომელთა მდგრადობა (robustness check) გადამოწმებულია ბაიეზიანური და სტრუქტურული ვექტორული ავტორეგრესული მოდელებით.

ფილიპსის მრუდის სპეციფიკაცია წარმოდგენილია შემდგომი განტოლების სახით:

$$\pi_t = \beta_1(\beta_2\pi_t^m + (1 - \beta_2)[\beta_3\pi_{t-1} + (1 - \beta_3)\pi_t^e]) + (1 - \beta_1)(\beta_4\pi_t^{oil} + (1 - \beta_4)\pi_t^{food}) + \beta_5\hat{y}_t - \beta_6\hat{z}_t + \beta_7\hat{s}_t^{GEL/USD} + \varepsilon_t^\pi + u_t^\pi + \rho l * u_{t-1}^\pi \quad (1)$$

სადაც π_t კვარტალურ განლიურებულ მთლიან ინფლაციას წარმოადგენს, რომელიც განისაზღვრება იმპორტირებული ინფლაციით (π_t^m), მთლიანი ინფლაციის ლაგით (π_{t-1}), ინფლაციური მოლოდინებით (π_t^e) და ნავთობისა (π_t^{oil}) და სურსათის ფასების (π_t^{food}) ინფლაციით. მათი პარამეტრები შეფასებულია იმგვარად, რომ მათი ცვლილება ინფლაციის დინამიკას განსაკუთრებით აძლიერებს მაშინ, როდესაც ინფლაციური პროცესები „მეორე-რაუნდის“ ეფექტში გადაიზრდება. განტოლების ერთ-ერთი მთავარი ცვლადია გამოშვების გაპი ($\hat{y}_t$), რომელიც მოთხოვნის მხრიდან ინფლაციაზე მომდინარე წნეხს ასახავს და ფილიპსის მრუდის დახრილობის ამსახველია. მნიშვნელოვანია აგრეთვე რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაპი ($\hat{z}_t$), რაც აღწერს იმპორტირებული შუალედური საქონლის ფასების ეფექტს. გარდა ამისა, აშშ დოლარის გაცვლითი კურსის გაპი ($\hat{s}_t^{GEL/USD}$) მოიცავს აშშ დოლარში დენომინირებული ვალის მომსახურების ხარჯს იმ ფირმებისთვის, რომლებიც ფინანსურად დოლარიზებული არიან³. ბოლო კომპონენტები სწორედ მიწოდების მხრიდან მომდინარე შოკების ეფექტს ასახავენ; კერძოდ, მიწოდების სტანდარტული შოკს, ე.წ. cost-push შოკი (ε_t^π) და

მაღალი სიხშირის მიწოდების შოკებს, რომლებიც, თავის მხრივ, ავტორეგრესული პროცესია ($u_t^\pi + \rho l * u_{t-1}^\pi$).

ფილიპსის მრუდის დახრილობა განსაზღვრავს როგორც რეალური მოთხოვნის გადაცემას ფასებზე, ისე მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობასაც – თუ რამდენად დიდია ე.წ. „მსხვერპლის დონე (sacrifice ratio)“ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებით ან შერბილებით ფასებზე ზემოქმედების დროს. ამასთან, ფილიპსის მრუდის აღნიშნული სპეციფიკაცია მონეტარული პოლიტიკის გადაცემის არა მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის, არამედ გაცვლითი კურსისა და მოლოდინების არხების უშუალო მოდელირებასაც ახდენს. ეს უკანასკნელი კი, ინფლაციის თარგეთირების პირობებში, ცენტრალური ბანკისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ფასების სტაბილურობის მიღწევა სწორედ მოლოდინების ეფექტურად მართვით არის შესაძლებელი. ინფლაციური მოლოდინების ფორმირება, რომელიც ბევრ სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, მოდელში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

$$\pi_t^e = \delta E_t\{\pi_{t+1}\} + (1 - \delta)\pi_{t-1} + \varepsilon_t^{\pi^e} \quad (2)$$

მოლოდინები (π_t^e) ფორმირდება როგორც წარსული ინფლაციით (π_{t-1}), ისე ინფლაციის რაციონალური მოლოდინებით ($E_t\{\pi_{t+1}\}$), რომელსაც ემატება მოლოდინების შოკი შოკი. ($\varepsilon_t^{\pi^e}$) მოცემულ განტოლებაში $\delta \in [0,1]$ კოეფიციენტი ასახავს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობასა და სანდოობას. კერძოდ, მისი ერთთან სიახლოვე მიუთითებს, რომ ეკონომიკური აგენტები –

ფირმები და შინამეურნეობები – უფრო მეტად რაციონალურები არიან და ინფლაციის მოლოდინების ფორმირებისას ორიენტირად მიზნობრივ მაჩვენებელს იღებენ (Forward-looking აგენტები). თუმცა, თუ იგი ნულთან ახლოსაა, ეკონომიკური აგენტები მომავლის ინფლაციას წარსული ინფლაციის გამოცდილების საფუძველზე პროგნოზირებენ (Backward-looking აგენ-

3. აღნიშნულს ე.წ. საბალანსო უწყისის ეფექტიც ეწოდება.

ტებს წარმოადგენენ). სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში ინფლაციური მოლოდინები უფრო ადაპტურია (adaptive inflation expectations), რაც, თავის მხრივ, მონეტარული პოლიტიკის სანდოობისა და ეფექტიანობის შეზღუდულობაზე მიუთითებს.

აღნიშნული განტოლების კოეფიციენტების სწორად შეფასება სხვადასხვა ტიპის შოკებზე ოპტიმალური მონეტარული პოლიტიკის რეაგირების გასაანალიზებლად კრიტიკულად მნიშვნელოვანია. სწორედ ეს შეფასება განსაზღვრავს, თუ რამდენად ხისტ ნაბიჯებს მოითხოვს მონეტარული პოლიტიკის გამტარებისგან სხვადასხვა ტიპის შოკის დროს ფასების სტაბილურობის მიღწევა. თუკი, პირობითად, ზ ერთთან ახლოსაა, დროებითი ხასიათის მიწოდების შოკის დროს ცენტრალურ ბანკს აქვს შესაძლებლობა, რომ ე.წ. „პასიური (Look Through)“ პოლიტიკა გაატაროს, რადგან რაციონალური აგენტები გადანყვეტილების მიღებისას მომავალი ინფლაციის საზომად მიზნობრივ დონეს გაითვალისწინებენ. ეს გულისხმობს, რომ შოკის მიღების შემდგომ, სხვა თანაბარ პირობებში, საშუალო ვადაში ინფლაცია მის მიზნობრივ დონესთან პოლიტიკის რეაგირების გარეშე დასტაბილურდება. განვითარებულ ქვეყნებში მიწოდების შოკების დროს მონეტარული პოლიტიკის გადანყვეტილებები დიდი ხნის განმავლობაში სწორედ ამ დაშვებას ეფუძნებოდა. თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზ კოეფიციენტი დროში შესაძლოა შეიცვალოს და განისაზღვროს წარსული ინფლაციის მიზნობრივი დონიდან გადახრით. შესაბამისად, მისი შეფასებისას მნიშვნელოვანია სწორედ ინფლაციური წარსულის შეფასება. მოცემულ კვლევაში, საქართველოსთვის ზ კოეფიციენტი 0.8-ს შეადგენს, ხოლო ფილიპსის მრუდში β , კოეფიციენტი, რომელიც ასევე ინფლაციური მოლოდინების რაციონალურობის და ადაპტურობის ფარდობით საზომს წარმოადგენს, 0.4-ია, რაც მიუთითებს, რომ მოლოდინები მეტად რაციონალურია.

როგორც აღინიშნა, მიწოდების სტანდარტული შოკები (ε_t^s) სრულად რაციონალური მოლოდინების პირობებში, როდესაც ცენტრალური ბანკის სანდოობა მაღალია, არ იწვევს ინფლაციური მოლოდინების დამატებით ზრდას და მოლოდინების ფორმირების განტოლებაში ე.წ. შოკის კომპონენტად (ε_t^p) არ გარდაიქმნება. მაგრამ, თუ მიწოდების შოკები იმდენად მასშტაბური და ძლიერი აღმოჩნდა, რომ ინფლაციური მოლოდინების შოკი წარმოქმნა და ამ არხით ფაქტობრივი ინფლაცია მნიშვნელოვნად გაზარდა, შესაძლოა ე.წ. მოლოდინების ჰისტერეზისის (Expectation hysteresis) რისკი გააძლიეროს. ეს კი საფრთხეს უქმნის ინფლაციური მოლოდინების მართვას. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია განისაზღვროს მიწოდების შოკების ბუნება და მათი წყარო.

ზოგადად, მიწოდების შოკი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. დადებითი შოკი, როგორც წესი, ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით მოქმედებს, ხოლო უარყოფითი – ზრდის მიმართულებით. თუკი, მიწოდების შოკის (ε_t^s) წყარო, პირობითად, ეკონომიკაში არსებული სტრუქტურული პრობლემებია, მისი ეფექტი შესაძლოა უფრო ხანგრძლივადიანი და მასშტაბური აღმოჩნდეს. მაგალითად, შრომის ბაზარზე სტრუქტურული პრობლემების შედეგად უმუშევრობის ბუნებრივი დონე გაზრდილია. ამავდროულად, თუ ეკონომიკის ციკლური კომპონენტი დადებითია, მიწოდების მხარეს არსებული პრობლემები ასეთ დროს შესაძლოა ხელფასი-ფასების სპირალში გადაიზარდოს, რაც, საბოლოო ჯამში ინფლაციური მოლოდინების ფორმირებაზე აისახება. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შოკის წყარო მიწოდების ჯაჭვების რღვევაა, შესაძლოა მას უფრო ფართო სექტორული ეფექტი ჰქონდეს და სამომხმარებლო კალათაში წარმოდგენილ საქონელსა და მომსახურებაზე ფასები უფრო მასშტაბურად გაზარდოს. თუმცა, თუკი, პირობითად, შოკის წყარო სურსათის საერთაშორისო ფასების ზრდაა, მიწოდების შოკი, პირველ ეტაპზე, სამომხმარებლო კალათის მხოლოდ კონკრეტულ კომპონენტს

ეხება. მისი ინფლაციური მოლოდინების შოკში გადაზრდის რისკები მაკროეკონომიკური გარემოს სხვადასხვა მახასიათებლებზე, მათ შორის, კალათაში სურსათის ფარდობით წონაზე

დამოკიდებული. თავის მხრივ, კვლევაში გამოყენებულ ფილიპსის მრუდში წარმოდგენილ ნავთობისა და სურსათის ფასების ინფლაციებს, თავიანთი განმსაზღვრელი განტოლებები აქვთ:

$$\pi_t^{oil} = \beta_8 * \pi_{t-1}^{oil} + (1 - \beta_8) * (\pi_t^{oil international} + \Delta S_t^{\frac{GEL}{USD}} + \Delta Z_t) + \varepsilon_t^{\pi oil} \quad (3)$$

$$\pi_t^{food} = \beta_9 * \pi_{t-1}^{food} + (1 - \beta_9) * (\pi_t^{food international} + \Delta S_t^{\frac{GEL}{USD}} + \Delta Z_t) + \varepsilon_t^{\pi food} \quad (4)$$

კერძოდ, მე-3 განტოლება ასახავს ნავთობპროდუქტების, ხოლო მე-4 – სურსათის ინფლაციის დინამიკას. ორივე მათგანის სპეციფიკაცია მსგავსია და დამოკიდებულია საერთაშორისო ფასებზე, გაცვლითი კურსის დინამიკასა ($\Delta S_t^{\frac{GEL}{USD}} + \Delta Z_t$) და შოკებზე.

ზემოთ აღწერილი განტოლებების სპეციფიკაცია მოწმობს, რომ მიწოდების შოკის გავლენის ზომა სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. თუმცა, მოთხოვნის შოკებისგან განსხვავებით, როდესაც ე.წ. Divine Coincidence სრულდება, მიწოდების შოკზე რეაგირებისას მონეტარული პოლიტიკა გარკვეულწილად მოკლევადიანი დილემის წინაშე დგება. შესაბამისად, მონეტარული პოლიტიკა ერთობლივი მოთხოვნის მხრიდან წარმოშობილი ინფლაციური თუ დეფლაციური

წნეხის შესარბილებლად უფრო ეფექტიანია. უნდა აღინიშნოს, რომ მონეტარული პოლიტიკის რეალურ ეკონომიკაზე გავლენას გარკვეული ლაგი აქვს და სრული ეფექტი, როგორც წესი, 4-6 კვარტლის შემდგომ აისახება. თუმცა, გადაცემის სისწრაფე და ეფექტიანობა, ბევრ სხვადასხვა ფუნდამენტურ მაკროეკონომიკურ ფაქტორთან ერთად, დამოკიდებულია მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო ჩარჩოსა და ფინანსური ბაზრების განვითარების დონეზე. მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ გადაცემის ლაგის არსებობას განაპირობებს ფირმებისა და შინამეურნეობების ჩვევების ჩამოყალიბების (habit formation) ინერცია, რის ცვლილებასაც გარკვეული დრო სჭირდება. სწორედ ამიტომ, მოთხოვნის განტოლება წარმოდგენილია შემდგომი ფორმით:

$$\hat{y}_t = \alpha_1 \hat{y}_{t-1} + \alpha_2 E_t \{\hat{y}_{t+1}\} - \alpha_3 (\hat{r}_{t-1}^{eff} + \widehat{prem}_{t-1}) - \alpha_5 \hat{Z}_{t-1} + \alpha_6 \hat{y}_t^* + \alpha_7 \hat{g}_t - \alpha_8 \hat{s}_t^{\frac{GEL}{USD}} + \alpha_9 \widehat{cr}_t + \varepsilon_t^{\hat{y}} \quad (5)$$

ერთობლივი მოთხოვნის ციკლური კომპონენტი, ანუ გამოშვების გაპი ($\hat{y}$), განისაზღვრება: მისი წარსული მნიშვნელობით ($\hat{y}_{t-1}$), რაც ერთობლივი მოთხოვნის ინერციას და ჩვევების ფორმირებას ასახავს; მოსალოდნელი რეალური შემოსავლების გაპით ($E_t \{\hat{y}_{t+1}\}$); რეალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაპის ლაგით ($\hat{r}_{t-1}^{eff}$), რომელიც წარმოადგენს ადგილობრივი და უცხოური საპროცენტო განაკვეთების შეწო-

ნილ საშუალოს და ასახავს მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო არხის გავლენას; ქვეყნის რისკ-პრემიის გაპის ლაგით ($\widehat{prem}_{t-1}$). დამატებით, გამოშვების გაპი განისაზღვრება რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის წარსული მნიშვნელობით ($\hat{Z}_{t-1}$), რომელიც საგარეო მოთხოვნის ეფექტს ასახავს. თავის მხრივ, ეს ეფექტი განისაზღვრება სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში გამოშვების გაპით ($\hat{y}_t^*$) და

ერთობლივ მოთხოვნაზე მთავრობის სტრუქტურული ბიუჯეტის დეფიციტის გაპით (მ). ამასთან, საქართველოში ფინანსური დოლარიზაციის მაღალი დონის გათვალისწინებით, მოთხოვნის განტოლებაში საბალანსო უწყისის არხიცაა წარმოდგენილი. ერთობლივ მოთხოვნაზე საკრედიტო გაპი (მ) ახდენს გავლენას, რომელიც მონეტარული პოლიტიკის საკრედიტო არხის ასახვაა. ϵ_t^p მოთხოვნის შოკია.

როდესაც გამოშვების გაპი ნულისგან განსხვავებულია და შესაბამისად ფასებზეც ახდენს გავლენას, მონეტარული პოლიტიკის შესაბამისი რეაგირება, სხვა თანაბარ პირობებში, მას ნელ-ნელა აღმოფხვრის. შედეგად, ეკონომიკა გრძელვადიანი წონასწორული ზრდის ტრაექტორიას უბრუნდება, რომელსაც მიწოდების

მხარეს არსებული ფუნდამენტური ფაქტორები განსაზღვრავს, მათ შორისაა საწარმოო რესურსების პროდუქტიულობა და რაოდენობა. თავის მხრივ, ამ ფაქტორებზე გავლენას ახდენენ ტექნოლოგიური პროგრესი, დემოგრაფიული ვითარება და ეკონომიკის სხვა სტრუქტურული მახასიათებლები. მათზე მონეტარული პოლიტიკის გავლენა ბუნებრივადაა შეზღუდული, თუმცა ამ ფაქტორთა დინამიკა ოპტიმალური მონეტარული პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე მოქმედებს, რადგან გრძელვადიან წონასწორულ საპროცენტო განაკვეთს განსაზღვრავს, რომელთანაც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი გრძელვადიან პერიოდში უნდა ნორმალიზდეს. შესაბამისად, მონეტარული პოლიტიკის რეაქციის ფუნქცია წარმოდგენილი შემდგომი სახით:

$$i_t = \gamma_1 i_{t-1} + (1 - \gamma_1) [i_t^N + \gamma_2 E_t(\pi_{4,t+4} - \pi_{t+4}^{tar}) + \gamma_3 \hat{y}_t] + \epsilon_t^i - \gamma_4 \epsilon_t^T \quad (6)$$

t პერიოდში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (i_t) 4 კვარტლის შემდგომ მოსალოდნელი ინფლაციის მიზნობრივი დონიდან გადახრაზე $E_t(\pi_{4,t+4} - \pi_{t+4}^{tar})$ რეაგირებს. γ_2 პარამეტრის შეფასება კი თანხვედრაშია ტეილორის ტიპის წესთან, ანუ იგი 1-ს აღემატება. ამავდროულად, მონეტარული პოლიტიკა რეაგირებს გამოშვების გაპზე, თუმცა ფასების სტაბილურობის მანდატის გათვალისწინებით, γ_3 იმგვარადაა კალიბრირებული, რომ მონეტარული პოლიტიკა ცალკე აღებულ გამოშვების გაპზე უფრო სუსტად რეაგირებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მონეტარული პოლიტიკის რეაგირების ზომას ინფლაციის მიზნობრივი დონიდან გადახრის ფაქტორები განსაზღვრავს. კერძოდ, თუკი ინფლაცია მეტწილად მოთხოვნის ფაქტორებით არის გაზრდილი როგორც გამოშვების, ისე ინფლაციის გაპის ცვლილების შედეგად, პოლიტიკის რეაგირება უფრო მკაცრია. თუმცა, თუკი ინფლაცია მიზნობრივი დონიდან გადახრილია, მაგრამ ეკონომიკის ციკლური კომპონენტი ნულოვანია ან უარყოფითი, რეაგირება უფრო სუსტია. მიწოდების შოკების

დროს მონეტარული პოლიტიკის გამტარებლის დილემას მოკლევადიან პერიოდში გამოშვებასა და ინფლაციას შორის სწორედ პოლიტიკის რეაქციის ფუნქციის ამგვარი სპეციფიკაცია ასახავს. თუმცა, ინფლაციის თარგეთირების მქონე ცენტრალური ბანკებისთვის ფასების სტაბილურობის პრიორიტეტულობა γ_2 და γ_3 კოეფიციენტების ფარდობით კალიბრაციაში აისახება. კერძოდ, γ_2 კოეფიციენტი მნიშვნელოვნად აღემატება γ_3 -ს. ასევე, მნიშვნელოვანია γ_1 კოეფიციენტი, რომელიც ასახავს მონეტარული პოლიტიკის ცვლილების სიხისტეს. დაბოლოს, რეაქციის ფუნქცია მოიცავს მონეტარული პოლიტიკის ნეიტრალურ განაკვეთს - i_t^N , რომელიც განსაზღვრავს მონეტარული პოლიტიკის პოზიციის სიმკაცრეს.

მონეტარული პოლიტიკის შოკებზე რეაგირება: სცენარების მიმოხილვა


ზემოთ აღწერილი თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენებით, კვლევაში განხილულია სამი ტიპის სცენარი და თითოეულ შემთხვევაში შეფასებულია მონეტარული პოლიტიკის ოპტიმალური რეაგირება.

პირველი სცენარი მიწოდების მოკლევადიან უარყოფით შოკს (ε_t^1) მოიაზრებს. ვინაიდან მოლოდინები სრულად რაციონალური არ არის და მათი ფორმირებისას წარსული ინფლაცია გარკვეულ როლს ასრულებს, შოკის მოკლევადიანი ბუნების მიუხედავად, ფასების სტაბილურობასა და გამოშვებას შორის მოკლევადიანი დილემის პირობებშიც კი, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებაა ოპტიმალური (იხ. დიაგრამა 3). კერძოდ, ამ სცენარით, მიწოდების მხრიდან მომდინარე 1 პპ-ის ზომის დროებითი შოკი, პოლიტიკის ადეკვატური რეაგირების პირობებში, წლიურ ინფლაციას მოკლევადიან პერიოდში 0.3 პპ-ით ზრდის, რაც თავის მხრივ, პოლიტიკის განაკვეთის 0.17 პპ-ით ზრდაზე ენდოგენური პასუხია. პოლიტიკის განაკვეთის ზრდა გამოშვებას დაახლოებით 0.2 პპ-ით ამცირებს, რასაც დამატებით დისინფლაციური ეფექტი აქვს. ამ ტიპის მიწოდების შოკის დროს, ინფლაცია 4 კვარტლის შემდგომ უკვე უბრუნდება მის მიზნობრივ დონეს.

მეორე სცენარში განხილულია მოთხოვნის შოკი. კერძოდ, გამოშვების გაპის შოკის შედეგად

ε_t^2 1 პპ-ით იზრდება. ვინაიდან, მონეტარული პოლიტიკა მოთხოვნის შოკით განპირობებულ ინფლაციის ზრდას დაუყოვნებლივ პასუხობს, რასაც რეაქციის ფუნქციის შესაბამისი სპეციფიკაციაც ასახავს, ფასების სტაბილურობა საშუალოვადიან პერიოდში კვლავ უზრუნველყოფილია. კერძოდ, ამ სცენარში, მონეტარული პოლიტიკის პასუხი უფრო მკაცრია და განაკვეთი დაახლოებით 0.25 პპ-ით იზრდება. შედეგად, ფასებზე ჭარბი მოთხოვნის გადაცემის ეფექტი უფრო სუსტია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდა გამოშვებას და შემდგომ ინფლაციას არა მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის, არამედ გაცვლითი კურსისა და მოლოდინების არხითაც გადაეცემა. კერძოდ, განაკვეთის ზრდა გაცვლითი კურსის გამყარებას და საგარეო მოთხოვნის შეზღუდვით ჭარბი მოთხოვნის განეიტრალებას განაპირობებს, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკის ციკლური პოზიციის მალე დასრულებას უწყობს ხელს. შედეგად, ფილიპსის მრუდის წარმოდგენილი სპეციფიკაციის პირობებში, მოთხოვნის შოკი ინფლაციას მოკლევადიან პერიოდებში მხოლოდ 0.2 პპ-ით ზრდის.

დიაგრამა 3. შოკებზე რეაგირების ფუნქციები საქართველოსთვის



წყარო: ავტორთა შეფასებები.

რაც შეეხება მესამე სცენარს, მისი რეალიზება ცენტრალური ბანკისთვის ყველაზე არასასურველია. კერძოდ, აღნიშნული სცენარი ითვალისწინებს ერთმანეთის მიმყოლი მიწოდების შოკების დროს მონეტარული პოლიტიკის ორკვარტილიან დაგვიანებულ რეაგირებას. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, იმ შემთხვევაში, თუ მონეტარული პოლიტიკის რეაგირება ორი კვარტილით დაგვიანდა, მიწოდების თანმდევი შოკები მთლიან ინფლაციას 1.2 პპ-ით ზრდის, რომლის საპასუხოდ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება ჯამურად 1 პპ-ით ხდება საჭირო, რაც რეალური მშპ-ის გაპს კუმულატიურად

მნიშვნელოვნად ამცირებს. თუმცა, მსგავსი ტიპის სცენარის კიდევ ერთი უარყოფითი მხარე, თანმდევი შოკების ფონზე, ფასების დონის მნიშვნელოვანი ზრდაა. ზოგადად, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმში ეფუძნება პრინციპს, რომ დღეს ინფლაციის ტემპი არის მთავარი და არა ფასების დონე, ანუ, "Bygones are bygones"; თუმცა, ამის მიუხედავად, დაგვიანებული რეაგირების ფონზე, ფასების დონის მნიშვნელოვანი მატება ინფლაციური მოლოდინების მართვას მეტად ართულებს. საბოლოო ჯამში, აღნიშნული სცენარი არსებითად ზრდის მაკროეკონომიკური სტაბილურობის რისკებს და ამცირებს საზოგადოების კეთილდღეობას.

კეთილდღეობის დანაკარგის შეფასება სხვადასხვა ტიპის შოკების დროს

აღნიშნული სცენარების შედეგების შედარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ შემთხვევაში შეფასდეს კეთილდღეობის დანაკარგი. ზოგადად, ინფლაციის თარგეთირების მქონე ცენტრალურ ბანკებში კეთილდღეობის დანაკარგი (Welfare loss) სტანდარტულად ორი ძირითადი ცვლადის - ინფლაციის მიზნობრივი დონიდან გადახრისა და გამოშვების გაპის - მიხედვით ფასდება. მონეტარული პოლიტიკის კონტექსტში, როგორც წესი, ინფლაციის მიზნობრივი დონიდან გადახრის კომპონენტი უფრო რისკის შემცველად მიიჩნევა და მისი გადახრა უფრო არასასურველია. მეორე მხრივ, კეთილდღეობის დანაკარგის შეფასებისას ასევე გაითვალისწინება სხვა მაკროეკონომიკური პარამეტრების სტაბილურობა. მათ შორის არსებითია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის მაღალი მერყეობა, რომელიც კეთილდღეობის დანაკარგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი არხებით. ერთი მხრივ, მოკლევადიანი რეფინანსირების განაკვეთის ხშირი და მკვეთრი ცვლილებები რეალურ ეკონომი-

კაში დამატებით მერყეობებს ქმნის და ნდობას ამცირებს მონეტარული პოლიტიკის სამომავლო ტრაექტორიის კომუნიკაციის მიმართ (Forward Guidance), რაც საბოლოოდ ზღუდავს მის ეფექტიანობას და ფასების სტაბილურობის რისკებს ზრდის.

ამასთან, ზემოთ მოტანილი ლოგიკით, განსაკუთრებით განვითარებად ეკონომიკებში, ფასების დონის ხანგრძლივად მაღალ დონეზე შენარჩუნება ჰისტერეზისის რისკს აძლიერებს. ეს ნიშნავს, რომ შოკის გავლენა შესაძლოა მუდმივი გახდეს და ფასების დონე წინარე მაჩვენებელს არ დაუბრუნდეს, რაც, საბოლოო ჯამში, ზრდის ეკონომიკის საერთო დანაკარგს, რადგან გრძელვადიან პერსპექტივაში რესურსების არაეფექტიან გადანაწილებას იწვევს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის პირობებში მთავარი ორიენტირი ინფლაციაა, მოცემულ კვლევაში კეთილდღეობის დანაკარგის ფუნქციაში ერთ-ერთი კომპონენტია ფასების დონის ცვლილება. საბოლოოდ კეთილდღეობის დანაკარგის ფუნქცია (L) წარმოდგენილია შემდეგი ფორმით:

$$L_{t+i} = 0.7 * (\pi 4_{t+i} - \pi^*)^2 + 0.1 * \hat{y}_{t+i}^2 + 0.1 * (i_{t+i} - i_{t+i-1})^2 + 0.1 * (p_{t+i} - p_{t+i}^*)^2 \quad (7)$$

სადაც:

$\pi 4_{t+i} - \pi^*$ - პროგნოზირებული ინფლაციის მიზნობრივი დონიდან გადახრა;

$\hat{y}_{t+i}$ - გამოშვების გაპი;

$i_{t+1} - i_{t+i-1}$ - მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის მერყეობა;

$p_{t+i} - p_{t+1}$ - ფასების მისი ოპტიმალური დონიდან გადახრა.


საქართველოს ეკონომიკის შემთხვევაში, სხვა კომპონენტებთან შედარებით, ინფლაციის მიზნობრივი დონიდან გადახრის წონა ყველაზე მაღალია, რაც ასახავს როგორც ქვეყნის შოკების სტრუქტურას, ისე მონეტარული პოლიტიკის პრიორიტეტებს.

აღნიშნული ფუნქციის მიხედვით ზემოთ წარმოდგენილი სცენარების კეთილდღეობის დანაკარგის ფარდობითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოთხოვნის შოკით განპირობებულ ეფექტებთან შედარებით, ერთჯერადი მიწოდების შოკებით გამოწვეული დანაკარგი, რეაგირების

შემთხვევაშიც კი, დაახლოებით ორჯერ უფრო მეტია (იხ. დიაგრამა 4). ეს კი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მონეტარული პოლიტიკა მოთხოვნის მხრიდან მომდინარე შოკებზე ყველაზე ეფექტიანად რეაგირებს. მიწოდების თანმდევ შოკებზე მონეტარული პოლიტიკის

დაგვიანებული რეაგირება მნიშვნელოვნად ზრდის საერთო კეთილდღეობის დანაკარგს. შესაბამისად, ასეთი შოკების მიმართ არასაკმარისად სწრაფი პასუხი ცენტრალური ბანკისთვის გრძელვადიან პერიოდში ყველაზე არასასურველ სცენარს წარმოადგენს.

დიაგრამა 4. კეთილდღეობის დანაკარგის შეფასება საქართველოს ეკონომიკისთვის სხვადასხვა ტიპის შოკის პირობებში



წყარო: ავტორთა შეფასებები.

ეკონომეტრიკული ანალიზი

კვლევაში გამოყენებული თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით დადასტურდა, რომ იმ პირობებში, როდესაც ინფლაციური მოლოდინები ნაწილობრივ წარსული ინფლაციის ინერციით ფორმირდება, მიწოდების შოკებზე პასიური რეაგირება ხშირად ოპტიმალური არ არის. მიწოდების შოკების სიხშირე ინფლაციას ხანგრძლივად მაღალ დონეზე ინარჩუნებს, რაც ინფლაციური მოლოდინების ზრდის რისკებს აძლიერებს.

ზემოხსენებული შედეგების დამატებითი ჯვარედინი შეფასების და მონეტარული პოლიტიკის შოკებზე რეაგირების მონაცემის ანალიზმა აჩვენა, რომ, თუ მიწოდების შოკი ინფლაციური მოლოდინების ზრდის რისკებს წარმოშობდა, სებ მასზე ადეკვატურად პასუხობდა. მონეტარული პოლიტიკის ოპტიმალური რეაგირება შეიძლება გამოიხატოს როგორც პოლიტიკის შედარებით

მაღალი, ნეიტრალურზე მკაცრი პოზიციის ხანგრძლივად შენარჩუნებით, ისე პოლიტიკის განაკვეთის დამატებითი ზრდით.

საქართველოს შემთხვევაში მიწოდების შოკების ბუნება მეტწილად მოქნილი ფასების (სურსათის და ენერგომატარებლების ფასები) ზრდით გამოიხატებოდა. სამომხმარებლო კალათაში მოქნილი ფასების მაღალი წონის შედეგად, მათი ხშირი შოკები, შედარებით ხისტი ფასების ზრდის რისკებსაც აძლიერებს. მაგალითად, პანდემიის დროს აღნიშნული რისკი რეალობად იქცა. როგორც საქართველოს, ისე გლობალური ეკონომიკური პროცესების ანალიზი ცხადყოფს, რომ შედარებით მოქნილი ფასების ხანგრძლივი და მასშტაბური ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში, ხისტი ფასების ზრდის წინმსწრებ ინდიკატორს წარმოადგენს. ხოლო, თუ ხისტი ფასების ინფლაცია გაიზარდა, აღნიშნული მონეტარული პოლიტიკის მხრიდან უფრო მკაცრ რეაგირებას მოითხოვს.

მონეტარული პოლიტიკის შოკებზე ისტორიული რეაგირების შესაფასებლად საქართველოს მაგალითზე, ზემოთ წარმოდგენილ ანალიზთან ერთად ჩავატარეთ ეკონომეტრიკული ანალიზი, რომელთა შედეგები თანხვედრაშია. შევაფასეთ სებ-ის რეაგირება ხისტი და მოქნილი ინფლაციების საზომებზე. მოცემულ შემთხვევაში, უფრო ხანგრძლივი ისტორიული მწკრივის გამო, ხისტი ფასების საზომად აღებულია

საბაზო ინფლაცია, ხოლო მოქნილი ფასების საზომად არასაბაზო ინფლაცია, რომელიც დიდწილად სურსათის, ენერგომატარებლებისა და თამბაქოს სასაქონლო ჯგუფებს მოიცავს. ემპირიული ეკონომეტრიკული ანალიზისთვის გამოყენებულია სტრუქტურული ვექტორული ავტორეგრესული (SVAR) მოდელი, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სახით:

$$Y_t = A_1 * Y_{t-1} + \dots A_p * Y_{t-p} + B * Dummies + \varepsilon_t \quad (8)$$


Y_t ვექტორი მოიცავს ენდოგენურ ცვლადებს: გამოშვების გაზს, ნომინალური ეფექტური გავლითი კურსის ცვლილებას, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს, ასევე საბაზო და არასაბაზო ინფლაციებს (მოდელირებულია ცალ-ცალკე). *Dummies* შეიცავს ხარისხობრივ ცვლადებს, რომლებიც ასახავენ მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორიცაა პანდემია და რუსეთ-უკრაინის ომი, რომლებმაც არსებითი გავლენა მოახდინეს აღნიშნულ ცვლადებზე. ε_t წარმოადგენს სტრუქტურულ შოკებს.

SVAR მოდელი შეფასებულია კვარტალური მონაცემებით. ლაგების ოპტიმალური რაოდენობა შერჩეულია SIC კრიტერიუმით, რომელიც მიუთითებს ორი ლაგის ოპტიმალურობაზე. შეფასების შემდეგ ჩატარებულია სტანდარტული დიაგნოსტიკური ტესტები. სისტემის დინამიკური სტაბილურობის ტესტი დაკმაყოფილებულია.

აღნიშნულ სპეციფიკაციაზე დაყრდნობით, გავაანალიზეთ მონეტარული პოლიტიკის რეაგირება საბაზო (ხისტი) და არასაბაზო (მოქნილი) ინფლაციის შოკებზე. აღსანიშნავია, რომ ყველა ცვლადი სტანდარტიზებულია, რათა

შოკები ნორმალიზებული იყოს და ერთმანეთთან შესადარისი გახდეს. შესაბამისად, შოკი ინტერპრეტირდება როგორც ერთი სტანდარტული გადახრის შოკი, ხოლო ენდოგენური რეაქცია წარმოდგენილია ცვლადის სტანდარტული გადახრებით. ეს საშუალებას გვაძლევს შეფასდეს, რომელი ტიპის შოკზე იყო მონეტარული პოლიტიკის რეაგირება უფრო ძლიერი. ამავდროულად, შოკების ორთოგონალიზაცია განხორციელდა Cholesky-ს დეკომპოზიციის საშუალებით, რათა თითოეული შოკი სხვებისგან დამოუკიდებლად იყოს, რაც რეაქციის ფუნქციების უკეთ შეფასებას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ შედეგები, რომლებიც წარმოდგენილია დიაგრამა 5-ზე, თანხვედრაშია GEMO-ს იმპლიკაციებთან. კერძოდ, მონეტარული პოლიტიკის რეაგირება უფრო აქტიური იყო ხისტი ფასების შოკებზე, თუმცა სებ ნაწილობრივ პასუხობდა მოქნილი ფასების შოკებსაც, რათა მათი მაღალი სიხშირით გამოწვეული ინფლაციური მოლოდინების ზრდის რისკები განეიტრალებულიყო, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფდა ფასების სტაბილურობას.

დიაგრამა 5: მონეტარული პოლიტიკის რეაგირება საბაზო (ხისტი) და არასაბაზო (მოქნილი) ფასების 1 სტანდარტული გადახრის შოკებზე



წყარო: ავტორთა შეფასებები.

დასკვნა

ამრიგად, მიწოდების შოკებზე მონეტარული პოლიტიკის რეაგირება განსხვავდება მოთხოვნიდან მომდინარე შოკებზე პასუხისგან. მიწოდების შოკებზე რეაგირება ეკონომიკის დამატებით მერყეობას იწვევს. თუმცა, ამავედროულად მათზე დაგვიანებამ შეიძლება კეთილდღეობის კიდევ უფრო დიდი დანაკარგი და შემდგომში პოლიტიკის უფრო მკვეთრად გამკაცრების საჭიროება გამოიწვიოს.

მიწოდების უარყოფითი შოკის დროს, რომელიც ფასების ზრდასა და გამოშვების შემცირებას იწვევს, მიზანშეწონილია მოთხოვნის შოკთან

შედარებით უფრო ფრთხილი რეაგირება. თუმცა, მაღალი გაურკვევლობით სავსე გარემოში, სადაც შოკები გარდაუვალია და მათი ბუნება უცნობია, რისკების მინიმიზების მიზნით მნიშვნელოვანია გრძელვადიან პერიოდში მკაცრი პოზიციის შენარჩუნება. ეს მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებს საშუალებას მისცემს შეამცირონ გაურკვევლობის უარყოფითი გავლენა და თავიდან აიცილონ პოლიტიკის მკვეთრი გამკაცრების საჭიროება მომავალში. ასეთი მიდგომა ამყარებს მონეტარული პოლიტიკის მიმართ ნდობას და საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობას უწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბლუაშვილი, ა. (2015) 'ოპტიმალური ინფლაციის დონე საქართველოში', *ეკონომიკა და საბანკო საქმე*, 3(3), pp. 7–24.

Bandera, N., Barnes, L., Chavaz, M., Tenreyro, S. and von dem Berge, L. (2023) *Monetary policy in the face of supply shocks: the role of inflation expectations*. Frankfurt am Main: European Central Bank.

Benigno, P. and Rossi, L. (2021) 'Asymmetries in monetary policy', *European Economic Review*, 140(C), pp. 1–22.

Bernanke, B.S., Laubach, T., Mishkin, F.S. and Posen, A.S. (1999) 'Missing the mark: the truth about inflation targeting', *Foreign Affairs*, 78(5), pp. 158–161.

Blanchard, O. and Galí, J. (2007) 'Real wage rigidities and the New Keynesian model', *Journal of Money, Credit and Banking*, 39(1), pp. 35–65.

Bocola, L., Dovis, A., Jørgensen, K. and Kirpalani, R. (2025) *Monetary policy without an anchor*. National Bureau of Economic Research. doi: 10.3386/w34436.

Bušs, G. and Traficante, G. (2025) *The return of inflation: look-through policy under incomplete information*. Riga: Latvijas Banka.

Central Bank of Malaysia (2024) *Economic and monetary review: annual report*. Available at: https://www.bnm.gov.my/documents/20124/17523401/emr2024_en_book.pdf (Accessed: 19 November 2025).

Clarida, R., Galí, J. and Gertler, M. (1999) 'The science of monetary policy: a New Keynesian perspective', *Journal of Economic Literature*, 37(4), pp. 1661–1707.

Clarida, R., Galí, J. and Gertler, M. (2000) 'Monetary

policy rules and macroeconomic stability: evidence and some theory', *Quarterly Journal of Economics*, 115(1), pp. 147–180.

Del Negro, M., Lenza, M., Primiceri, G.E. and Tambalotti, A. (2020) *What's up with the Phillips curve?* Frankfurt am Main: European Central Bank.

Erceg, C.J., Lindé, J. and Trabandt, M. (2024) *Monetary policy and inflation scares*. Washington, DC: International Monetary Fund. doi: 10.5089/9798400295287.001.

Gáti, L. (2023) 'Monetary policy & anchored expectations – an endogenous gain learning model', *Journal of Monetary Economics*, 135, pp. 37–47. doi: 10.1016/j.jmoneco.2023.06.009.

Hazell, J., Herreño, J., Nakamura, E. and Steinsson, J. (2021) *The slope of the Phillips curve: evidence from US states*. National Bureau of Economic Research. Available at: <http://www.nber.org/papers/w28005> (Accessed: 19 November 2025).

Maechler, A.M. (2024) *Monetary policy in an era of supply headwinds – do the old principles still stand?* London: London School of Economics.

Pariès, M.D. and Moyen, S. (2012) 'Monetary policy and inflationary shocks under imperfect credibility', *Economics Letters*, 116(3), pp. 571–574.

Reis, R. (2022) *The burst of high inflation in 2021–22: how and why did we get here?* Basel: Bank for International Settlements.

Werning, I., Lorenzoni, G. and Guerrieri, V. (2025) *Tariffs as cost-push shocks: implications for optimal monetary policy*. National Bureau of Economic Research. doi: 10.3386/w33772.

დებატები მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) შესახებ და ეროვნული ანგარიშების განახლებული სისტემა (2025 SNA)

ნანა ასლამაზიშვილი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია მშპ-ის, როგორც ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლის, ნაკლოვანებების შესახებ დებატები. თანმიმდევრულად არის გაანალიზებული ამ მაჩვენებლის მიმართ გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები, რომლებიც ძირითადად მშპ-ის მიერ კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების არადაშლად აყოფილებელ ასახვაზე აკეთებენ აქცენტს. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ალტერნატიული მაჩვენებლებისგან განსხვავებით, რომელთა განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სუბიექტური აღქმები, მშპ-ის გაანგარიშება ემყარება ეროვნულ ანგარიშთა უნივერსალურ სისტემას, რომელსაც შესწევს უნარი გაუმკლავდეს როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური და ეკოლოგიური ხასიათის გამოწვევებს და მოახდინოს თვითადაპტირება მათ მიმართ. ამის საილუსტრაციოდ სტატიაში დახასიათებულია ის ძირითადი ცვლილებები, რომლებიც შევიდა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის განახლებულ ვერსიაში (2025 SNA).

საკვანძო სიტყვები: მშპ, კეთილდღეობა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, 2025 SNA, მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემები, კომპოზიტური ინდიკატორები, სტატისტიკური ნივნიერება.

შესავალი

მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის), როგორც ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის, და ზოგადად – ეროვნულ ანგარიშთა სისტემის

განვითარების მრავალწლიან ისტორიას, მკვლევარები სამ პერიოდად ყოფენ: ადრინდელი გაანგარიშებების პერიოდი (1660–1930 წწ.), რევოლუციური პერიოდი (1930–1950 წწ.) და საერთაშორისო მეთოდოლოგიების ერა (1950 წლიდან დღემდე) (Bos, 2017). თუმცა, ბოლო თითქმის ოცი წლის განმავლობაში მშპ-ის ირგვლივ გამართული ინტენსიური დისკუსიების გათვალისწინებით, სრულიად სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ ეს პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს მეოთხე – მშპ-ის მომხრეთა და მონინააღმდეგეთა აკადემიური დებატების ერად (2009 წლიდან დღემდე).

წინამდებარე სტატია სწორედ ბოლო – მეოთხე ეტაპს ეხება. ამის მიზეზი არა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მთელრიგსადაოსაკითხებზე კონსენსუსი ჯერ კიდევ არ არის მიღწეული და ეს თემატიკა კვლავაც აქტუალურია, არამედ იმაშიც, რომ:

- მიუხედავად აღნიშნული დებატების სიმრავლისა, ძალიან ცოტაა პუბლიკაცია, რომელიც პრობლემას განიხილავს კომპლექსურად – როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალთახედვით;
- იგნორირებული და დავიწყებულია მშპ-ის ისტორიული პერსპექტივა;
- დისკუსიები შემოიფარგლება მხოლოდ მშპ-ის ავტორიზაციაზე მსჯელობით და მხედველობაში არ მიიღება მაკროეკონომიკური სტატისტიკის სისტემური კონტექსტი.

მშპ-ის სტატისტიკა პირდაპირ გავლენას ახდენს მრავალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გადანაცვებებზე, თუმცა იშვიათად ინტერესდებიან მისი გენეზისით. ეროვნული ანგარიშთანხმების ცნობილი მეცნიერ-მკვლევარი, ანალიტიკოსი და პრაქტიკოსი ფრიც ბოსი, თავის არაერთ ნაშრომში, აღნიშნულის მიზეზად ყოველგვარი მორიდების გარეშე ასახელებს „ფართოდ გავრცელებულ უნიგნურობას“ ეროვნული ანგარიშთანხმების სფეროში (ib. Bos, 2009; Bos, 2013). მისი შეფასებით, დღევანდელი ვითარება რადიკალურად განსხვავდება იმ პერიოდისგან, როცა ამ სფეროში მოღვაწე სამ ეკონომისტს – საიმონ კუზნეცს, ვასილი ლეონტიევს და რიჩარდ სტოუნს – ნობელის პრემია მიენიჭათ, ხოლო არაერთი სხვა ნობელიანტი ეკონომისტი (ჰიკსი, მიდი, ფრიში, ტინბერგენი, კლეინი და სხვები) თავიანთ სამეცნიერო ნაშრომებს ეროვნულ ანგარიშთან სისტემასთან აკავშირებდა (Bos, 2013). ეს ის დრო იყო, როცა „... ყველანაირი ეკონომიკური ექსპერტი საჯარო დებატების მნიშვნელოვან მოთამაშედ იქცა და, უმეტეს შემთხვევაში, ისინი ერთგვარი კანონიკური ჭეშმარიტების მფლობელებად აღიქმებოდნენ“ (Fioramonti, 2013).

მშპ-ის შესახებ დისკუსიების გაძლიერების კვალობაზე დღითიდღე იზრდება შემოთავაზებული ალტერნატიული მაჩვენებლების რიცხვი, თუმცა აშკარაა, რომ ვერცერთმა მათგანმა ვერ მიაღწია წარმატებას და საერთაშორისო აღიარებას (Felice, 2015). მშპ-ის იოლად ჩანაცვლების იდეა მხოლოდ ილუზია შეიძლება იყოს, რადგანაც, ამ დრომდე შემოთავაზებული ალტერნატიული მაჩვენებლებისგან განსხვავებით, მისი გაანგარიშება ეფუძნება ეროვნული ანგარიშების უნივერსალურ სისტემას. ამ სისტემის უნიკალურობას ბევრი რამ განსაზ-

ღვრავს. ერთ-ერთი იმაში მდგომარეობს, რომ მას შესწევს სხვადასხვა გამოწვევის მიმართ ადაპტირების უნარი, თუმცა, ადაპტაციის სისწრაფე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა იგი მხარდაჭერილი მაღალი დონის მმართველი რგოლ(ებ)ის მხრიდან.

ის ფაქტი, რომ მშპ-ი მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა არ გამომდინარეობს მისი კონცეფციური შეუსაბამობიდან. ამაში ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი როლი ითამაშა მისმა გაფეთქებამ, თუმცა არა მისი პრინციპების და ფუნდამენტური მეთოდოლოგიის გამო, არამედ მისი პოლიტიკური ელფერისა და პროგრესის ერთადერთი მაჩვენებლის იმიჯის გამო, რომელიც მას დროთა განმავლობაში შეუქმნეს „მშპ-აზროვნების“¹ დამამკვიდრებლბმა. ამ საქმეში განსაკუთრებული „წვლილი“ საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეიტანეს (Stiglitz J., 2020). ეს საკითხი სერიოზული დაფიქრების საფუძველს იძლევა როგორც მშპ-ის მწარმოებლების, ისე მომხმარებლების მხრიდან, რადგანაც ახლა თითქმის ისეთივე მონდომებით მიმდინარეობს მისი დისკრედიტაციის კამპანია, როგორც წლების განმავლობაში – მისი გაფეთქების.

თუმცა, ეროვნულ ანგარიშთან სისტემის 2025 წლის ვერსიის (2025 SNA)² გამოქვეყნება სავარაუდოდ ჩააცხრობს მშპ-ის კრიტიკასთან დაკავშირებულ თითქმის 20-წლიან ვნებათაღელვას, რადგანაც ახლა მეტი კონცენტრირებაა საჭირო განახლებული სისტემის დანერგვაზე და ამ პროცესის ხელშეწყობაზე. აღნიშნული განახლებები კი საკმაოდ ბევრია და უმეტესწილად პასუხობს როგორც კრიტიკოსთა მიერ წამოჭრილ საკითხებს, ისე თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის წინაშე წარმოქმნილ გამოწვევებს.

1. ტერმინი, რომელიც შემოიღო 2001 წლის ნობელის პრემიის ლაურეატმა ჯოზეფ სტიგლიცმა იმ მცდარი შეხედულების აღსანიშნავად, რომელიც ამკვიდრებს მშპ-ის, როგორც პროგრესის ერთადერთი მაჩვენებლის პრიორიტეტს.

2. ეროვნულ ანგარიშთან სისტემის 2025 წლის ვერსია (2025 SNA) მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური კომისიის 56-ე სესიაზე (2025), როგორც ეროვნული ანგარიშების სტატისტიკის წარმოების საერთაშორისო სტანდარტი.

მშპ-ის კრიტიკა და ალტერნატიული მაჩვენებლების ძიება: ლიტერატურის მიმოხილვა

და მაინც, რაში მდგომარეობს პრეტენზიები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში გამოიკვეთა ამ „ძლევამოსილი“ მაჩვენებლის მიმართ? ამ კითხვაზე ზედაპირული პასუხი შეიძლება გაეცეს ალკოფორადოს მიერ ჩამოყალიბებული ერთი ძალიან მარტივი სენტენციით: „... არსებობს ბევრი რამ, რაც კარგია ეკონომიკისთვის და რაც არ არის კარგი საზოგადოებისთვის“ (Alcoforado, 2019). მაგალითად, ომები, გარემოს დაბინძურება, თამბაქოს მოხმარება, სატრანსპორტო კატასტროფები – ანუ კეთილდღეობის საწინააღმდეგოდ მოქმედი მოვლენები, რომლებიც აიძულებს მთავრობასა და ადამიანებს დახარჯონ ფული, რაც ზრდის მშპ-ს. სწორედ ამ დილემისადმი მშპ-ის მიმართება გახდა მისი კრიტიკის საფუძველი.

მშპ-ის წინამორბედის – მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის ფუძემდებელი საიმონ კუზნეცი არ განიხილავდა მშპ-ს, როგორც კეთილდღეობის ამსახველ მაჩვენებელს. ჯერ კიდევ 1934 წელს, მის მიერ წარდგენილ ანგარიშში, კუზნეცმა გააფრთხილა აშშ-ის სენატი, რომ ეროვნული შემოსავლის სტატისტიკა ზომავს ქვეყნის საწარმოო და სამომხმარებლო შესაძლებლობებს და არა კეთილდღეობას (Kuznets, 1934). შემდგომ წლებში იგი ხაზს უსვამდა, რომ აუცილებელია „... გვახსოვდეს განსხვავებები ზრდის რაოდენობასა და ხარისხს, მის ხარჯებსა და შემოსავალს, ასევე მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივას შორის“ (Kuznets, 1954). მისი აზრით, ზრდის მიზნები იმის იდენტიფიცირებას უნდა ახდენდეს, თუ რის ზრდას და რისთვის ვესწრაფვით (Kuznets, 1962).

სწორედ ქვეყნების საწარმოო და სამომხმარებლო შესაძლებლობების გაზომვის მიზნით შეიქმნა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, რომლის ცენტრალური მაჩვენებელი – მშპ-ი წარმოების შეფასებისთვის იყო გამოიზნული და არა კეთილდღეობის გასაზომად. თუმცა, არის მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა შესწავლის

საშუალებას ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ჩარჩო იძლევა და ეს ნათლადაა გადმოცემული მის ერთ-ერთ დებულებაში (პ.1.84) (UN, 2009):

„კეთილდღეობა ფართომასშტაბიანი ცნებაა მრავალი განსხვავებული ასპექტით. ზოგიერთი მათგანი შეიძლება საკმაოდ კარგად აისახოს სოციალური ანგარიშების ერთი ან რამდენიმე ძირითადი აგრეგატით. სხვების ასახვა შესაძლებელია სოციალური ანგარიშების ძირითადი სტრუქტურის გამოყენებით და მისი გარკვეული მიმართულებით გაფართოებით, მაგალითად, აუნაზღაურებელი მომსახურებისა და გარემოზე მიყენებული ზიანის შედეგების ჩათვლით. თუმცა, სხვა ასპექტები, სავარაუდოდ, სამუდამოდ დარჩება ისეთი სისტემის მიღმა, რომელიც კეთილდღეობის გაზომვას არ ისახავს მიზნად. სისულელე იქნება ამის უარყოფა, ისე როგორც არარეალურია იმის მოლოდინი, რომ ეკონომიკური ანგარიშების სისტემა აუცილებლად და ავტომატურად იქნება კეთილდღეობის სრულყოფილი საზომი“.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში დასავლეთში მშპ-ი ეკონომიკური ზრდის შეფასების მთავარ მაჩვენებლად იქცა. ეს იყო „კაპიტალიზმის ოქროს ხანა“ („Golden age“) აშშ-ში, „ეკონომიკური სასწაული“ გერმანიასა („Wirtschaftswunder“) და იტალიაში („Miracolo economico“) და „დიდებული ოცდაათიანი“ („les trente glorieuses“) საფრანგეთში. მშპ-ი იყო ის მაჩვენებელი, რომლითაც შესაძლებელი გახდა იმ პროგრესის გაზომვა, რასაც ქვეყნებმა მიაღწიეს ომის შემდგომ პერიოდში.

1978 წელს ირვინგ ბ. კრავისმა, ალან ვ. პესტონმა და რობერტ სამერსმა ბრიტანულ „ეკონომიკურ ჟურნალში“ გამოაქვეყნეს ერთ მოსახლეზე მშპ-ის პირველი შეფასებები 100-ზე მეტი ქვეყნის მიხედვით (Kravis et al., 1978), რომლის, როგორც კეთილდღეობის ამსახველი ინდიკატორის, გამოყენებაც მოგვიანებით აქტიურად დაიწყო საერთაშორისო ორგანიზაციებმა. ეროვნულ

ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგიურ დოკუმენტში (2008 SNA) პირდაპირაა აღნიშნული, რომ „საერთაშორისო შედარების პროგრამა (ICP) აფასებს მშპ-ის აბსოლუტურ დონეებს, ასევე მშპ-ს მოსახლეობის ერთ სულზე სხვადასხვა ქვეყანაში, რათა დაადგინოს კეთილდღეობის ფარდობითი დონე“ (UN, 2009). მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ფართოდ დამკვიდრდა პოლიტიკური ნარატივი: „ზრდა კარგია“ და, შესაბამისად, მშპ-მ მყარად განიმტკიცა ადგილი როგორც შიდა, ისე საერთაშორისო პოლიტიკურ სტრუქტურებში. იგი იქცა სამთავრობო სესხების მიღების, დახმარებების გამოყოფის, საერთაშორისო შედარებებისა და ა.შ. საფუძვლად (Cresida, 2023).

ის რომ მშპ-ი არ ასახავს საზოგადოების კეთილდღეობის დონეს, ამ მაჩვენებლის მიმართ კრიტიკული განწყობის მთავარი არგუმენტი იყო. ჯერ კიდევ 1968 წლის დასაწყისში, როდესაც ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მე-2 ვერსია არც კი იყო გამოქვეყნებული, სენატორი რობერტ კენედი, კანზასის უნივერსიტეტის სტუდენტებთან გამოსვლისას, საკმაოდ პათეტიკურად გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას მშპ-ის მიმართ (Kennedy, 1968):

„მთლიანი შიდა პროდუქტი არ ითვალისწინებს ჩვენი შვილების ჯანმრთელობას, მათი განათლების ხარისხს და თამაშის სიხარულს. ის არ მოიცავს ჩვენი პოეზიის სილამაზეს და ჩვენი ოჯახების სიმყარეს, ჩვენი საჯარო გამოსვლების სიბრძნეს და ჩვენი საჯარო მოხელეების კეთილსინდისიერებას. ის არ ზომავს არც ჩვენს ჭკუას, არც ჩვენს სიმამაცეს, არც ჩვენს სიბრძნეს და არც ჩვენს ცოდნას, არც ჩვენს თანაგრძნობას და არც ჩვენს ერთგულებას ჩვენი ქვეყნის მიმართ. ის ზომავს ყველაფერს გარდა იმისა, რაც ჩვენს ცხოვრებას ღირებულს ხდის. მას შეუძლია ყველაფერი მოგვიყვას ამერიკაზე, გარდა იმისა, თუ რატომ ვამაყობთ იმით, რომ ვართ ამერიკელები“.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეს თემა მეტ-ნაკლებად აქტუალური რჩებოდა მკვლევარ ეკონომისტთა შორის. შესაბამისად, მომწიფდა იდეა მშპ-ის ალტერნატიული ინდიკატორების შემოღების შესახებ და როგორც ცალკეული ეკონომისტების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით შეიქმნა საკმაოდ ბევრი ასეთი მაჩვენებელი.

ვან დენ ბერგის მიხედვით, მშპ-ის დღემდე შექმნილი ალტერნატიული მაჩვენებლები, მათი შინაარსის მიხედვით ოთხ ტიპად შეიძლება დაიყოს (van den Bergh, 2008):

1. მაჩვენებლები, რომლებიც პრაგმატული მიდგომით მშპ-ის კორექტირებას ახდენს მისგან/მასზე გარკვეული კომპონენტების გამოკლებით/დამატებით (მაგალითად, ISEW – მდგრადი ეკონომიკური კეთილდღეობის ინდექსი, SNBI – მდგრადი წმინდა სარგებლის ინდექსი, GPI – ნამდვილი პროგრესის ინდიკატორი);
2. მაჩვენებლები, რომლებიც მშპ-ს ეყრდნობა, თუმცა ფოკუსირებულია გარემოსდაცვით ფაქტორებსა და ბუნებრივი რესურსების შემცირებაზე (მაგალითად, SNI – მდგრადი ეროვნული შემოსავალი);
3. ნამდვილი დაგროვების (ან ინვესტიციების) ინდიკატორი, რომელიც ფოკუსირებულია სიმდიდრის შენარჩუნებაზე და ზრდაზე და განისაზღვრება, როგორც ეკონომიკური, ადამიანური და ბუნებრივი კაპიტალის ჯამი (GS – ნამდვილი დაგროვება);
4. სოციალური კეთილდღეობის ამსახველი კომპოზიტური ინდექსები, რომლებიც აერთიანებს მთელ რიგ სოციალურ მაჩვენებლებს (მაგალითად, HDI – ადამიანური განვითარების ინდექსი, IHDI – უთანასწორობით კორექტირებული ადამიანური განვითარების ინდექსი, GII – გენდერული უთანასწორობის ინდექსი, MPI – მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ინდექსი, HPI – ბედნიერი პლანეტის ინდექსი).

საერთო დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც ამ და სხვა ალტერნატიულ კომპოზიტურ ინდექსებს აქვთ, ის არის, რომ მრავალგანზომილებიანი შეფასებების მისაღებად ისინი იყენებენ როგორც გამოთვლამდელ მრავალგანზომილებიან, ისე გამოთვლის შემდგომი მგრძნობელობის ანალიზის მეთოდებს, კომპლექსური კომპიუტერული გაანგარიშებების გამოყენებით (Felice, 2015). აქედან გამომდინარე, ასეთი ინდიკატორებს ახასიათებთ აბსოლუტური გაუმჭირვალობა, რასაც არანაკლები ზიანის მოტანა შეუძლია ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკისათვის, ვიდრე „არასრულყოფილ მშპ-ს“.

ალტერნატიული ინდიკატორების გაზომვასთან დაკავშირებულ სიძნელებებზე საუბრობს მათი ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი დაიან კოილი. იგი აღნიშნავს, რომ კეთილდღეობა დამოკიდებულია ინდივიდების ცხოვრებისეული გარემოებების მრავალ ასპექტზე. ხშირად, მისი გაზომვა გულისხმობს ადამიანების ცხოვრებით კმაყოფილების ან შფოთვის დონის გამოკითხვას.³ თუმცა, ალტერნატიულ ინდიკატორებს შეზღუდვები აქვთ. „მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ კეთილდღეობასა და ეკონომეტრიკული ანალიზით გამოვლენილ ფაქტორებს შორის კავშირები – როგორიცაა დასაქმება ან კარგი ფსიქიკური ჯანმრთელობა – ინტუიციურია, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები კარგად არ არის გაგებული“ (Coyle, 2021). დეპრესიული ადამიანისთვის შესაძლოა თერაპიას სარგებლის მოტანა შეუძლია, როგორც ამას კეთილდღეობის დამცველები ხშირად აღნიშნავენ, მაგრამ ღირსეული საცხოვრებელი შეიძლება კიდევ უფრო ეფექტიანი იყოს ამ მიზნის მისაღწევად. თავისი მსჯელობის საფუძველზე დაიან კოილი იქვე ასკვნის, რომ „კეთილდღეობაზე დაფუძნებულ საჯარო პოლიტიკას ჯერ კიდევ არ აქვს თეორიული საფუძველი“ (Coyle, 2021).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მშპ-ის ალტერნატიული კომპოზიტური მაჩვენებლების

მომავალი პერსპექტიულად არ გამოიყურება. პირველ რიგში, როგორც ჯ. ჰირატა აღნიშნავს (რაც სრულიად მისაღებია ჩვენთვის), საზოგადოების წარმატების შეფასება რაიმეს შეჯამებით, კეთილდღეობის მრავალგანზომილებიანი ბუნების გათვალისწინების გარეშე, არ შეიძლება ჩაითვალოს დამაჯერებელ პოზიციად (Hirata, 2014). მეორე მხრივ, ასეთი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიების ბუნდოვანების გამო, მათი „ბრმად“ და გაუაზრებლად გამოყენება აზრს უკარგავს თვით კვლევებსა და ანალიზს, ქმნის რეალობის არასწორი და სუბიექტური ინტერპრეტაციის საფუძველს, რაც უკიდურესად საფრთხილოა.

2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი და მშპ-ის კრიტიკის ახალი ტალღა

მშპ-ის კრიტიკის ახალი ტალღა 2007-2009 წლების გლობალურ ფინანსურ კრიზისს უკავშირდება. 2008 წლის თებერვალში, თავის ერთ-ერთ გამოსვლაში, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას, საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ეჭვის ქვეშ დააყენა მთლიანი შიდა პროდუქტის, როგორც ქვეყნების ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო შედეგების ამსახველი მაჩვენებლის კეთილსაიმედოობა და დაჟინებით მოუწოდა სხვა სახელმწიფოების მესვეურებსაც გაემკაცრებინათ ამ მაჩვენებლის კრიტიკა. უფრო მეტიც, მან სთხოვა ნობელის პრემიის ლაურეატებს ჯოზეფ სტიგლიცსა და ამართია სენს, აგრეთვე ფრანგ ეკონომისტს ჟან-პოლ ფიტუსს, სათავეში ჩადგომოდნენ სპეციალურ კომისიას, რომელიც შეიმუშავებდა რეკომენდაციებს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის გაზომვის ახალი მეთოდების შესახებ.

2009 წლის 14 სექტემბერს საფრანგეთის მთავრობამ გამოაქვეყნა „სტიგლიცის ანგარიშის“ სახელით ცნობილი 292 გვერდიანი დოკუ-

3. მაგალითად, ამ მიზნით, გაერთიანებული სამეფოს ეროვნული სტატისტიკის ოფისი პანდემიის განმავლობაში აკვირდებოდა ადამიანთა შფოთვისა და დეპრესიას.

მენტი – „კომისიის ანგარიში ეკონომიკური მაჩვენებლებისა და სოციალური პროგრესის გაზომვის შესახებ“ (Stiglitz et al., 2009), რომლის თანაავტორი ჯოზეფ სტიგლიცი მოუწოდებს დასრულდეს „მშპ-ის ფეტიშიზმი“. კრიტიკა ძირითადად შეეხებოდა იმას, რომ მშპ-ი:

- არ ზომავს კეთილდღეობას: მისი დანიშნულება არასდროს ყოფილა საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაზომვა, მისი მიზანი იყო საბაზრო აქტივობების შეფასება. ის ვერ ასახავს ცხოვრების ხარისხის ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება, დასვენება და სოციალური კავშირები;
- უგულებელყოფს უთანასწორობას, რადგანაც მშპ-ი ერთ სულ მოსახლეზე საშუალო მაჩვენებელია და მალავს უთანასწორობას მოსახლეობის შემოსავლებში;
- არ ასახავს არასაბაზრო საქმიანობას, მაგალითად, აუნაზღაურებელ შრომას (ბავშვებისა და მოხუცების მოვლა, სახლის საქმეები), მოხალისეობრივ შრომას, რაც ამცირებს ქალების წვლილს მშპ-ში;
- არ ითვალისწინებს მდგრადობას: მაგალითად, ბუნებრივი რესურსების შემცირება (ტყეების გაჩეხვა, ზედმეტი თევზჭერა) და გარემოს დაზიანება (დაბინძურება, კლიმატის ცვლილებაზე ზემოქმედება) დადებით ეკონომიკურ აქტივობად მიიჩნევა (მაგალითად, ტყის ჭრა ზრდის მშპ-ს, მაგრამ ტყის საფარის დაკარგვა არ ამცირებს). ანუ, ის არ განასხვავებს სასარგებლო და დამანგრეველ ეკონომიკურ აქტივობებს გრძელვადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით. ამდენად, მშპ-ის ზრდა ხშირად მიიღწევა ბუნებრივი რესურსების ამოწურვისა და გარემოს დაბინძურების ხარჯზე, რასაც არ ითვალისწინებს ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, მაშინ როდესაც გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყანა შეიძლება ღარიბდებოდეს ბუნებრივი კაპიტალის შემცირების გამო;
- თვლის, რომ „ცუდი“ არის „კარგი“. ნეგატიური

მოვლენების გამო (მაგ., სტიქიური უბედურების შემდეგ აღდგენითი აქტივობები, ჯანდაცვის ხარჯები გარემოს დაბინძურებით გამოწვეული დაავადებების გამო, უსაფრთხოების ხარჯები დანაშაულის გამო) გაწეული ხარჯები ზრდის მშპ-ს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კეთილდღეობას არ ასახავს;

- ფოკუსირებას ახდენს ნაკადებზე და არა მარაგებზე: მშპ-ი ზომავს საქონლისა და მომსახურების ნაკადს მოცემულ პერიოდში, მაგრამ არ ითვალისწინებს ქვეყნის აქტივების მდგომარეობას, მათ შორის ბუნებრივი კაპიტალის, ადამიანური კაპიტალის და ინფრასტრუქტურის.

აღნიშნული დოკუმენტის გამოქვეყნებას მოჰყვა მშპ-ის კრიტიკის ახალი ტალღა. ამ არგუმენტების სიას გარკვეულად აგრძელებენ სხვა, ასევე ცნობილი ეკონომისტები (მაგალითად, იხ.: Pilling, 2018; Coyle, 2014; Cassiers and Thiry, 2014, Hoekstra, 2019 და სხვები):

- მშპ-ი წარმოების ეპოქის რელიქვიაა: იგი არ ასახავს ციფრული ეკონომიკის მზარდ მნიშვნელობას, სადაც ღირებულების განსაზღვრა უფრო რთულია (მაგ., უფასო ონლაინ სერვისები, როგორიცაა ვიკიპედია);
- არ ზომავს ხარისხს: მშპ-ის ზრდა შეიძლება უბრალოდ რაღაცაზე მეტს ნიშნავდეს და არა აუცილებლად უკეთეს ხარისხს (მაგ., თვითმფრინავის ჩამოვარდნა, რაც ახალი თვითმფრინავების შეკვეთებს იწვევს, ზრდის მშპ-ს);
- ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის საშუალო მაჩვენებელი ჩქმალავს მწვავე უთანასწორობას და არ ასახავს ადამიანების უმეტესობის ცხოვრებისეულ გამოცდილებას;
- ამახინჯებს პრიორიტეტებს: მშპ-ის ზრდასადმი დაუოკებელმა სწრაფვამ შეიძლება შეიწიროს გარემოსდაცვითი, საზოგადოებრივი სერვისებისა და სოციალური სამართლიანობის ინტერესები;
- მშპ-ი გამოიყენება ციფრულ ეკონომიკას და არამატერიალურ აქტივებს: თანამედროვე

ეკონომიკაში მრავალი ღირებული საქმიანობა (მაგ., პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა ღია საწყისი კოდით, ონლაინ ურთიერთქმედებები) არ აისახება მასში;

- არ ითვალისწინებს კაპიტალის ცვეთას: მდგრადობის არგუმენტის მსგავსად, მშპ-ი სრულად არ ითვალისწინებს ფიზიკური ინფრასტრუქტურის ცვეთას ან ბუნებრივი კაპიტალის შემცირებას;
- აუნაზღაურებელი სამუშაო: მშპ-ი არ ასახავს აუნაზღაურებელ შრომას და ეკონომიკური საქმიანობის არასრულ სურათს იძლევა;
- სოციალური მიზნები იზრდება, რასაც ვერ პასუხობს ეკონომიკური ზრდა;
- ეკონომიკური ზრდისა და ცხოვრებით კმაყოფილების სუბიექტური შეფასებების დაშორიშორება სულ უფრო საგრძნობი ხდება;
- რთული და გადაუდებელი ეკოლოგიური პრობლემები საგანგაშოა, რასაც ვერ პასუხობს მშპ-ი.

„სტიგლიცის ანგარიშმა“ უდაოდ დიდი ყურადღება მიიპყრო ეკონომისტების, პოლიტიკის შემქმნელებისა და სტატისტიკოსების წრეებში. თუმცა, ჯერ კიდევ ე.წ. სტიგლიცის კომისიის შექმნამდე არსებობდა კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ ეკონომიკური ზრდის გაზომვა არ არის საკმარისი და საჭიროა კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების ამსახველ დამატებით ინდიკატორებზე შეთანხმება.

2004 წელს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მთავარი სტატისტიკოსის ენრიკო ჯოვანინის თაოსნობით, გაიმართა OECD-ის სტატისტიკის, ცოდნისა და პოლიტიკის პირველი მსოფლიო ფორუმი, რომლის მიზანი იყო საერთაშორისო კვლევისა და გამოცდილების გაზიარება იმის შესახებ, თუ როგორ იზომება პროგრესი და რა არის გასაკეთებელი კეთილდღეობის გაზომვის მიმართულებით (Eurostat, 2010).

სამი წლის შემდეგ, ანალოგიურ მსოფლიო ფორუმზე, რომელსაც 130 ქვეყნის 1200-მდე

წარმომადგენელი ესწრებოდა, OECD-ის ინიციატივით, საფუძველი ჩაეყარა „საზოგადოებების პროგრესის გაზომვის გლობალურ პროექტს“, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრება ძირითადი ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ინდიკატორები, რათა შეიქმნას საზოგადოების კეთილდღეობის განვითარების ყოვლისმომცველი სურათი (Eurostat, 2010).

2007 წლის ნოემბერში, ევროკომისიამ, ევროპარლამენტმა, რომის კლუბმა, OECD-მა და ბუნების მსოფლიო ფონდმა უმასპინძლეს მაღალი დონის კონფერენციას თემაზე „მშპ-ის მიღმა“, რომლის მიზანი იყო ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ინდიკატორების შემუშავების საკითხების განხილვა. შედეგად, 2009 წლის აგვისტოში, „სტიგლიცის ანგარიშის“ გამოქვეყნებამდე ერთი თვით ადრე, გამოქვეყნდა ევროკავშირის პოლიტიკის დოკუმენტი – „მშპ-ი და მის მიღმა: პროგრესის გაზომვა ცვალებად მსოფლიოში“ (Commission of the European Communities, 2009).

როგორც ევროკავშირის, ისე „სტიგლიცის“ ანგარიში მძლავრი იმპულსი იყო საზოგადოების მდგრადობისა და კეთილდღეობის გაზომვის საერთაშორისო სტანდარტის შემუშავების გზაზე.

რა შეიძლება იყოს მშპ-ის ალტერნატივა? ავტორების დიდი ნაწილი იზიარებს „სტიგლიცის ანგარიშში“ მოცემულ რეკომენდაციას საინფორმაციო ტაბლოს (Dashboard) შექმნის შესახებ (Eurostat, 2010). მისი ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების შეფასება უნდა მოხდეს არა ერთი რომელიმე მაჩვენებლის, არამედ მაჩვენებლების გარკვეული ნაკრების მეშვეობით. ამასთან, აღნიშნული ანგარიშის ავტორები, კომპოზიტური ინდიკატორების გაანგარიშების სირთულის, გაუმჭირვალობის, შეწონვების სუბიექტურობის და სხვა ნაკლოვანებების გათვალისწინებით, უპირატესობას მცირე ზომის ტაბლოს ანიჭებენ (Stiglitz et al., 2009).

მდგრადობასა და კეთილდღეობაზე გათვლილი საინფორმაციო ტაბლოს მოდელი რამდენიმე პრინციპს ეფუძნება:

- ფოკუსი კეთილდღეობაზე და არა მხოლოდ ეკონომიკურ აქტივობაზე: მშპ-ი ზომავს წარმოებას, მაგრამ არა კეთილდღეობას. საინფორმაციო ტაბლო ყურადღებას ცხოვრების ხარისხზე ამახვილებს, მათ შორის ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, გარემოს დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე;
- მრავალგანზომილებიანობა: კეთილდღეობა მრავალმხრივია, ამდენად შეუძლებელია სოციალური პროგრესის ერთ ინდიკატორზე დაყვანა;
- მდგრადობა: ინდიკატორები უნდა ასახავდეს გრძელვადიან მდგრადობას ანუ კეთილდღეობის არსებული დონის შენარჩუნებას მომავალში (შეიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ განზომილებებს);
- ინკლუზიურობა და სამართლიანობა: აფასებს კეთილდღეობის განაწილებას რეგიონებისა და სოციალური ჯგუფების მიხედვით;
- სტატისტიკურისანდობა და გამჭვირვალობა: ინდიკატორები უნდა იყოს დამატებული, გაზომვადი და შედარებადი, ხოლო მეთოდები და წყაროები გამჭვირვალე;
- პოლიტიკური რელევანტურობა: ინდიკატორები უნდა ახდენდნენ პოლიტიკის ინფორმირებას და გამოკვეთდნენ პრობლემურ სფეროებს, რაც საბოლოო ჯამში პოლიტიკური გადაწყვეტილებების გაუმჯობესებას უნდა უწყობდეს ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო ტაბლო, როგორც კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების გაზომვის ინსტრუმენტი, ჯერ არ წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტს, მისი პრინციპები უკვე საკმაოდ ფართოდ გამოიყენება როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე.

საერთაშორისო დონეზე საინფორმაციო ტაბლოს იდეის რეალიზაციის კარგი მაგალითია OECD-ის უკეთესი ცხოვრების ინდექსი⁴ (Better Life Index), რომელიც 2011 წელს შეიქმნა და ეფუძნება ამ ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ კეთილდღეობის ინტერაქტიურ ტაბლოს⁵. უკანასკნელი მოიცავს 11 განზომილებას (საცხოვრისი, შემოსავალი, სამუშაო ადგილი, განათლება, გარემო, მმართველობა, ჯანმრთელობა და სხვა). თითოეული განზომილება შედგება 1-დან 4-დე ინდიკატორისაგან, რომელთა შეფასება ხდება 0-დან 1-მდე ქულით. აღნიშნული ინდიკატორების გასაშუალოება თითოეული განზომილების ფარგლებში მათი შეფასების საშუალებას იძლევა. განზომილებათა წონა ინდექსში თანაბარია, შესაბამისად, ინდექსის გამოანგარიშება განზომილებათა ქულების გასაშუალებით ხდება. განზომილებათა თანაბარი შეწონვა „უკეთესი ცხოვრების ინდექსი“-ის ნაკლად მიიჩნევა, რადგანაც მაღალი კორელაცია მათ შორის ორმაგი აღრიცხვის რისკს წარმოშობს.

საერთაშორისო დონეზე საინფორმაციო ტაბლოს გამოყენების კიდევ ერთი მაგალითია ევროსტატის „ცხოვრების ხარისხის ინდიკატორები“⁶ (Quality of Life Indicators – QoL Dashboard). ეს არის მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც 2013-2015 წლებიდან ქვეყნდება და მოიცავს კეთილდღეობის 9 განზომილებას, რომელთაგანაც ერთი – ცხოვრებით საერთო კმაყოფილება (Overall Experience of Life) სუბიექტურ კეთილდღეობას ასახავს, ხოლო დანარჩენი 8 – ფუნქციური შესაძლებლობების როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ შეფასებებს (ცხოვრების მატერიალური პირობები, სამეწარმეო და სხვა საქმიანობა, ჯანმრთელობა, დასვენება და სოციალური ურთიერთქმედება, ეკონომიკური და ფიზიკური უსაფრთხოება და სხვა) (EUROSTAT, 2024). OECD-ის ინდექსისგან

4. OECD (no date) *OECD Well-being Data Monitor*. Available at: <https://www.oecd.org/en/data/tools/well-being-data-monitor.html> (Accessed: 25 November 2025).

5. OECD (no date) *OECD Better Life Index*. Available at: <https://www.oecd.org/en/data/tools/oecd-better-life-index.html> (Accessed: 20 November 2025).

6. Eurostat (no date) *Quality of life indicators*. Available at: https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Quality_of_life_indicators (Accessed: 20 November 2025).

განსხვავებით, ევროსტატი ერთიან ინდექსს არ ითვლის. მსგავსება კი იმაშია, რომ ორივე შემთხვევაში დიდ როლს თამაშობენ სუბიექტური შეფასებები, რაც ართულებს ქვეყნებს შორის შედარებას.

საინფორმაციო ტაბლოს იდეას აქტიურად იზიარებენ ეროვნულ დონეზეც. მაგალითად, საფრანგეთის სტატისტიკური უწყება – INSEE აქვეყნებს სიმდიდრის ინდიკატორებს (Indicateurs de richesse), რომელიც მოიცავს სამი განზომილებით (ეკონომიკა, სოციალური კეთილდღეობა და გარემო/მდგრადობა) დაჯგუფებულ 10 ინდიკატორს (დასაქმება, კვლევისა და განვითარების ხარჯები (მშპ-ის %), კერძო და სახელმწიფო ვალი, სიცოცხლის ხანგრძლივობა, ცხოვრებით კმაყოფილება, შემოსავლების უთანასწორობა, სიღარიბის დონე და სხვა). ეს არის მრავალგანზომილებიანი და კომბინირებული სისტემა, რომელიც იყენებს როგორც ობიექტურ სტატისტიკურ მონაცემებს, ისე სუბიექტურ შეფასებებს (ძირითადად სოციალური კეთილდღეობის და კმაყოფილების ასპექტებში). თუმცა, საბოლოო შედეგი არ არის ერთი ინდექსი, არამედ – რამდენიმე კომპონენტისგან შემდგარი ტაბლო. ანალოგიური საინფორმაციო ტაბლოები სხვა ქვეყნებშიც გამოიყენება; მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოსა (ეროვნული კეთილდღეობის ინდიკატორები) (National Wellbeing Indicators)⁷ და ახალ ზელანდიაში (ცხოვრების დონის ჩარჩო (Living Standards Framework (LSF)) (The Treasury, 2018; The Treasury, 2021; The Treasury, 2022).

საინფორმაციო ტაბლოს რამდენადმე განსხვავებული მოდელი მოქმედებს კანადაში, სადაც 2021 წლიდან ქვეყნდება კანადის კეთილდღეობის ინდექსი⁸ (Canadian Index of Wellbeing (CIW), რომელიც მოიცავს 8 მიმართულებით დაჯგუფებულ 64 ინდიკატორს. მათი

აგრეგირებით განისაზღვრება ერთიანი ინდექსი. გარდა ამისა, კანადაში კიდევ სამი სხვა ინდიკატორი გამოიყენება:

- თემების კეთილდღეობის ინდექსი (Community Well-Being (CWB) Index), რომელიც ასახავს ამ ქვეყნის აბორიგენი და არააბორიგენი მოსახლეობის კეთილდღეობას;
- ცხოვრებით კმაყოფილების ინდიკატორი (Life satisfaction), რომელიც ასახავს სუბიექტურ კეთილდღეობას და
- ბედნიერების ინდექსი (Happy Planet Index (HPI)), რომელშიც აგრეგირებულია სიცოცხლის ხანგრძლივობა, სუბიექტური კეთილდღეობა და ე.წ. კარბონული კვალი.⁹

კანადის ხელისუფლება კარგად აცნობიერებს, რომ არაეკონომიკური მაჩვენებლები (მაგალითად, სოციალური, კულტურული, გარემოსდაცვითი და სხვა) არ არის რეგულარულად ხელმისაწვდომი და იმდენად ფორმალიზებული, როგორც მშპ-ი და ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სხვა მაჩვენებლები. ზოგიერთი ხსენებული მაჩვენებლის შეგროვებას წლები სჭირდება (მაგალითად, მოსახლეობის აღწერების მონაცემები). აქედან გამომდინარე, კანადელები აღიარებენ, რომ მშპ-ი რჩება ეკონომიკის ძირითად საზომად. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, ამ ქვეყნის ყოველი მეორე მოქალაქე (53%) მიიჩნევს, რომ კანადის მშპ-ის უფრო ძლიერი ზრდა მნიშვნელოვანია მათი ყოველდღიური ცხოვრებისთვის. თუმცა, გაცილებით მეტი (82%) თვლის, რომ ეკონომიკური ზრდის მიღმა იკვეთება ცხოვრების ისეთი კომპონენტები, როგორიცაა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, განათლება, სუფთა წყლის წვდომა, მოცალეობა, ცხოვრებით კმაყოფილება და სხვა. შესაბამისად, რესპონდენტთა თითქმის სამი მეოთხედი (71%) თვლის, რომ მნიშვნელოვანია, რომ მთავრობა თავის გადაწყვეტილებებში, ტრადიციული ეკონომიკური ინდიკატორების გარდა, ანუ „მშპ-ის

7. The National Archives (no date) *Office for National Statistics: well-being guidance*. Archived at: <https://webarchive.nationalarchives.gov.uk/ukgwa/20160105160711/> (Accessed: 20 November 2025).

8. University of Waterloo (no date) *Well-being in Canada*. Available at: <https://uwaterloo.ca/canadian-index-wellbeing/about-canadian-index-wellbeing/wellbeing-canada> (Accessed: 21 November 2025).

9. კარბონული კვალი - ადამიანების ან ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ენერგიის შედეგად წარმოშობილი ნახშირბადოვანი დიოქსიდის რაოდენობა.

მიღმა“, ითვალისწინებდეს სხვა ფაქტორებსაც, როგორიცაა ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და გარემო (Department of Finance Canada, 2021).

ამდენად, ქვეყნები, რომლებიც მხარს უჭერენ „მშპ-ის მიღმა“ მიდგომას, ობიექტურად ლოიალურები არიან მშპ-ის მიმართ და აღიარებენ მისი და მასთან ერთად დამატებითი ინდიკატორების გამოყენების მიზანშეწონილობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხაზი უნდა გაესვას რამდენიმე გარემოებას:

პირველი, სოციალური პროგრესის შესაფასებლად მშპ-თან ერთად დამატებითი სტატისტიკური მაჩვენებლების გამოყენების საჭიროება სრულებითაც არ აკნინებს მის როლს. მალევე, მშპ-ის და ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შექმნიდან, ჩამოყალიბდა 3 სხვა მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემა (საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სტატისტიკა, მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა, სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა), რომელთა შექმნა ობიექტურად განაპირობა ეროვნული ეკონომიკების ინსტიტუციურმა მოწყობამ და მათი კომპლექსური ანალიზის აუცილებლობამ; კერძოდ, მათი სექტორების საქმიანობის თავისებურებებმა. ამიტომ, სადაო არ არის, რომ მრავალნახნაგოვანი, მუდმივად დინამიკური ეკონომიკის დეტალური შესწავლისთვის ერთი კონკრეტული მაჩვენებელი არ არის საკმარისი;

მეორე, თვით ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, ითვალისწინებს სატელიტური ანგარიშების წარმოებას ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებში მეტი ჩაღრმავებისთვის. როგორც ევროსტატი განმარტავს, „სატელიტური ანგარიშები უზრუნველყოფს ცენტრალურ (ეროვნულ ან რეგიონულ) ანგარიშებთან დაკავშირებულ ჩარჩოს, რაც ეროვნული ანგარიშების კონტექსტში ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კონკრეტულ სფეროზე ან ასპექტზე ყურადღების გამახვილების საშუალებას იძლევა; ამ მხრივ გავრცელებული მაგალითებია გარემოს დაცვის, ტურიზმის ან

შინამეურნეობებში აუნაზღაურებელი შრომის სატელიტური ანგარიშები“ (Eurostat, 2023). იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის აღნიშნული შესაძლებლობების არასაკმარისად გამოყენება არის მშპ-ის კრიტიკის ერთ-ერთი მიზეზი. არაერთი ცნობილი საერთაშორისო ექსპერტი და ანალიტიკოსი აღიარებს, რომ ეროვნული ანგარიშების მთელი რიგი ინდიკატორები ჯერ კიდევ „უხილავია“, რომ „არსებული მონაცემთა წყაროები უნდა გაანალიზდეს, მოხდეს ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება და გამოყენება. ეროვნული ანგარიშებისა და სოციალური კვლევების მონაცემები შეიძლება გაერთიანდეს, რათა სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის შესახებ ახალი ინფორმაცია მივიღოთ“ (Eurostat, 2010).

მესამე, ტრადიციული ეკონომიკური საზომების, მშპ-ის და მისი კომპონენტების, წარმოების პროცესი მკაცრად ფორმალიზებულია და თანმიმდევრული კონცეფციური, პროცედურული, მოცვის, პერიოდულობის და დროულობის თვალსაზრისით, რასაც ვერ ვიტყვით დამატებით სოციალურ და სხვა კომპოზიტურ ინდიკატორებზე. ეს ამცირებს საზოგადოების პროგრესის გასაზომად მათი დამოუკიდებლად გამოყენების მიზანშეწონილობას, მითუმეტეს გამორიცხავს მშპ-ის ალტერნატივად მათ განხილვას.

მეოთხე, მშპ-ის ალტერნატივად განხილული კომპოზიტური ინდიკატორები არ გამოდგება საერთაშორისო შედარებებისთვის. კერძოდ, მათში შემავალი მაჩვენებლების გარკვეული ნაწილი სუბიექტურ შეგრძნებებზეა დამყარებული და ბევრი ფაქტორით არის განპირობებული (რელიგიური, ისტორიული, ბუნებრივ-კლიმატური, ფსიქოლოგიური და ა.შ.). ზოგიერთი ასეთი ინდიკატორის თავისებურებიდან გამომდინარე, აგრეგირებული ინდექსის გასაანგარიშებლად საჭიროა მათი შეწონვა, რაც სუბიექტურ პრაქტიკად არის მიჩნეული და აძლიერებს კომპოზიტური ინდიკატორებისადმი უნდობლობას. ამასთან, მათი გაანგარიშების კომპლექსურობა ზიანს აყენებს მაჩვენებელთა

გამჭვირვალობას და არაკომფორტულს და არასაიმედოს ხდის მათ გამოსაყენებლად, ვინაიდან „... შეუძლებელია გავიგოთ სტატისტიკური მონაცემები იმის გაგების გარეშე, თუ როგორაა ისინი გაანგარიშებული“ (Schumpeter, 1954).

მეხუთე, მშპ-ის სიძლიერე მდგომარეობს იმაში, რომ იგი ემყარება ეროვნულ ანგარიშთა სისტემას. ეს უკანასკნელი კი არ არის უბრალოდ მშპ-ის გაანგარიშების მექანიზმი. გარკვეული გაგებით იგი არის ეკონომიკური აზროვნების ფორმალიზების სისტემა და ამა თუ იმ ქვეყნის მაკროეკონომიკური სტატისტიკური მოდელი: თავისი კონცეფციით მან შექმნა „... ეკონომიკური აზროვნებისა და პოლიტიკის შემუშავების ევოლუციის ფუნდამენტური საფუძველი“ (Fiaramonti, 2013). ეროვნული ანგარიშის ანობა არის მეცნიერება ეროვნული ეკონომიკის რაოდენობრივი შესწავლის შესახებ და მისი სიღრმეების ცოდნისა გარეშე მის მიმართ „განაჩენის“ გამოტანა, რასაც ვაწყდებით ზოგიერთ პუბლიკაციაში¹⁰, საფრთხეს უქმნის დასაბუთებული და ობიექტური ეკონომიკური გადანაცვლებების მიღებას.

ამრიგად, უკვე არსებული სტატისტიკის ფარგლებში საინფორმაციო ტაბლოების იდეა შედარებით ადვილად რეალიზებადი. თუმცა, საინფორმაციო ტაბლოებზე საუბრისას სტიგლიცი ცალსახად მიუთითებს, რომ „მის (მშპ-ის) ნაცვლად, თითოეულმა ერმა უნდა აირჩიოს „ტაბლო“ – შეზღუდული რაოდენობის მაჩვენებლები, რომლებიც დაეხმარება მას მოქალაქეებისთვის სასურველი მომავლისკენ სწრაფვაში“ (Stiglitz, 2020). ვფიქრობთ, ტაბლო უნდა ეყრდნობოდეს მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების განმაზოგადებელ მაჩვენებლებს, რადგანაც ისინი თავისთავად შეადგენენ ურთიერთდაკავშირებულ ინდიკატორთა ერთობლიობას, რაც მოვლენათა განვითარებაზე სიღრმისეული დაკვირვების

საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, გამოსაყენებელია არსებული სოციალური მაჩვენებლებიც (შინამეურნეობების შემოსავლების და ხარჯების, დასაქმების, ჯანდაცვის და სხვა მაჩვენებლები), რომლებიც ნაკლებად ებმიან ეროვნული ანგარიშებსა და დანარჩენ მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებს.

და ბოლოს, როგორც 2015 წელს ეროვნული ანგარიშების განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე¹¹ აღინიშნა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის კრიტიკა ძირითადად განპირობებულია იმით, რომ ადამიანებს არ ესმით თუ რას ზომავს და რას არ ზომავს ეს სისტემა, რას მოიცავს იგი გარდა მშპ-ისა. გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა სწორედ ამის მოკლე აღწერა, იდეალური იქნებოდა არაუმეტეს 50 გვერდის მოცულობით, რათა თავიდან იქნას აცილებული ხშირად არასამართლიანი კრიტიკა. ასეთ დოკუმენტს შეეძლო აეხსნა ეროვნული ანგარიშის ანობის ჩარჩო, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და ის, თუ როგორ უკავშირდება ეროვნული ანგარიშების ძირითადი ინდიკატორები ეკონომიკურ თეორიას და ეკონომიკური პოლიტიკის სამიზნე ცვლადებს. ხაზი გაესვა, რომ ეროვნული ანგარიშების სპეციალისტები ამ საკითხებზე კომუნიკაციას უნდა ამყარებდნენ არა მხოლოდ ფართო საზოგადოებასთან, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, კვლევით საზოგადოებასთან და პოლიტიკის შემქმნელებთან (van de Ven et al., 2017). თუმცა, დღეისათვის ვითარება ისეთია, რომ ეროვნული ანგარიშების სპეციალისტებიც კი „... ხშირად თავისუფლად ვეღარ საუბრობენ საკუთარ ენაზე: ბევრს აქვს პრობლემები შესაბამისი კონცეფციების, ლოგიკისა და შეზღუდვების გაგებაში“ (Bos, 2009). სამწუხაროდ ეს ეხება საქართველოსაც, სადაც აკადემიური დებატები, საქმიანი განხილვები და ცოდნის გადაცემა ეროვნული ანგარიშებისა და მშპ-ის შესახებ აქტუალურად და პრიორიტეტულად დიდი ხანია აღარ მიიჩნევა.

10. ნაკლებად დამაჯერებელია რიგი ავტორების კატეგორიული განცხადებები მშპ-ის გამოუსადეგარობის (Oulton, 2018), „დათვლილი დღეების“ (Coyle, 2021), „ჩამოგდების“ (Stiglitz, 2020) და ა.შ. შესახებ.

11. Conference on the Future of National Accounts: “(H)ITHER THE SNA?” (PARIS, 16–17 APRIL 2015).

ეროვნულ ანგარიშთა განახლებული სისტემა - 2025 SNA

როგორც მშპ-ის ერთ-ერთი კრიტიკოსი დაიან კოილი წერს, ბრიტანეთის ყველაზე მაღალი მთა ბენ ნევისი, რომელიც შოტლანდიაში მდებარეობს, ახლახან გაზომეს და აღმოჩნდა, რომ იგი ახლა 1 მეტრით მაღალია, ვიდრე იყო 1949 წელს. სინამდვილეში ტექნოლოგიების გაუმჯობესებამ და, კერძოდ, GPS-ის გამოყენებამ მეცნიერებს მისცა საშუალება უფრო ზუსტად დაედგინათ ამ მთის სიმაღლე (Coyle, 2016). ამ ამბავს კოილი უკავშირებს ათწლეულების განმავლობაში ეკონომიკების შესაფასებლად მშპ-ის გამოყენების პრაქტიკას და ცდილობს გაამყაროს საკუთარი მოსაზრება მშპ-ის შეცვლის აუცილებლობის შესახებ. თუმცა, ამ მაგალითიდან უფრო სხვა რამ ჩანს: მეცნიერებმა მთის სიმაღლის გაზომვაზე კი არ თქვეს უარი, არამედ დახვეწეს მისი გაზომვის მეთოდები. სხვა სიტყვებით, აღნიშნული ამბის ზემოთ მოტანილი ინტერპრეტაცია არ მეთყველებს მშპ-ის უარყოფის იდეის სასარგებლოდ.

2025 წლის მარტში გაეროს სტატისტიკურმა კომისიამ თავის 56-ე სესიაზე დაამტკიცა „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 2025“ (2025 SNA), როგორც ეროვნული ანგარიშების სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტი. იგი ინარჩუნებს 2008 წლის ვერსიის (2008 SNA) ძირითად თეორიულ ჩარჩოს, თუმცა შეიცავს მნიშვნელოვან ცვლილებებს და დაზუსტებებს.

პირველად 2025 SNA-ში შეტანილია განყოფილებები, რომლებიც ეხება კეთილდღეობასა და მდგრადობას. ეს გაფართოება მიზნად ისახავს ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური განზომილებების უკეთ მოცვასა და მათ ინტეგრირებას განახლებული სისტემის ფარგლებში. იგი არ ცვლის მშპ-ს, როგორც ძირითად მაჩვენებელს, მაგრამ გვთავაზობს დამატებით თემატურ და გაფართოებულ ანგარიშებსა და ცხრილებს, რომლებიც უფრო სრულყოფილ ინფორმაციას იძლევა აღნიშნულ ასპექტებთან დაკავშირებით.

სოციალური პროგრესის უკეთ შეფასების მიზნით:

- მეტი აქცენტი კეთდება წმინდა შემოსავლის გაზომვაზე, მაგალითად, წმინდა შიდა პროდუქტის (NDP) მოცულობის ცვლილებაზე, როგორც ეკონომიკური ზრდის კონცეფციურად სასურველ საზომზე, რომელიც მშპ-ის პარალელურად გამოიყენება, რათა უკეთესად შეფასდეს ეკონომიკური ზრდის მდგრადობა;
- მეტი ყურადღება ექცევა ოჯახების შემოსავლებს, მოხმარებას და სიმდიდრეს, ასევე საპენსიო უფლებების აღრიცხვას, რაც უფრო ზუსტად ასახავს შინამეურნეობების რეალურ ფინანსურ მდგომარეობას;
- ფართოვდება სახელმძღვანელო მითითებები შემოსავლისა და სიმდიდრის განაწილების სტატისტიკის უკეთესად წარმოებისათვის, რაც ხელს უწყობს მშპ-ის და სხვა მაკროაგრეგატების შინამეურნეობებს შორის განაწილების აღრიცხვას და უთანასწორობის დონის შეფასებას;
- გათვალისწინებულია თემატური და/ან გაფართოებული ცხრილების წარმოება კეთილდღეობის ამსახველი ისეთი განზომილებების მიხედვით, როგორიცაა აუნაზღაურებელი შრომა, განათლება, ჯანდაცვა, ადამიანური კაპიტალი და სხვ.

მდგრადობის კონტექსტში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რასაც 2025 SNA გვთავაზობს, უკავშირდება ბუნებრივი რესურსების (მაგალითად, ნავთობის, გაზის, მინერალების) ამოწურვის ასახვას ეროვნულ ანგარიშებში. კერძოდ, ბუნებრივი რესურსების ამოწურვა განიხილება წარმოების ხარჯად, ძირითადი კაპიტალის მოხმარების (ამორტიზაცია) ანალოგიურად, რაც უფრო ზუსტად შეესაბამება ეკონომიკური მდგრადობის განზომილებას. ეს ცვლილება გავლენას მოახდენს წმინდა შიდა პროდუქტის, წმინდა ეროვნული შემოსავლის და ა.შ. (NDP, NNI) სიდიდეზე და უკეთ გამოაჩენს ეკონომიკური მდგრადობის სიმყიფის ხარისხს გრძელვადიან

პერსპექტივაში. 2025 SNA აძლიერებს კავშირს გარემოსდაცვითი ეკონომიკური აღრიცხვის სისტემასთან (SEEA), რომელიც წარმოადგენს გარემოსა და ეკონომიკას შორის ურთიერთობის შეფასების სტანდარტს, რაც გარემოსდაცვითი ასპექტების მაკროეკონომიკურ სტატისტიკაში ჩართვის საშუალებას იძლევა.

2025 SNA-ში მნიშვნელოვანი სიახლეა გლობალიზაციასთან დაკავშირებულ კონცეფციურ, აღრიცხვის და ანალიტიკურ გამოწვევებზე განსაკუთრებული ფოკუსირება. ამ თვალსაზრისით გათვალისწინებულია მრავალეროვნული კომპანიების ოპერაციების, "ქარხნის გარეშე" წარმოებისა და სავაჭრო საქმიანობის აღრიცხვის სრულყოფა ეროვნულ ანგარიშებში, რაც მიზნად ისახავს ეროვნულ ეკონომიკებზე ღირებულებათა გლობალური ჯაჭვების გავლენის უკეთ შეფასებას. ზუსტდება ისეთი საქმიანობის აღრიცხვა, როდესაც პროდუქციის დიზაინი, მარკეტინგი და გაყიდვები ერთ ქვეყანაში ხდება, ხოლო ფიზიკური წარმოება – სხვაგან. ამით ეროვნული ანგარიშები უზრუნველყოფს, რომ არ მოხდეს მშპ-ის არასწორი მიწერა იმ ქვეყნებისთვის, სადაც საბოლოო პროდუქტის მხოლოდ აწყობა ხდება და არ იქმნება დამატებული ღირებულების უმეტესი ნაწილი. გლობალიზაციის ჩაღრმავებულ შესწავლას ემსახურება აგრეთვე მიწოდება-გამოყენების ცხრილების გაფართოების ამოცანები, რასაც გვთავაზობს ეროვნულ ანგარიშთა განახლებული სისტემა.

ციფრული ეკონომიკის მასშტაბების ზრდის გათვალისწინებით, განახლებული 2025 წლის SNA გვთავაზობს ციფრული სერვისების, არამატერიალური აქტივებისა და ხელოვნური ინტელექტის სფეროში მომხდარი ცვლილებების აღრიცხვის გაუმჯობესებულ მეთოდოლოგიებს, რაც უზრუნველყოფს უფრო ზუსტ და სრულყოფილ სურათს ციფრული სექტორის წვლილზე ეკონომიკურ აქტივობაში. კერძოდ:

- შემოთავაზებულია ციფრული მიწოდება-გამოყენების ცხრილების შედგენის სახელ-

მძღვანელო, რომლის დანერგვა ხილვადს გახდის ციფრული ეკონომიკის ანატომიას;

- 2025 SNA მონაცემთა ბაზებს (ელექტრონულ მონაცემებს, რომლებიც გროვდება და გამოიყენება წარმოებაში) აღიარებს წარმოებულ აქტივად, რაც გულისხმობს მათი ღირებულების შეფასებას და მშპ-ში ჩართვას. მონაცემების, როგორც აქტივის, აღიარება და ციფრული სერვისების (მათ შორის უფასო სერვისების) აღრიცხვის დაზუსტება ციფრულ ეპოქაში ეკონომიკური საქმიანობის უფრო ზუსტი გაზომვის საშუალებას იძლევა;
- ზუსტდება ციფრული სერვისების (მაგალითად, ონლაინ პლატფორმები, სოციალური მედია, აპლიკაციები) აღრიცხვის მეთოდოლოგია, მათ შორის ისეთების, რომლებიც უფასოდ მიეწოდება მომხმარებელს (რეკლამის საშუალებით);
- შემოდის კრიპტოაქტივების აღრიცხვის მეთოდოლოგია;
- შემოთავაზებულია ხელოვნური ინტელექტის, ღრუბლოვანი ტექნოლოგიების და ციფრული შუამავლობის პლატფორმების დამუშავების ინსტრუქცია.

2025 SNA-ში დაზუსტებულია ცენტრალური ბანკების გამოშვების გაზომვის მეთოდოლოგია. ამ მიზნით აღარ იქნება გამოყენებული არაპირდაპირ შეფასებული ფინანსური საშუამავლო მომსახურება ე.წ. FISIM. ცენტრალური ბანკის ყველანაირი გამოშვება განიხილება, როგორც არასაბაზრო გამოშვება, ხოლო ბანკებისა და ფინანსური კორპორაციების მიერ მარეგულირებელ მომსახურებასთან დაკავშირებით განხორციელებული გადახდები – როგორც მიმდინარე ტრანსფერები და არა როგორც გადახდები მომსახურებისთვის. ცალკე თავი ეძღვნება ისლამური ფინანსების აღრიცხვას.

ეროვნულ ანგარიშთა განახლებული სისტემა შეიცავს დამატებით სახელმძღვანელო მითითებებს არაფორმალური ეკონომიკის ასახვისა და შეფასებისათვის, გამომდინარე არაფორმალური ეკონომიკის შესახებ შრომის სტატისტიკოსთა

საერთაშორისო კონფერენციის (ICLS) მიერ მიღებული უახლესი რეზოლუციებიდან.

ეკონომიკური ოპერაციების ფართო სპექტრის დეტალური შესწავლისა და ეროვნული ანგარიშების ინტეგრირებული ჩარჩოს გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით, SNA 2025 განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას თემატური და გაფართოებული ანგარიშების (ეროვნული ანგარიშების წინა ვერსიებში ცნობილი, როგორც სატელიტური ანგარიშები) წარმოებაზე. ეს მიდგომა განსაკუთრებით აძლიერებს ეროვნული ანგარიშების მოქნილობას. თემატური ანგარიშების უმეტესობა მოიცავს ძირითად საქმიანობას, რომელსაც აქვს მაღალი ეკონომიკური მნიშვნელობა ან განსაკუთრებული ინტერესი პოლიტიკის შემუშავების ან სხვა მიზნებისთვის. თემატურ ანგარიშს ასევე შეუძლია უფრო დეტალურად გააანალიზოს ეროვნული ანგარიშების ინტეგრირებულ ჩარჩოში შემავალი ძირითადი აგრეგატები დამატებითი ჩაშლის გზით. მაგალითად, ციფრული ეკონომიკის თემატურ ანგარიშს შეუძლია მოგვანოდოს ინფორმაცია იმ მწარმოებლების შესახებ, რომლებიც იყენებენ ციფრული შუამავლობის პლატფორმებს თავიანთი პროდუქციის გასაყიდად.

გაფართოებული ანგარიშები ემსახურება ეროვნული ანგარიშების სტანდარტული ინდიკატორების გაფართოებულ ხედვას, მაგალითად, კეთილდღეობის ან მდგრადობის ჭრილში, აფართოებს რა ინტეგრირებული ჩარჩოს მონაცემებს დამატებითი მონაცემებით დამატებითი წყაროებიდან.

2025 SNA აძლიერებს ჰარმონიზაციას საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) საგადასახდელო ბალანსის და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის განახლებულ სახელმძღვანელოსთან (BPM7), რაც უზრუნველყოფს ეროვნული ანგარიშებისა და საგარეო სექტორის სტატისტიკის შესაბამისობას. ამავე მიზანს ისახავს ეროვნულ ანგარიშთა განახლებულ სისტემაში ISIC-ის (ეკონომიკური საქმიანობის

საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია) და CPC-ის (პროდუქციის ცენტრალური კლასიფიკაცია) განახლებების გათვალისწინება.

ქვეყნების მიერ აღნიშნული სიახლეების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებს (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, OECD და ევროსტატი) გათვალისწინებული აქვთ მთელი რიგი მეთოდოლოგიური და პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება პრიორიტეტების მიხედვით.

ამდენად, 2025 SNA-ის სიახლეების თუნდაც ეს ძირითადი ჩამონათვალი (ისინი დეტალურად გაცილებით ბევრია) მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეროვნული ანგარიშები მარტო მშპ-ი არ არის, არამედ არის თანმიმდევრული სისტემა, რომელსაც ძალუძს ასახოს გამოწვევები, რომლებსაც წარმოშობს დრო. გაუგებარია ინფორმაციული ტაბლოების პანაცეად გამოცხადება, როცა ეროვნულ ანგარიშებში არსებობს მაჩვენებლები არა როგორც მათი უბრალოდ ჩამონათვალი, როგორც ეს ტაბლოებით არის შემოთავაზებული, არამედ როგორც ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა სისტემა, რაც მისი მნიშვნელოვანი უპირატესობაა. კიდევ უფრო ფართოა მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის გამოვლენის არეალი, თუ ისინი განხილული იქნება არა მარტო ეროვნული ანგარიშების, არამედ სხვა მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების კონტექსტში.

დასკვნა

ათეული წლების წინ, როდესაც იწყებოდა მშპ-ის, როგორც ეროვნული ეკონომიკების ზომისა და წარმოების მასშტაბების საზომის ისტორია, ეროვნულ ანგარიშთა სისტემამ ძალიან მკაფიოდ და ნათლად განსაზღვრა ეროვნული ეკონომიკის ცნება და საზღვრები (Karabell, 2014; Aslamazishvili, 2024). ახლა ეკონომისტთა არც თუ მცირე ნაწილისგან ისმის მოწოდება მშპ-ზე უარის თქმისა და კეთილდღეობის მაჩვენებლის თუ მაჩვენებლების შემოღების შესახებ. თუმცა, მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი განმარტება

იმისა, თუ რას წარმოადგენს კეთილდღეობა, არა თუ ბუნდოვანია, არამედ საერთოდ არ არსებობს. ვფიქრობთ, ეს საკმაოდ ყურადსაღები არგუმენტია, რომ მშპ-სა და კეთილდღეობაზე მიმდინარე დებატებმა უფრო საქმიანი შინაარსი შეიძინოს.

მშპ-ის გარშემო მიმდინარე დებატებისას გამოიკვეთა და დადასტურდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელთა იგნორირება აზიანებს არა მარტო თეორიულ მიღწევებს ეროვნული ანგარიშებიანობის სფეროში, არამედ ხელს უშლის ეროვნული ეკონომიკების მიერ მიღწეული პროგრესის რეალურ შეფასებებს. ესენია:

- მშპ-ის ისტორიული პერსპექტივის იგნორირება;
- მშპ-ის თეორიისა და პრაქტიკის დაშორება და სტატისტიკური წიგნიერების უგულებელყოფა;
- მშპ-ის გაფეთქება და იდეოლოგიურ აბსტრაქციად გადაქცევა;
- მშპ-ის ალტერნატიული კომპოზიციური ინდიკატორებით გატაცება, რომლებიც ობიექტურობას მოკლებულია მათში შემავალი შეგრძნებებზე დამოკიდებული ელემენტების გამო.

არანაკლებ მწვავეა ეროვნული ანგარიშებიანობისა და მშპ-ის წარმოების პრაქტიკული ასპექტები, რომლებსაც ზემოაღნიშნულ დებატებში თითქმის არეყვეს ყურადღება, გარდაზოგიერთი გამონაკლისისა (მაგალითად, Bos, 2009; Bos, 2013; Coyle, 2014; van de Ven, et al., 2017, 2017; Stiglitz, 2020). მშპ-ის დინამიკის შესახებ მშრალი ინფორმაციით შემოფარგვლა ხელს უწყობს ეროვნული ანგარიშების სპეციალისტების დემოტივაციას. მათი საქმიანობა ნაკლებადაა ფოკუსირებული მშპ-ის შემადგენელი კომპონენტების ანალიზზე, რაც განვითარების მაჩვენებლების ობიექტურობის მეთი გარანტია იქნებოდა. როგორც სტიგლიცი აღნიშნავს, მშპ-სთან დაკავშირებული ზედაპირული აზროვნება უკვე აშკარა გახდა 2000-იან წლებში (Stiglitz J.,

2020) და ასე გრძელდება დღემდე.

მშპ-ი ერთობ მნიშვნელოვანი მაჩვენებელია იმისათვის, რომ მხოლოდ ათიოდე სპეციალისტის პროფესიულ და შრომით უნარებზე იყოს დამოკიდებული. სამწუხაროდ მთელ რიგ (უმეტესად განვითარებად) ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ეს საკითხი სწორედ ასეა გადანაცვებული.

ეროვნული ანგარიშების განახლებული ვერსიის უმოკლეს ვადაში დანერგვა მთავრობის პრიორიტეტული ამოცანებს შორის უნდა იყოს. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ სამუშაოებისთვის, ისე როგორც 10 წელიწადში ერთხელ მოსახლეობის აღწერის სამუშაოებისთვის, ცალკე უნდა გამოიყოს სახელმწიფო დაფინანსება და მოხდეს პროფესიონალი კადრების მობილიზება, რათა არ განმეორდეს ის პრაქტიკა, როცა, მაგალითად, 2008 SNA-ის დანერგვას საქსტატმა ათ წელზე მეტი მოანდომა (საქსტატი, 2019).

გამოყენებული ლიტერატურა

საქსტატი (2019) *საქსტატმა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი მეთოდოლოგია (SNA 2008) დანერგა*. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/single-news/1708/sakstatma-erovnul-an-garishta-sistemis-akhali-metodologia-sna-2008-dan-erga> (წვდომა: 21 ოქტომბერი 2025).

Alcoforado, F.A. (2019) *The end of GDP (Gross Domestic Product) as a measure for economic progress*. Available at: https://www.academia.edu/38942291/THE_END_OF_GDP_GROSS_DOMESTIC_PRODUCT_AS_A_METER_FOR_ECONOMIC_PROGRESS (Accessed: 3 October 2025).

Alcoforado F.A. (2021) Alternatives to GDP to measure economic and social progress. Available at: <https://www.slideshare.net/slideshow/alternatives-to-gdp-to-measure-economic-and-social-progress/158335881> (Accessed: 3 October 2025).

Aslamazishvili, N. (2024) '“GDP thinking” versus SNA – the greatest invention of the 20th century', in *IX International Scientific Conference “Challenges of Glo-*

balization in Economics and Business". Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University, pp. 39–50.

Bergh, J.C.J.M. van den (2009) 'The GDP paradox', *Journal of Economic Psychology*, 30(2), pp. 117–135. doi: 10.1016/j.joep.2008.12.001.

Bos, F. (2008) *Uses of national accounts: history, international standardization and applications in the Netherlands*. MPRA Paper No. 9387. Available at: https://mpra.ub.uni-muenchen.de/9387/1/MPRA_paper_9387.pdf (Accessed: 5 September 2025).

Bos, F. (2009) *The national accounts as a tool for analysis and policy: in view of history, economic theory and data compilation issues*. MPRA Paper No. 23582. Available at: https://mpra.ub.uni-muenchen.de/23582/1/MPRA_paper_23582.pdf (Accessed: 15 September 2025).

Bos, F. (2013) *Meaning and measurement of national accounts statistics*. MPRA Paper No. 44970. Available at: https://mpra.ub.uni-muenchen.de/44970/1/MPRA_paper_44970.pdf (Accessed: 5 September 2025).

Bos, F. (2017) *Uses of national accounts from the 17th century till present and three suggestions for the future*. Available at: <https://www.researchgate.net/publication/318207228> (Accessed: 5 September 2025).

Cassiers, I. and Thiry, G. (2014) *A high-stakes shift: turning the tide from GDP to new prosperity indicators*. Louvain: Université catholique de Louvain and Belgian National Fund for Scientific Research.

Commission of the European Communities (2009) *GDP and beyond: measuring progress in a changing world*. Brussels: Communication from the Commission to the Council and the European Parliament, 20 August.

Coyle, D. (2014) *GDP: a brief but affectionate history*. Princeton, NJ: Princeton University Press.

Coyle, D. (2016) 'The problem with measuring a 2016 economy using 1940s methods', *World Economic Forum*, 27 April. Available at: <https://www.weforum.org/stories/2016/04/the-problem-with-measuring-a-2016-economy-using-1940s-methods/> (Accessed: 30 September 2025).

Coyle, D. (2021) 'GDP's days are numbered', *Jordan Times*, 20 December. Available at: <https://jordantimes.com/opinion/diane-coyle/gdps-days-are-numbered>

(Accessed: 30 September 2025).

Cressida, G. (2023) *A critical assessment of GDP as a measure of economic performance and social progress*. Carnegie UK: Collective Wellbeing.

Department of Finance Canada (2021) *Measuring what matters: toward a quality of life strategy for Canada*. Ottawa: Government of Canada. Available at: <https://www.canada.ca/en/department-finance/services/publications/measuring-what-matters-toward-quality-life-strategy-canada.html> (Accessed: 20 September 2025).

Eurostat (2010) *GDP and beyond: focus on measuring economic development and well-being*. Luxembourg: Publications Office of the European Union.

Eurostat (no date) *Quality of life indicators*. Available at: https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Quality_of_life_indicators (Accessed: 2 September 2025).

Exton, C. and Fleischer, L. (2017) *The future of the OECD well-being dashboard: discussion paper*. Paris: OECD.

Felice, E. (2015) *The misty grail: the search for a comprehensive measure of development and the reasons of GDP primacy*. Munich: MPRA. Available at: <https://mpra.ub.uni-muenchen.de/61095/> (Accessed: 4 September 2025).

Fioramonti, L. (2013) *Gross domestic problem: the politics behind the world's most powerful number*. London: Zed Books. doi: 10.5040/9781350220560.

Fraumeni, B.M. (2017) 'Gross Domestic Product: are other measures needed?', *IZA World of Labor*. doi: 10.15185/izawol.368.

Grishin, V.I., Istyuzhanina, E.V. and Komarova, I.P. (2019) 'Main problems with calculating GDP as an indicator of economic health of the country', *International Journal of Civil Engineering and Technology*, 10(2), pp. 1696–1703.

Hirata, J. (2014) 'How should we measure GDP? The origin and nature of a contested concept', *International Review of Economics*, 62, pp. 85–89. doi: 10.1007/s12232-014-0222-8.

Hoekstra, R. (2019) *Replacing GDP by 2030*. Cam-

bridge: Cambridge University Press.

IMF (no date) *Dissemination Standard Bulletin Board*. Available at: <https://dsbb.imf.org/> (Accessed: 4 September 2025).

INSEE (no date) *Indicators of national wealth*. Available at: <https://www.insee.fr/fr/statistiques/3281778> (Accessed: 24 November 2025).

Karabell, Z. (2014) *The leading indicators: a short history of the numbers that rule our world*. Philadelphia, PA: Simon & Schuster.

Kennedy, R.F. (1968) *Remarks at the University of Kansas*, 18 March. Available at: <https://www.jfklibrary.org> (Accessed: 2 September 2025).

Kravis, I.B., Heston, A.W. and Summers, R. (1978) 'Real GDP per capita for more than one hundred countries', *The Economic Journal*, 88, pp. 215–242.

Kuznets, S. (1934) *National income, 1929–1932*. Senate Document No. 124, 73rd Congress, 2nd session. Washington, DC: U.S. Government Printing Office.

Kuznets, S. (1962) 'How to judge quality', *New Republic*, 147, pp. 29–31.

Moulton, B.R. (2018) 'Your fathers' mistakes: critiques of GDP and the search for an alternative', *International Finance*, 21(3), pp. 333–340.

Murtin, F. et al. (2015) *Beyond GDP: is there a law of one shadow price?* OECD Working Paper No. 63. Paris: OECD.

OECD (2015) *Data-driven innovation: big data for growth and well-being*. Paris: OECD.

OECD (2022) *Measuring the value of data and data flows*. Paris: OECD Publishing. doi: 10.1787/923230a6-en.

Oulton, N. (2018) *GDP and the system of national accounts: past, present and future*. London: National Institute of Economic and Social Research.

Özgöde, O. (2021) 'The invention of economic growth: the forgotten origins of Gross Domestic Product in American institutional economics', *ProMarket*, 31 October. Available at: <https://www.promarket.org/2021/10/31/gdp-invention-economic-growth-kuznets-history/> (Accessed: 17 September 2025).

Pilling, D. (2018) *The growth delusion: the wealth and*

well-being of nations. New York: Tim Duggan Books.

Schumpeter, J.A. (1954) *History of economic analysis*. New York: Oxford University Press.

Stiglitz, J. (2009) 'GDP fetishism', *The Economists' Voice*, 6(8), pp. 1–3.

Stiglitz, J. (2020) 'GDP is the wrong tool for measuring what matters', *Scientific American*. Available at: <https://www.scientificamerican.com/article/gdp-is-the-wrong-tool-for-measuring-what-matters/> (Accessed: 17 September 2025).

Stiglitz, J.E., Sen, A. and Fitoussi, J.-P. (2009) *Report by the Commission on the Measurement of Economic Performance and Social Progress*. Available at: <https://ec.europa.eu/eurostat/documents/8131721/8131772/Stiglitz-Sen-Fitoussi-Commission-report.pdf> (Accessed: 10 September 2025).

The Treasury (2018) *Our people, our country, our future: Living Standards Framework – introducing the dashboard*. Wellington: New Zealand Government. Available at: <https://www.treasury.govt.nz> (Accessed: 28 September 2025).

The Treasury (2021) *The Living Standards Framework 2021*. Wellington: New Zealand Government. Available at: <https://www.treasury.govt.nz> (Accessed: 28 September 2025).

The Treasury (2022) *The Living Standards Framework dashboard – April 2022*. Wellington: New Zealand Government. Available at: <https://lsfdashboard.treasury.govt.nz> (Accessed: 28 September 2025).

Turner, A. (2022) 'What is a "wellbeing budget" and how does it affect businesses?', 23 December. Available at: <https://employmenthero.com/my/blog/wellbeing-budget/> (Accessed: 2 October 2025).

UN (2009) *System of National Accounts 2008*. New York: United Nations.

UN (2025) *System of National Accounts 2025*. New York: United Nations.

van de Ven, P., Harrison, A. and Fraumeni, B. (2017) 'Introduction to the special issue on the future of national accounts: "W(H)ither the SNA?"', *Review of Income and Wealth*, 63, pp. 201–207.

შინამეურნეობების ფორმალური და არაფორმალური შემოსავლების შეფასება საქართველოში

დავით უბიაშვილი

ანოტაცია

არაფორმალური ეკონომიკური აქტივობები შინამეურნეობების ჯამური შემოსავლების ერთობ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, თუმცა სერიოზულ გამოწვევებს უქმნის მოქალაქეთა შრომით უფლებებს და სოციალურ დაცვას, ხელს უწყობს გადასახადებისგან თავის არიდებას და არაჯანსაღ კონკურენციას. გარდა ამისა, ჩრდილოვანი ეკონომიკა ხშირად დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდაზე. აღნიშნული გამოწვევების პასუხად ეფექტიანი ზომების შემუშავების ქვაკუთხედი არაფორმალური ეკონომიკის გაზომვაა. ლიტერატურა გვთავაზობს კარგად მიღებულ მეთოდოლოგიებსა და მზა შედეგებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქართველოსთვის ცალკეული მიდგომების მიხედვით შეფასება მნიშვნელოვნად განსხვავდება.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკური აქტივობების უფრო ზუსტი შეფასების ალტერნატიული მეთოდოლოგია. მისი საშუალებით, უნიკალური მონაცემების დამუშავების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა შინამეურნეობების წარმომადგენლობითი შერჩევის ბაზაზე მათი ფორმალური და არაფორმალური შემოსავლების პირდაპირი შეფასება. კვლევის შედეგების მიხედვით, არაფორმალური შემოსავლების წილი ქვეყანაში დაახლოებით

30%-ს შეადგენს, რაც თანხვედრაშია სხვა დამხმარე მაჩვენებლების გამოყენებით მიღებულ სურათთან. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული დონე ბევრად ნაკლებია ზოგიერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ანალოგიურ შეფასებებზე.

საკვანძო სიტყვები: არაფორმალური შემოსავალი, არაფორმალური დასაქმება, ჩრდილოვანი ეკონომიკა, შინამეურნეობების შემოსავალი.

შესავალი

არაფორმალური ეკონომიკა, რომელსაც ხშირად ჩრდილოვანი ეკონომიკას უწოდებენ, ეკონომიკური ცხოვრების რთული ფენომენია, რომელიც სცილდება ფორმალური დასაქმებისა და ბიზნესის ტრადიციულ საზღვრებს (Hart, 1973). ის მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის ფართო სპექტრს, რომელიც არარეგულირებადია, დაუბეგრავი და ხშირად ხასიათდება შრომითი უფლებებისა და სოციალური დაცვის არარსებობით (Schneider and Enste, 2002).

არაფორმალური ეკონომიკა გლობალური ეკონომიკური ლანდშაფტის მნიშვნელოვან და განუყოფელ კომპონენტს წარმოადგენს. შთამბეჭდავი მასშტაბის მიუხედავად, ოფიციალური ეკონომიკური სტატისტიკისთვის იგი მეტწილად მიუწვდომელია და დაფარული და ხშირად იგნორირებულია საჯარო პოლიტიკის

დებატებში. თუმცა, არაფორმალური ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც მოიცავს ქუჩის ვაჭრობას, არარეგისტრირებულ ბიზნესს, საოჯახო სამუშაოებს თუ სხვა, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მილიარდობით ადამიანის საარსებო წყაროს მთელ მსოფლიოში (Hart, 1973). ქვეყნების უმრავლესობაში არაფორმალური სექტორი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია და შინამეურნეობების გარკვეული ნაწილისთვის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს (Schneider and Enste, 2002). ეს სექტორი განსაკუთრებით კრიტიკულია მათთვის, ვისაც შეზღუდული წვდომა აქვს ფორმალური დასაქმების შესაძლებლობებზე. ამრიგად, არაფორმალური შემოსავლის შესწავლა და მასთან გამკლავება კრიტიკულია შრომის ბაზრების მდგრადობისა და სიღარიბის შემცირების ძალისხმევებისთვის.

არაფორმალური საქმიანობის მასშტაბის შეფასებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. არსებობს მეთოდების ფართო სპექტრი და შესაბამისი მონაცემებიც რეგულარულად ქვეყნდება, მაგრამ არც თუ იშვიათად მათი სანდოობა ეჭვს იწვევს. მაგალითად, თუ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შეფასებით ქვეყანაში დაუკვირვებადი ეკონომიკის სიდიდე 12.5%-ს შეადგენს (საქსტატი, 2024). მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოში არაფორმალური ეკონომიკის მაჩვენებელი 61.8%-ია (World Bank, 2024). ამგვარი კონტრასტული შეფასებები ნაკლებად სანდოა. მსოფლიო ბანკის იმავე სტატისტიკის თანახმად, 15%-ზე დაბალი არაფორმალურობა მხოლოდ მაღალგანვითარებული ეკონომიკების შეზღუდულ რაოდენობაში იკვეთება, რომელთა რიცხვსაც საქართველო არ მიეკუთვნება. მეორე მხრივ, 60%-ზე მეტი დაუკვირვებადობა ეკონომიკაში უკიდურესად მაღალია. ასეთი მაჩვენებელი ისეთ ქვეყნებს აქვთ, როგორიცაა ავღანეთი და ზიმბაბვე. იმის გათვალისწინებით, რომ დასახელებულ ქვეყნებთან შედარებით საქართველო ბევრად მოწინავე პოზიციას იკავებს განვითარების, კანონის უზენაესობის, კეთილდღეობის ან თუნდაც ერთ სულ მოსახლეზე

მშპ-ის დონით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული მაჩვენებელი გადაჭარბებულია. საკითხის მნიშვნელობისა და საჯარო პოლიტიკაზე მისი გავლენის გათვალისწინებით, აუცილებელია ალტერნატიული მეთოდების გამოყენება არაფორმალური შემოსავლის უფრო ზუსტი შეფასებების მისაღებად.

უნდა აღინიშნოს, რომ არაფორმალურობა არსებობს როგორც კომპანიის, ისე შინამეურნეობების დონეზე. კომპანიის არაფორმალურობა გულისხმობს საწარმოს ფუნქციონირებას სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარხის მიღმა – როგორც წესი, რეგისტრაციის გარეშე, დაუბეგრავად და შრომის ან ბიზნეს რეგულაციების შეუსაბამოდ. არაფორმალურობა შინამეურნეობის დონეზე მოიცავს ფორმალური კონტრაქტის ან სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობის გარეშე დასაქმებულ პირებს, მათ შორის „გაუფორმებელ“ მუშაკებს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ფირმებში, აგრეთვე კომპანიის წილის მფლობელ პირებს, რომლებიც მოგებას არაფორმალური შემოსავლის სახით ინაწილებენ.

წინამდებარე ნაშრომი არაფორმალურობას შეისწავლის როგორც დასაქმების, ისე კომპანიის დონეზე, იმ ასპექტში, როდესაც ფირმის ბენეფიციარი მფლობელი იღებს საბოლოო შემოსავალს. შეფასება მოიცავს რეზიდენტ ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც მთლიანად არაფორმალურებად მიიჩნევიან (მაგ., არარეგისტრირებულ პირებს), ასევე მათ, ვისაც ნაწილობრივ ფორმალური შემოსავლის წყარო აქვთ, პარალელურად კი ე.წ. „შავ ბუღალტერიას“ იყენებენ.

არაფორმალური ეკონომიკის ხელშემწყობი ფაქტორები

არაფორმალური ეკონომიკის არსებობასა და გაფართოებას რამდენიმე ფაქტორი უწყობს ხელს.

არაფორმალური დასაქმების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა უმუშევრობა (Schneider and Enste, 2002). ინდივიდები არაფორმალურ

საქმიანობას მიმართავენ, როდესაც ფორმალური სამუშაო შესაძლებლობები მწირია. უმუშევრობის მაღალმა დონემ შეიძლება შექმნას სამუშაო ძალის ჭარბი რაოდენობა, რომელიც მზადაა ჩაერთოს არაფორმალურ საქმიანობაში. კონკურენციის გამო, ადამიანები თმობენ ფორმალურ სექტორში დასაქმების პოტენციურ უპირატესობებს, ხოლო დამსაქმებლებს მეტი ბერკეტი აქვთ მათთან არახელსაყრელ პირობებზე მოლაპარაკებისთვის.

არაფორმალურობასთან მჭიდრო კავშირშია სიღარიბე (Hart, 1973). გადარჩენის მიზნით, ბევრ შემთხვევაში, სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები იძულებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ არაფორმალურ აქტივობებში. ამასთან, სიღარიბე ადამიანებს უფრო მგრძნობიარეს ხდის ფორმალური ხარჯების მცირე ტვირთის მიმართაც კი. ამდენად, საზოგადოების მხრიდანაც მათი ფორმალური საქმიანობით დატვირთვას აზრი არ აქვს ამ დამატებითი ხარჯების გამო.

შემოსავლების უთანასწორობამ ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს არაფორმალური ეკონომიკის ზრდას (Charmes, 2000). როდესაც ის მკვეთრად გამოხატულია, ფორმალური ეკონომიკისგან მარგინალიზებულმა პირებმა შემოსავლისა და ეკონომიკური სტაბილურობის ძიებაში შეიძლება არაფორმალურ სამუშაოს მიმართონ.

ტრადიციები და სოციალური კავშირები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ არაფორმალურობის შენარჩუნებაში (Hart, 1973). ბევრ კულტურაში


გარკვეული არაფორმალური აქტივობები ღრმად არის ფესვგადგმული ტრადიციებში. გარდა ამისა, სოციალური კავშირები ხელს უწყობს არაფორმალურ სამუშაო შესაძლებლობებზე წვდომას.

საოჯახო ბიზნეს საქმიანობას ასევე შეუძლია გავლენა მოახდინოს არაფორმალურობაზე (Günther and Launov, 2012). ოჯახები ხშირად ეყრდნობიან არაფორმალური ღონისძიებების მოქნილობას კომერციული საქმიანობის წარმართვისა და შემოსავლის გენერირებისთვის.

განათლების დაბალი დონე ეკონომიკის ფორმალიზაციის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ადამიანებმა შესაძლოა უბრალოდ არც კი იცოდნენ, როგორ მისცენ თავიანთ საქმიანობას ფორმალური სახე (Günther and Launov, 2012).

საგადასახადო ტვირთი ხშირად მოიხსენიება არაფორმალურ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვის მიზეზად (Schneider and Enste, 2002). მაღალი გადასახადები და რთული საგადასახადო სისტემები ხელს უშლის ფორმალიზაციას და სტიმულს აძლევს ბიზნესს არაფორმალურად იმოქმედოს დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად. ამ კუთხით საინტერესოა, რომ პრაქტიკაში, საქართველოში საგადასახადო განაკვეთები, მათ შორის ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი, შედარებით დაბალია, ხოლო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები - მაღალი, რაც დაბალ საგადასახადო ტვირთსა და გადასახადების აკრეფის ეფექტიანობაზე მიუთითებს.

დიაგრამა 1. საგადასახადო ტვირთი და საგადასახადო შემოსავლები (2023)



წყარო: WiseVoter.com¹.

წყარო: World Bank.

ქვეყნების უმეტესობას გააჩნია სოციალური დახმარების პროგრამები, რომლებიც მიმართულია სოციალურად დაუცველებისა და უმუშევარი პირების მხარდაჭერისკენ (Charmes, 2000). ფორმალურად დასაქმება ზრდის სოციალური შეღავათების დაკარგვის შანსებს, ამიტომ ფიზიკურმა პირებმა შეიძლება არა-ფორმალურ სექტორში დარჩენა ამჯობინონ.

შრომის ბაზრის მკაცრი რეგულაციები არაფორმალურობის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა შეიძლება იყოს, რომლებიც ხშირად უბიძგებენ დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს არაფორმალურ სექტორში გადასვლისკენ, რათა თავიდან აიცილონ შესაბამისობის ხარჯები და ბიუროკრატიული დაბრკოლებები (Dallago, 1990). ეს განსაკუთრებით შეეხება მცირე და მიკრო საწარმოებს, სადაც თითოეული სამუშაო ერთეული გადამწყვეტ როლს თამაშობს.

ბიუროკრატია და ფორმალიზაციასთან დაკავშირებულმა ადმინისტრაციულმა ტვირთმა შეიძლება შეაფერხოს კერძო პირების და ბიზნესების

ფორმალურ ეკონომიკაში ჩართვა (Schneider and Enste, 2002). რეგისტრაციისა და შესაბამისობის რთული პროცედურები შესაძლოა ბარიერი აღმოჩნდეს მათთვის, ვისაც სურს ფორმალურ სექტორში ყოფნა.

აღსრულების პრაქტიკის სისუსტეები მატერიალურ გავლენას ახდენს ეკონომიკური აგენტების ფორმალიზაციის გადანაცვეტილებაზე. მაგალითად, დღეს პირს შეუძლია არაფორმალურად იმუშაოს და მაინც მიიღოს ხელფასი საკუთარ ანგარიშზე ჩარიცხვით, აგრეთვე ისარგებლოს საბანკო ტრანზაქციებით, რაც აღსრულების ორგანოებს შეუმჩნეველი რჩება.

ციფრულმა ეკონომიკამ ზოგადად არაფორმალურობას ახალი განზომილებები შესძინა. ონლაინ პლატფორმებმა შექმნეს შესაძლებლობები ისეთი არაფორმალური სამუშაოსთვის, როგორიცაა ფრილანსერული მომსახურება და აპლიკაციებზე დაფუძნებული სამსახური. ციფრული ეკონომიკა შლის ზღვარს ფორმალურ და არაფორმალურ სამუშაოს შორის,

1. Heritage Foundation-ის „საგადასახადო ტვირთის“ საკუთარი შეფასება აქვს. მეთოდოლოგია განსხვავებულია, თუმცა ქვეყნების რეიტინგის თვალსაზრისით შედეგი მსგავსია.

რაც პრობლემებს უქმნის რეგულირებას და დაბეგვრას (IMF, 2020). კიდევ ერთი სფეროა საერთაშორისო დასაქმება და ვაჭრობა, სადაც მომსახურების ან დამატებული ღირებულების შექმნის ადგილის დადგენა ერთობ რთულია.

არაფორმალური ეკონომიკური აქტივობის გაზომვის ტრადიციული მეთოდები

ჩრდილოვანი შემოსავლების შესწავლასა და შეფასებას ვრცელი ისტორია აქვს. შედეგად ჩამოყალიბდა აკადემიურ დონეზე მიღებული მიდგომები, თუ როგორ შეიძლება შეფასდეს არაფორმალური საქმიანობის ზომა.

მოხმარების ან ხარჯების მონაცემების მეთოდი (MacAfee, 1980) არაფორმალური ეკონომიკური საქმიანობის იდენტიფიცირების მიზნით ეყრდნობა ოჯახების მოხმარების ან ხარჯების ანალიზს. მკვლევარები შეისწავლიან შემოსავლის წყაროებს და ხარჯების ტიპებს, რომლებიც არ შეესაბამება ფორმალურ დასაქმებას ან ბიზნესიდან შემოსავალს. მაგალითად, არარეგისტრირებულ ბიზნესთან ან ფარულ გადახდებთან დაკავშირებული ხარჯები შეიძლება მიუთითებდეს არაფორმალურ ეკონომიკურ აქტივობაზე. ანგარიშგებული შემოსავლებისა და ფაქტობრივი ხარჯების შედარებით, ანალიტიკოსებს შეუძლიათ შეაფასონ არაფორმალური ეკონომიკის ზომა.

როგორც წესი, არჩეულ სექტორებში ტარდება დეტალური მიკრო კვლევა, რომლის შედეგები შემდეგ ექსტრაპოლირდება. მაგალითად, მსგავსი მეთოდით საქსტატმა შეისწავლა რამდენიმე სექტორი და კომლექსური ანალიზის საფუძველზე მთლიან დამატებულ ღირებულებაში დაუკვირვების წილი 12.5%-ად


შეაფასა (ჯეოსტატი, 2024). აღსანიშნავია, რომ იმავე კვლევების მიხედვით, ანალოგიური მაჩვენებელი სტუმარმასპინძლობის სექტორში 50%-ს აღწევს².

სამუშაო ძალაში მონაწილეობის (IMF, 2020) მაჩვენებლები არაფორმალური საქმიანობის ღირებულ ინდიკატორს წარმოადგენს. თვითდასაქმების ან ოჯახში სამუშაოს მაღალი მაჩვენებელი შეიძლება მიუთითებდეს არაფორმალური ეკონომიკის მსხვილ მასშტაბზე. მკვლევარები აფასებენ სამუშაო ძალის შემადგენლობას და დასაქმების მდგომარეობის მიხედვით ყოფენ პოტენციურად ფორმალურად ან არაფორმალურად. ეს მიდგომა განსაკუთრებით სასარგებლოა კონკრეტულ რეგიონში ან სექტორში არაფორმალური დასაქმების ზომის დასადგენად.

თვითდასაქმების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი საქართველოში არაფორმალური დასაქმების მნიშვნელოვან დონეზე შეიძლება მიუთითებდეს. როგორც ქვემოთ მოტანილ დიაგრამაზე ჩანს, თვითდასაქმებულთა წილი საქართველოში, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, თითქმის 50%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც საქსტატის ანალოგიური მონაცემი 30%-ია. ეს განსხვავება შეიძლება იმით აიხსნას, რომ საქსტატმა 2020 წლიდან დაანერგა ILO-ს ახალი სტანდარტები, რომლის მიხედვითაც თვითდასაქმებულად არ ითვლებიან პირები, ვინც სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებენ და არ არიან ორიენტირებული ბაზარზე. მსგავსი განსხვავებები სხვა ქვეყნების სტატისტიკურ მონაცემებშიც შეიძლება შეგვხვდეს, ამიტომ საერთაშორისო შედარებებისთვის მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის სტატისტიკის გათვალისწინება.

2. ინტერვიუ საქსტატის აღმასრულებელ დირექტორთან (ვიდეო, Facebook). ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/watch/?v=812032234545120> (წვდომა: 2025 წლის 30 ნოემბერი).

დიაგრამა 2. თვითდასაქმების წილი მთლიან დასაქმებაში (2023)



წყარო: World Bank, საქსტატი.

გარდა ამისა, საქსტატის შეფასებით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც სამუშაო ძალის გამოკვლევას ეყრდნობა, არაფორმალური დასაქმება საქართველოში საკმაოდ მასშტაბურია. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში დამკვიდრებულია არაფორმალური საქმიანობის ისეთი სახეობები, როგორიცაა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, კერძო რეპეტიტორობა,

სხვადასხვა ნაკეთობის დამზადება, ტურისტული სერვისები, სამედიცინო მომსახურება, ქუჩის ვაჭრობა და სხვა. არაფორმალური დასაქმების შესახებ ოფიციალური სტატისტიკა³, რომელიც არასასოფლო-სამეურნეო დასაქმებას მოიცავს, საქართველოში 2017 წლიდან ქვეყნდება (იხ., ცხრილი1).

ცხრილი 1: არაფორმალური დასაქმება საქართველოში (% წილი არასასოფლო-სამეურნეო დასაქმებაში)

	2020	2021	2022	2023	2024
სულ	31.7	28.8	28.4	27.6	29.1
ქალი	26.2	22.5	22.5	21.7	23.3
კაცი	36.4	34.2	33.4	32.6	34.2
ქალაქად	30.2	26.8	27.0	25.4	26.8
სოფლად	35.6	33.7	31.6	32.7	34.4


წყარო: საქსტატი.

3. საქსტატის სამუშაო ძალის გამოკითხვის მიხედვით, არაფორმალური დასაქმება მოიცავს არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულებს, რომლებიც თავიანთ სამუშაოზე არ იყვნენ ან ნაწილობრივ იყვნენ დაცული ფორმალური შეთანხმებებით (არ იხდიდნენ საშემოსავლო გადასახადს ხელფასიდან; არ შეეძლოთ ესარგებლათ ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულებით, ანაზღაურებადი საავადმყოფო ფურცლით, ან/და დამსაქმებელი არ იხდიდა საპენსიო ფონდში შენატანს) ან საკუთარი დასაქმების სტატუსს განსაზღვრავდნენ როგორც ოჯახის საწარმოში/მეურნეობაში დამხმარე, ან მუშაობდნენ საწარმოებში, რომლებიც არ არის რეგისტრირებული.

შედარებისათვის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, რომელიც უნივერსალური მეთოდოლოგიის საფუძველზე სამუშაო ძალის კვლევებს ეყრდნობა, საქართველოს არაფორმალური ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს. თუმცა, თუ

ავიღებთ საქსტატის მონაცემებს, რომელიც მხოლოდ არასასოფლო-სამეურნეო სეგმენტზე არაფორმალურ დასაქმებას ითვალისწინებს, გლობალური მასშტაბით საქართველოს მაჩვენებელი შედარებით მოკრძალებულად ჩანს, განსაკუთრებით მეზობელ ქვეყნებთან შედარებით.

დიაგრამა 3. არაფორმალური დასაქმების წილი მთლიან დასაქმებაში (2022)




წყარო: ILO, საქსტატი.

როდესაც არაფორმალური წარმოების შესახებ გამოკითხვაზე დაფუძნებული საზომები მიუწვდომელია ან შეფასება არასანდოა, შეიძლება გამოყენებულ იქნას არაპირდაპირი, მოდელზე დაფუძნებული საზომები. როგორც წესი, ისინი ეყრდნობა მყარ ეკონომიკურ ლოგიკას, მაგრამ ძლიერ დაშვებებს. არაფორმალურ ეკონომიკაში გამოშვების ზომის შესაფასებლად, აკადემიური კვლევები ზოგადად ორი ტიპის არაპირდაპირ მოდელზე დაფუძნებულ მიდგომას ანიჭებს უპირატესობას: დინამიკური წონასწორობის მოდელებს და სტრუქტურული განტოლების მოდელებს (Elgin et al., 2021).

დინამიკური ზოგადი წონასწორობის (DGE) მო-

დელი საშუალებას იძლევა გაანალიზდეს ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებები ფორმალური წყაროდან მიიღონ შემოსავლები, თუ არაფორმალურიდან. DGE მოდელი მოითხოვს მკაცრი დაშვებების ფართო სპექტრს, რაც ზოგჯერ არსებულ რეალობასთან მნიშვნელოვან აცდენებს იწვევს. გარდა ამისა, მოდელი ხშირად ეყრდნობა სხვა კვლევების მიერ შეფასებულ არაფორმალური ეკონომიკის საწყის ზომას და განსაკუთრებით სასარგებლოა სტილიზებული ფაქტების ილუსტრირებისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ მოდელისთვის აუცილებელი მონაცემების ხელმისაწვდომობა, როგორც წესი, პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში (IMF, 2024).

დიაგრამა 4. DGE მოდელით შეფასებული არაფორმალური ეკონომიკის წილი (2020)




წყარო: World Bank Informal Economy Database.

მრავალი ინდიკატორის და მრავალი მიზეზების მოდელი (Multiple Indicators Multiple Causes Model - MIMIC) განსაკუთრებით სასარგებლოა არაფორმალური ეკონომიკის ზომის შესაფასებლად, რადგან ის საშუალებას იძლევა ერთობლივად იქნას გამოყენებული არაფორმალურობის გამომწვევი ყველა ფაქტორი და ამავედროულად ერთობლივად იქნას გათვალისწინებული არაფორმალური აქტივობის ყველა ინდიკატორი. პრობლემის სირთულიდან გამომდინარე, ეს ძალიან პრაქტიკული და ინტუიციური მიდგომაა. გარდა ამისა, მოდელი ადვილად ვრცელდება ქვეყნის პანელური ან დროითი მონაცემების მწკრივებზე. მონაცემთა მოთხოვნა კი ნაკლები გამოწვევაა DGE მოდელთან შედარებით, რადგან ძირითადი მაკრო ცვლადები ადვილად ხელმისაწვდომია (Elgin et al., 2021).

ნაკლოვანებებიდან უნდა აღინიშნოს, რომ მოდელის სტატისტიკური შედეგები ბევრად

განსხვავდება მოდელის სპეციფიკაციისა და მონაცემთა დაფარვის მიხედვით, რაც ზღუდავს მის სანდოობას და მანიპულირების საშუალებას იძლევა. მაგალითად, ცალკეული მკვლევარების სპეციფიკაციის (Medina and Schneider, 2018) თანახმად, ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი საქართველოში 2017 წელს 51% იყო, მსოფლიო ბანკის იმავე პერიოდის ანალოგიური შეფასება კი 61%-ია (World Bank, 2024). ამ შეზღუდვის გარდა, მოდელის სპეციფიკაციები საჭიროებს მონაცემებს გარე დამოუკიდებელი წყაროებიდან (მაგ., Heritage Foundation-ის ინდექსები). ასევე, MIMIC მოდელები არაფორმალურობის ფარდობით ცვლილებებს დროთა განმავლობაში აფასებენ, მაგრამ აბსოლუტური დონე გარე მონაცემებზე უნდა იყოს დაფუძნებული - როგორც წესი, სხვა კვლევებიდან. გარკვეული კრიტიკა ვრცელდება იმაზე, რომ მშპ-ი ერთდროულად გამოიყენება როგორც მიზეზობრივი და ინდიკატორის (დამოუკიდებელი და დამოკიდებული) ცვლადი.

დიაგრამა 5. MIMIC მოდელით შეფასებული არაფორმალური გამოშვების წილი (2020)

წყარო: World Bank Informal Economy Database.

ზემოხსენებული მონაცემთა წყაროები ასევე საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ საქართველოს დროითი სერიების სტატისტიკას და დავინახოთ MIMIC მოდელის ერთ-ერთი ცნობილი შეზღუდვა - დროთა განმავლობაში შეფასების (მაჩვენებელთა) მდგრადობა. კერძოდ, აშკარაა, რომ საქართველოს ეკონომიკამ ბოლო 25 წლის განმავლობაში მასშტაბური ტრანსფორმაცია განიცადა ყველა მიმართულებით, რის ფონზეც არაფორმალურობის დონე უფრო მნიშვნელოვნად უნდა შეცვლილიყო, თუმცა MIMIC მოდელის შედეგები დროში თითქმის მუდმივია. ეს მიუთითებს უფრო სიღრმისეული ალტერნატიული ანალიზის საჭიროებაზე, რათა დადგინდეს, ნამდვილად არსებობს თუ არა არაფორმალურობის ასეთი მაღალი დონე საქართველოში.

ამ კუთხით, კვლევის ერთ-ერთი ობიექტს წარმოადგენს არაფორმალური დასაქმება და ამ გზით მიღებული შემოსავალი, რომელიც ხშირად დაკვირვებისთვის უკეთესადაა ხელმისაწვდომი. თუმცა, ამ მიდგომასაც აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

დავინწყოთ, სამუშაო ძალის გამოკვლევით (LFS), რომელსაც ბევრი ქვეყანა ატარებს დასაქმებისა და სამუშაო ძალის სხვა მახასიათებლების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. ეს კვლევები, როგორც წესი, ახარისხებს პირებს დასაქმებულებად ან უმუშევრებად დასაქმების მათივე თვითშეფასებული სტატუსის მიხედვით. არაფორმალური დასაქმება ხშირად იდენტიფიცირება კონკრეტული მახასიათებლებით, როგორიცაა დასაქმების ხელშეკრულების არარსებობა, სოციალური დაზღვევის შენატანების უქონლობა ან შრომის რეგულაციების შეუსრულებლობა. LFS იძლევა ეროვნულ დონეზე წარმომადგენლობით მონაცემებს, რაც მას შესაფერისს ხდის ქვეყნების და რეგიონების შედარებისთვის. გარდა ამისა, იგი მოიცავს შრომის ბაზრის მახასიათებლების ფართო სპექტრს, მათ შორის გარკვეულ ინფორმაციას არაფორმალურ დასაქმების შესახებ. ამ წყაროს ნაკლოვანებაა თვითშეფასებული მონაცემების სიზუსტე. ადამიანებმა შეიძლება არ გაამჟღავნონ თავიანთი არაფორმალური სამუშაო, რაც იწვევს არადაამაყყოფილებელ შეფასებას. გარდა

ამისა, LFS შეიძლება არ ასახავდეს არა-ფორმალური დასაქმების სრულ სპექტრს.

ზოგიერთი ქვეყანა ატარებს სპეციალიზებულ გამოკითხვებს – ეკონომიკური აქტივობის კვლევებს, რომლებიც ფოკუსირებულია ეკონომიკურ საქმიანობაზე. ამ გამოკითხვების საფუძველზე შეიძლება შეგროვდეს ინფორმაცია თვითდასაქმებისა და არაფორმალური საწარმოების შესახებ. ამგვარი კვლევის ძლიერი მხარეა არაფორმალურ ბიზნესსა და მის მახასიათებლებზე დეტალური ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა. თუმცა, ეს კვლევები შეიძლება არ მოიცავდეს არაფორმალური დასაქმების ყველა ასპექტს, როგორიცაა არაფორმალური შრომითი საქმიანობა ფორმალურ საწარმოებში ან ფარული არაფორმალური სამუშაო. მონაცემები შეიძლება ნაკლებად ყოვლისმომცველი იყოს, ვიდრე LFS მონაცემები.

ზოგიერთი ქვეყანა ფორმალური დასაქმების იდენტიფიცირებისთვის იყენებს ადმინისტრაციულ მონაცემებს, როგორიცაა საგადასახადო ჩანაწერები ან სოციალური დაზღვევის შენატანები. შემდეგ არაფორმალური დასაქმება ფასდება, როგორც ფორმალური დასაქმების დამატება. ეს მეთოდი ეფუძნება ვარაუდს, რომ ყველა დასაქმება ან ფორმალურია, ან არაფორმალური. ამ წყაროს უპირატესობა იმაშია, რომ ადმინისტრაციულ მონაცემებს შეუძლიათ ფორმალური დასაქმების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდება, რაც არაფორმალური დასაქმების დედუქციის გზით შეფასების საშუალებას იძლევა. ამასთან, ეს მეთოდი შეიძლება არ მოიცავდეს არაფორმალური დასაქმების ყველა ასპექტს, განსაკუთრებით იმ აქტივობებს, რომლებიც სრულიად არარეგისტრირებულია ან არ არის აღრიცხვადი. ის დიდად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ჩანაწერების სიზუსტესა და სისრულეზე.

შეჯამებისთვის, არაფორმალური დასაქმების შეფასების ტრადიციული მეთოდები ღირებულ ინფორმაციას გვაწვდის არაფორმალური შე-

მოსავლის შესახებ. თუმცა, ისინი ხშირად ეყრდნობიან თვითშეფასებულ მონაცემებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არაფორმალური დასაქმების არასაკმარისი აღრიცხვა სტიგმის ან ცნობიერების ნაკლებობის გამო. ამასთან, შესაძლოა, ეს მეთოდები არ ასახავდეს არაფორმალურობის ყველა ასპექტს. მონაცემთა მრავალი წყაროსა და მეთოდოლოგიის გაერთიანებამ შეიძლება ხელი შეუწყოს არაფორმალური დასაქმების შეფასების სიზუსტისა და ყოვლისმომცველობის გაუმჯობესებას, მაგრამ ხარვეზები მაინც რჩება. ამიტომ, სასურველია ალტერნატიული მეთოდებისა და მიდგომების შესწავლა.

შინამეურნეობების არაფორმალური შემოსავლების შეფასება საქართველოში მიკრომონაცემებზე დაყრდნობით

ეკონომიკური ანალიზის ცენტრალური პრობლემა ყოველთვის მონაცემთა ხელმისაწვდომობა და სანდოობაა. სტანდარტული საზედახმედველო მიზნებისთვის შეგროვილი მონაცემთა ბაზების დამუშავებით ჩვენ მივიღეთ წვდომა უნიკალურ ინფორმაციაზე, რომელიც მოიცავს დაახლოებით 2 მილიონი პირის მონაცემებს, მათ შორის თითოეულის შემოსავლის ოდენობისა და ტიპის შესახებ.

საქართველოს საკრედიტო ინფორმაციის ბიუროდან ხელმისაწვდომია მონაცემები 2.4 მილიონ პირზე, რომლებსაც აქვთ საკრედიტო ისტორია. ბუნებრივია, მსესხებლების ნაწილს აქვს ვადაგადაცილებული დავალიანება ან შესაძლოა ცოცხალიც კი არ იყოს. 2024 წელს დაახლოებით 2 მილიონ პირს ჰქონდა აქტიური სესხი და იხდიდა ვალს, რაც ნიშნავს, რომ მათ აქვთ გარკვეული სახის შემოსავალი. ასევე, ეროვნულმა ბანკმა 2019 წელს დანერგა პასუხისმგებელი დაკრედიტების რეგულაცია, რომელიც ყველა ლიცენზირებულ კრედიტორს ავალდებულებს სესხის გაცემამდე შეამოწმოს მსესხებლების კრედიტუნარიანობა⁴. არსებობს მოთხოვნების კონკრეტული ზღვარი:

4. ერთი გამონაკლისი ვრცელდება არარეგრესული (Non-Recourse) ტიპის სესხებზე, როგორიცაა ლომბარდული კრედიტი, რომელიც აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსებაა და მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობას არ ითვალისწინებს. თუმცა, იმ პირების რაოდენობა, რომლებსაც მხოლოდ ლომბარდის სესხი აქვთ შეზღუდულია. გარდა ამისა, ისინი ვალს ემსახურებიან, ამიტომ ეს შედეგებს მნიშვნელოვნად არ ცვლის;

- თუ მსესხებლების შემოსავალი 1,500 ლარზე ნაკლებია, სესხის ყოველთვიური გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს მსესხებლის შემოსავლის 20%-25%-ს, სესხის ვალუტისა და ჰეჯირების სტატუსის მიხედვით⁵;
- თუ მსესხებლების შემოსავალი 1,500 ლარზე მეტია, სესხის ყოველთვიური გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს მსესხებლის შემოსავლის 30%-50%-ს, სესხის ვალუტისა და ჰეჯირების სტატუსის მიხედვით.

ეს ნიშნავს, რომ მსესხებელს არა მხოლოდ გარკვეული თანხა აქვს ვალის დასაფარად, არამედ – სტაბილური შემოსავლის წყაროც, რომელიც ყოველთვიურ ვალის დაფარვის ოდენობას 2-ჯერ ან 4-ჯერ აღემატება. გასათვალისწინებელია, რომ ეს არის ფინანსური სექტორი, სადაც მონაცემების ხარისხი, როგორც წესი, ყველაზე მაღალია. იგი მკაცრად რეგულირდება და ექვემდებარება ზედამხედველობას, რაც მონაცემთა კიდევ უფრო მეტ სიზუსტეს უზრუნველყოფს. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ საკრედიტო ბიუროს ბაზაში აქტიურ მსესხებლებს რეგულარული შემოსავალი აქვთ.

ცხადია, არსებობს მონაცემთა ხარვეზები და შეზღუდვები. კერძოდ, ზოგჯერ ოჯახი იღებს ერთობლივ სესხს ერთი წევრის სახელით, ხოლო მას ერთობლივი შემოსავლით ემსახურება. ან შეიძლება მოხდეს, რომ მსესხებელმა 2024 წლის განმავლობაში დაკარგა შემოსავალი და ვალის მომსახურებას დანაზოგით აგრძელებს, ან შეიძლება უბრალოდ ისესხოს მეგობრებისგან ან სხვა არაფორმალური წყაროებიდან კრედიტის დასაფარად. მიუხედავად ამისა, მო-

ნაცემების მოცულობის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის 2/3-ს (დაახლოებით 3 მილიონი ადამიანი⁶), ეს შეზღუდვები არ უნდა იყოს არსებითი.

კიდევ ერთი მონაცემია საცალო მსესხებლების 2024 წლის რეალურად შეფასებული შემოსავლები. შედარებით დაბალი ხარისხის და არასრული მონაცემების გასუფთავების შემდეგ, რჩება 345 ათასი პირი, რომელთა ბანკის მიერ შეფასებული შემოსავალი ცნობილია როგორც ფაქტობრივი შემოსავლის ოდენობის, ისე ამ შემოსავლის ძირითადი წყაროს მიხედვით.

სესხის გაცემის პროცესში შემოსავლის შემოწმება საკმაოდ რთული პროცედურაა. თავდაპირველად, მსესხებელი აცხადებს თავის ყოველთვიურ ხელფასს. პოტენციური მსესხებლისგან ბანკი ითხოვს დამსაქმებელთან ოფიციალურ ხელშეკრულებას და ანგარიშის ამონაწერს, რათა დარწმუნდეს, რომ ბოლო რამდენიმე თვის (როგორც წესი, 6) განმავლობაში მას რეგულარულად ერიცხებოდა შრომის ანაზღაურება. თუ ფაქტობრივი დოკუმენტები არასაკმარისია, კრედიტორი ამომწმებს მსესხებლის სამუშაო ადგილს, რათა დარწმუნდეს მის ფიზიკურ არსებობაში. ადგილზე ყოფნისას ხდება აღრიცხვის არაოფიციალური დოკუმენტების გაცნობა, რომელთა საფუძველზეც საკრედიტო ოფიცერი აფასებს პირის საშუალო შემოსავალს. გარდა ამისა, არსებობს ძირითადი პროფესიების წინასწარ განსაზღვრული ცხრილი, რომელშიც ასახულია მუშაკთა საშუალო ანაზღაურება სამუშაოს ტიპების და ადგილმდებარეობისა მიხედვით.


5. მსესხებელი ითვლება სავალუტო რისკებისგან დაზღვეულად, თუ მისი შემოსავალი დენომინირებულია იმავე ვალუტაში, რომელშიც გაცემული სესხია.

6. 18-64 წლის მოსახლეობა, აქტიური სამუშაო ძალა, დაახლოებით 2.3 მილიონ ადამიანს მოიცავს. როგორც ზოგიერთი კვლევა მიუთითებს, მათი ნაწილი რეგულარულად/პერიოდულად ცხოვრობს საზღვარგარეთ, შესაბამისად, საქართველოს ფინანსური და შრომის ბაზრის მიღმაა.

პოტენციურ მსესხებელს ყოველთვის აქვს სტიმული აჩვენოს, რომ შემოსავალი უფრო მაღალია, რაც საშუალებას აძლევს მას მიიღოს მეტი ოდენობის სესხი უკეთესი პირობებით. საკრედიტო ოფიცერსაც შეიძლება ჰქონდეს გარკვეული სტიმული გაზარდოს ხელფასი, თუ მსესხებელი ახლოსაა მინიმალურ ზღვართან, ხოლო ოფიცერი მოტივირებულია რისკის ფასად გაზარდოს საკრედიტო პორტფელი. თუმცა, ეროვნული ბანკის საზედამხებელო მონიტორინგის შედეგებით, შემოსავლების შეფასების არსებული საბანკო პრაქტიკა საკმაოდ ზუსტი და სანდოა. ამასთან, ასეთი სესხების დეფოლტების დონე პრაქტიკაში სტაბილურობის დროს 1%-ზე ნაკლებია⁷,

რაც ხაზს უსვამს შეფასების ხარისხს. გარდა ამისა, ეკონომიკაში შემოსავლების მაღალი უთანასწორობის მსგავსად, მსესხებლებს შორისაც დიდია განსხვავებები. რაოდენობრივად სესხების დიდი რაოდენობა მცირე შემოსავლის მქონე მსესხებლებზეა გაცემული, მაშინ როცა თანხობრივად მაღალშემოსავლიანი შინამეურნეობების კრედიტები მთლიანი პორტფელის უდიდეს ნაწილს შეადგენენ. იმის გათვალისწინებით, რომ უფრო დიდი ვალის ამღები. მაღალშემოსავლიანი მსესხებლები უფრო სკურპულოზულად ფასდებიან, საერთო შეფასების ექსტრაპოლირებული ხარისხიც მაღალი უნდა იყოს.


დიაგრამა 6. საცალო სესხების რაოდენობა და მოცულობა მსესხებლების შემოსავლის დიაპაზონის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

7. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს გარკვეული ბუნებრივი დეფოლტის მაჩვენებელი, როდესაც მსესხებელს არ აქვს სესხის დაფარვის სურვილი, და არა უნარი, 1% საკმაოდ დაბალია.

დიაგრამა 7. მსესხებლების მიერ ბანკებისთვის დეკლარირებული შემოსავლის განაწილება⁸ (ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

მონაცემთა კიდევ ერთი წყაროა საგადასახადო ორგანო-ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. მას აქვს საშემოსავლო გადასახადის მონაცემები საქართველოში მცხოვრები ყველა ფიზიკური პირის შესახებ. ამ მონაცემებს, როგორც წესი, დამსაქმებლები ავსებენ თანამშრომლების საშემოსავლო გადასახადისა და აქციონერების დივიდენდების დეკლარირებისა და გადახდისას, ხოლო ინდივიდუალური მენარმეები თავად წარადგენენ დეკლარაციას. 2019 წლიდან, როდესაც დაინერგა დაგროვებითი საპენსიო სისტემა, ამ მონაცემების ხარისხი კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან საპენსიო შენატანები მათთან არის დაკავშირებული და საპენსიო სააგენტოს მეშვეობით თავად ფიზიკური პირები აკონტროლებენ დეკლარაციებს. გარდა ამისა, მოსახლეობის ნაწილი, განსაკუთრებით ისინი, ვინც ქონების გადასახადს იხდის, ასევე რეგისტრირებულია შემოსავლების სამსახურში და მათ იქ ვირტუალურად შეუძლიათ საკუთარი შემოსავლის მონაცემების შემოწმება. აქვე გასა-

თვალისწინებელია, რომ საგადასახადო მონაცემების შემთხვევაში ზოგიერთ დამსაქმებელს და დასაქმებულს, საგადასახადო ტვირთის შესამსუბუქებლად, აქვს უფრო დაბალი თანხის დეკლარირების ან სულაც დამალვის სტიმული.

გარდა ამისა, საქართველოს სესხების ბაზრის თავისებურება დაკავშირებულია ორ სხვა ფაქტორთან. პირველი არის მაღალი დამოკიდებულება ფულად გზავნილებზე. საქართველოში ოჯახების მნიშვნელოვან რაოდენობას ჰყავს წევრი, რომელიც საზღვარგარეთ მუშაობს და რეგულარულად რიცხავს თანხებს. ამ ტიპის შემოსავალს შემდეგ ოჯახი იყენებს საბანკო სესხის ასაღებად შედარებით დიდი ხარჯების გასაწევად, როგორცაა საცხოვრებლის შეძენა ან რემონტი. გზავნილების შესახებ მონაცემებს ამჟამად საკრედიტო ინფორმაციის ბიურო თანმიმდევრულად აგროვებს 7 მსხვილი ფინანსური ინსტიტუტიდან, რომლებიც გადარიცხვებს ანაღებენ და ბაზრის დაახლო-

8. საინტერესოა, რომ საქართველოში მედიანური შემოსავალი, როგორც ჩანს, 800-დან 1200 ლარამდე მერყეობს.

ებით 95%-ს ფარავენ. მეორე მახასიათებელია შედარებით მაღალი საკრედიტო აქტივობა საპენსიო ასაკის პირებში. ამ მსესხებლების უმეტესობის ერთადერთი რეგულარული შემოსავალი სახელმწიფო პენსიაა. შესაბამისად, მათ არ აქვთ საგადასახადო ორგანოებში დეკლარირებული ფორმალური შემოსავალი, მაგრამ მათი შემოსავალი ტექნიკურად ფორმალურია. ამიტომ, ამ მონაცემების გათვალისწინებაც აუცილებელია. ყველა სახელმწიფო სოციალური დახმარება ბანკის მეშვეობით ხორციელდება, რაც კვლევის მიზნებისთვის ამ ტიპის მონაცემთა შეგროვებასაც შესაძლებელს ხდის.

ბუნებრივია, შინამეურნეობების შემოსავლის მონაცემები სენსიტიური და მკაცრად კონფიდენციალურია. ყველა ზემოთჩამოთვლილი მონაცემთა ბაზა იქნა თავმოყრილი ეროვნული ბანკის მონაცემთა საცავში, სადაც ისინი ავტომატურად დაშიფრული და დეპერსონალიზებული იყო. ამან შესაძლებელი გახადა ამ უნიკალური მონაცემების შექმნა კონფიდენციალურობის დაცვით, რაც მსგავსი კვლევებისთვის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს.

სათანადო სტატისტიკის შეგროვების შემდეგ, გაიმიჯნა მსესხებლის შემოსავლები მათი წყაროების მიხედვით. იმ შემთხვევებში (მაგალითად, იპოთეკური სესხის მსესხებლებისთვის), როდესაც შემოსავლის წყარო იდენტიფიცირებულია ბანკების მიერ, დამატებით დამუშავების საჭიროება არ დადგა. დანარჩენი საცალო მსესხებლების შემთხვევაში კი, როდესაც ცნობილია მხოლოდ შემოსავლის არსებობა, დამატებითი სამუშაოების ჩატარება გახდა საჭირო. თავდაპირველად მათ შესახებ ინფორმაცია შედარდა შემოსავლების სამსახურის მონაცემებთან. თუ მათ წარდგენილი აქვთ დეკლარაციები, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი ნაწილობრივ მაინც არიან ფორმალურად დასაქმებული. შემდეგ, თუ მსესხებელი იღებს პენსიას და „საპენსიო სესხს“, ხდება მათი გაფილტვრა ბაზიდან. და ბოლოს, დარჩენილი ჯგუფიდან გამოყოფილია გზავნილების მიმღები

მსესხებლები. აღნიშნული დამუშავების შემდეგ დარჩენილ პირებზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შემოსავალს მთლიანად ფორმალური და არაფორმალური ეკონომიკური საქმიანობიდან იღებენ.

ერთ-ერთი ნაკლი აქ სოფლის მეურნეობის წარმოებიდან მიღებული შემოსავალია, რომელიც დაბეგვრას არ ექვემდებარება და შესაბამისად არადეკლარირებულია. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის უახლესი განმარტებით, რომელიც საქსტატის მიერაცაა დანერგილი, ასეთი შემოსავალი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, თუ იგი მიღებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან. ზოგადი შეფასებით, მსესხებლების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მსგავსი შემოსავალი უმნიშვნელოა, ამიტომ შესაძლოა უგულებელყოფილი იქნას. კიდევ ერთი სფეროა საზღვარგარეთიდან პირდაპირ მიღებული შემოსავალი, მაგალითად, ქართველი მეზღვაურები, რომლებიც საერთაშორისო გემებზე მუშაობენ. მათი კლასიფიკაცია საკმაოდ რთულია, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ დასაქმებულთა მნიშვნელოვან ნაწილს.

და ბოლოს, ამ შეფასების მონაცემები მსესხებლებს ეხება, არამსესხებლების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. თეორიულად, ამან შეიძლება გამოიწვიოს შერჩევის მიკერძოება, რადგან ისინი, ვინც ბანკში სესხულობენ, აქვთ აქტიური საბანკო ანგარიში და ადასტურებენ თავიანთ შემოსავალს ბანკში, უფრო მეტად ფორმალურ სექტორში არიან დასაქმებული. თუმცა, ნიმუშის ზომის გათვალისწინებით, ის მოიცავს შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მსესხებლებთან დაკავშირებული დასკვნები დანარჩენი მოსახლეობისთვისაც უნდა იყოს მართებული. მიუხედავად ამისა, დასკვნის გაკეთებისას გავითვალისწინეთ შერჩევის მიკერძოების პოტენციური გავლენა და ის, რომ დასკვნამ შეიძლება არასწორად შეაფასოს არაფორმალური დასაქმების რეალური წილი.

ემპირიული ანალიზი და დასკვნები საქართველოსთვის

მას შემდეგ, რაც მონაცემთა ბაზები გაიფილტრა და გაერთიანდა, ანალიზური ნაწილი შედარებით მარტივი მეთოდს დაეფუძნა. როგორც აღინიშნა, გაანალიზდა 345 ათასი მსესხებელი, რომელთა შემოსავლის შეფასება არსებობს ბანკებში. ამ ჯგუფიდან დაახლოებით 50 ათასს (14.2%) არ აქვს მიმდინარე ჩანაწერები შემოსავლების

სამსახურში, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათი შემოსავლები სრულად არაფორმალურია.

გარდა ამისა, ფორმალური წყაროდან შემოსავლის არსებობა არ იძლევა გარანტიას, რომ პირს არ აქვს მნიშვნელოვანი არაფორმალური შემოსავალი. ცხრილი 2 აჯამებს, თუ რამდენად მეტ შემოსავალს უმჯლავნებენ კლიენტები ბანკებს საგადასახადო ორგანოსთან შედარებით. შესაბამისი ფორმულა შემდეგია:

$$\text{ნამდვილი შემოსავლის კოეფიციენტი} = \frac{\text{ბანკთან გამჯლავებული შემოსავალი}}{\text{შემოსავლების სამსახურში დეკლარირებული შემოსავალი}}$$

ცხრილი 2. ბანკის მიერ შეფასებული მსესხებლების შემოსავლის თანაფარდობა შემოსავლების სამსახურთან დეკლარირებულ შემოსავალზე, განაწილება

ბანკის შეფასებული/ სახელმწიფო შემოსავლების სამსახურში დეკლარირებული	წილი
<50%	4.0%
<150%	58.1%
150%-200%	7.7%
>200% (დიდწილად არაფორმალური)	16.1%
სრულად არაფორმალური	14.2%
მთლიანი	100%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, შემოსავლების სამსახური, ავტორის გაანგარიშებები.

ცხრილის მიხედვით, მთლიანი შერჩევიდან, მსესხებლების 4.0%-ის დადებულ დეკლარირებული შემოსავალი ბანკში გამჯლავებულს აღემატება, ხოლო 58.1%-ს ორივე შემთხვევაში დაახლოებით ერთნაირი შემოსავალი უფიქსირდება. გარდა ამისა, კრედიტის აღებისას, 7.7% ბანკებში შემოსავლის სახით 150%-250%-ით მეტს აჩვენებს, ვიდრე საგადასახადო დეკლარაციაში, თუმცა, ეს მაინც შეიძლება გამოწვეული იყოს შეფასების უზუსტობით, სეზონურობით ან დროთა განმავლობაში შემოსავლის მერყეობით. ამრიგად, სავარაუდოდ, ფორმალური შემოსავალი მაინც შემოსავლის მთავარი წყაროა ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიებისთვის. საპირისპიროდ, ფიზიკური პირების 16.1%-ის რეალური შემოსავალი ფორმალურ შემოსავალს 2-ზე

მეტჯერ აღემატება. ეს ნიშნავს, რომ კრედიტორები საშუალოდ არაფორმალურ შემოსავალს ეყრდნობიან. და ბოლოს, კვლავ, 14.2%-ს აქვს საკმარისი შემოსავალი ვალის მომსახურებისთვის, მაგრამ მათი სადაგადასახო დეკლარაცია ცარიელია.

ამრიგად, მსესხებლების 14.2% სრულად არაფორმალურ სექტორს განეკუთვნება, ხოლო 16.1% - ძირითადად არაფორმალურს. ამდენად არაფორმალურ სექტორში ჯამურად შერჩევის 30.3% შეიძლება ვივარაუდოთ. მსესხებლების დამატებით 11.6% შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს არაფორმალურად იღებს. ამრიგად, 30.3% შეიძლება მინიმუმადაც კი ჩაითვალოს.

კიდევ ერთი ანალიზი, რაც შეიძლება გაკეთდეს, არის შეფასების გამეორება სხვადასხვა შემოსავლის კატეგორიის მსესხებლების მიხედვით (იხ. ცხრილი 3). როგორც ჩანს, შინამეურნეობები, რომლებიც საშუალოზე ნაკლებ შემოსავალს (2000 ლარს) იღებენ, უფრო მეტად არიან ჩართული ჩრდილოვან ეკონომიკაში.

მეურნეობები, რომლებიც საშუალოზე ნაკლებ შემოსავალს (2000 ლარს) იღებენ, უფრო მეტად არიან ჩართული ჩრდილოვან ეკონომიკაში.

ცხრილი 3. ძირითადად არაფორმალური შემოსავლის მიმღები მსესხებლების წილი შემოსავლის ზომის მიხედვით

შემოსავალი	არაფორმალური შემოსავლის წილი
<2,000 ლარი	27.3%
>2,000 ლარი	11.4%
სულ	16.1%

წყარო: ავტორის გაანგარიშებები.

რომ შევაჯამოთ, მიკრომონაცემების გამოყენება უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა შედარებით ზუსტად შეფასდეს შინამეურნეობების არაფორმალური შემოსავლები. მიღებული შედეგი – 30.3% ძალიან ახლოსაა საქსტატის მიერ დადგენილ არაფორმალური დასაქმების მაჩვენებელთან (29.1%) და ბევრად დაბალია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ შეფასებასა (56%) და მსოფლიო ბანკის მკვლევარების მოდელირებით მიღებულ (58-62%) არაფორმალური ეკონომიკის წილზე.


რამდენიმე კვლევა, რომელიც ზომავს არაფორმალურობის აღქმას.

პირველი კვლევა ტარდება The World Value Survey-ს მიერ, სადაც რესპონდენტებს უსვამენ კითხვას, შეუძლიათ თუ არა გადასახადების დამალვის მორალური გამართლება, პასუხები მერყეობს 1-დან (არასდროსაა გამართლებული) 10-მდე (ყოველთვის გამართლებულია). ქვეყნის დონეზე საშუალო პასუხები გამოიყენება არაფორმალურობის (ან საგადასახადო მორალის) მიმართ დამოკიდებულების საზომად. უფრო მაღალი საშუალო მაჩვენებელი ქვეყნის დონეზე მიუთითებს, რომ ადამიანები გადასახადების დამალვას უფრო გამართლებულად მიიჩნევენ. საინტერესოა, რომ საქართველოს შედეგები (დიაგრამა 8) უფრო ახლოსაა განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებთან, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი დაბალია.

დაკავშირებული სტატისტიკა, რომელიც მიგვანიშნებს არაფორმალურობის მასშტაბებზე

იმის შესაფასებლად, თუ რამდენად ობიექტურად ასახავს ზემოაღნიშნული დასკვნა რეალურ სურათს, შესაძლებელია რამდენიმე დამატებითი მაჩვენებლის გაანალიზება. კერძოდ, არსებობს

დიაგრამა 8. გამოკითხვა: შეიძლება თუ არა გადასახადების დამალვის გამართლება?




წყარო: The World Value Survey.

მეორე კვლევას მსოფლიო ბანკი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ატარებს, სადაც ფირმებს ეკითხებათ, წარმოადგენენ თუ არა არაფორმალური კონკურენტები მათი ბიზნეს საქმიანობისთვის გამოწვევას. კვლავ, საქართველოს შემთხვევაში, ასეთი ფირმების პროცენტული მაჩვენებელი 14%-ს შეადგენს,

რაც მიუთითებს, რომ მცირე ბიზნესები არ არიან შეშფოთებულნი ბაზარზე კონკურენტების არაფორმალური საქმიანობით. ეს კი შესადარი ქვეყნების საშუალო მაჩვენებლების ფონზე ჩრდილოვანი ეკონომიკის პოტენციურად დაბალ დონეზე მეტყველებს.

დიაგრამა 9. ფირმების წილი, რომლებიც კონკურენტების არაფორმალური საქმიანობის პრაქტიკას გამოწვევად მიიჩნევენ



წყარო: World Bank Enterprise Surveys.

დასკვნა

ჩრდილოვანი ეკონომიკის შესწავლის ხანგრძლივი ისტორიისა და კარგად დამკვიდრებული მეთოდოლოგიების მიუხედავად, საქართველოში არაფორმალური ეკონომიკური აქტივობების შეფასებების მაღალი დონე ბევრ კითხვას იწვევს.

შინამეურნეობების ფაქტობრივი და ფორმალური შემოსავლის უნიკალური მიკრომონაცემების ალტერნატიული მეთოდით ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში შინამეურნეობების შემოსავლის დაახლოებით 30% არაფორმალურად გენერირდება. ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ზოგიერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბის შეფასება, რომელიც ბევრად ალემატება ჩვენს მიერ დადგენილ დონეს, გაზვიადებულია.

არაფორმალური ეკონომიკის საერთო ზომის შესაფასებლად საჭიროა დამატებითი, უფრო კომპლექსური კვლევა, თუმცა, მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ ამ მაჩვენებლით საქართველო, სავარაუდოდ, ახლოსაა განვითარებულ ქვეყნებთან.

მიუხედავად ამისა, არაფორმალურობის არსებული დონე კვლავ გამოწვევად რჩება. ჩრდილოვანი აქტივობების შემცირება ხელს შეუწყობს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და კეთილდღეობას. ამასთან, არაფორმალური აქტივობის შემცირება კეთილდღეობის გაუმჯობესებას მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიწვევს, თუ ის ეფექტიანად გადავა ფორმალურ ეკონომიკაში. მხოლოდ არაფორმალური შემოსავლის შეზღუდვამ შესაძლოა მხოლოდ საერთო შემოსავლები შეამციროს და საბოლოოდ კონტრპროდუქტიული აღმოჩნდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

საქსტატი (2024) დაუკვირვებადი დამატებული ღირებულების წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp> (წვდომა: 2025 წლის 30 ოქტომბერი).

Breusch, V. (2016) 'Estimating the underground economy using MIMIC models', *Journal of Tax Administration*, 2(1), pp. 1–15.

Dallago, B. (1990) *The underground economy and the black labor market*. Dartmouth, UK: Dartmouth Publishing.

De Soto, H. (1989) *The other path: the economic answer to terrorism*. New York: Harper Perennial.

Dell'Anno, R., Ana, A. and Davidescu, A. (2019) 'Estimating the shadow economy and tax evasion in Romania: a comparison of different estimation approaches', *Economic Analysis and Policy*, 63, pp. 130–149.

Elgin, C., Kose, M., Ohnsorge, F. and Yu, S. (2021) *Understanding informality*. CERP Discussion Paper No. 16497. Centre for Economic Policy Research.

Goudarzi, M. and Mittone, L. (2023) 'Shrinking the shadow economy: experimental insights into the role of financial development', *Journal of Behavioral and Experimental Economics*, 107, pp. 1–12.

Günther, I. and Launov, A. (2012) 'Informal employment in developing countries: opportunity or last resort?', *Journal of Development Economics*, 97(1), pp. 88–98.

Hajilee, M. and Niroomand, F. (2019) 'On the link between financial market inclusion and trade openness: an asymmetric analysis', *Economic Analysis and Policy*, 62, pp. 373–381.

Hart, K. (1973) 'Informal income opportunities and urban employment in Ghana', *Journal of Modern African Studies*, 11(1), pp. 61–89.

Hussmanns, R. (2005) *Measuring the informal economy: from employment in the informal sector to informal employment*. Working Paper No. 53. Geneva: International Labour Organization.

International Labour Organization (ILO) (2004) *Employment in the informal economy in the Republic of Moldova*. Geneva: ILO.

- International Labour Organization (ILO) (2018) *Informality and non-standard forms of employment*. Buenos Aires: ILO.
- International Finance Corporation (IFC) (2020) *Georgia: From transition to transformation – a country private sector diagnostic*. Washington, DC: IFC.
- International Monetary Fund (IMF) (2024) *Informality in the Georgian economy*. Selected Issues Paper. Washington, DC: IMF.
- International Monetary Fund (IMF) (2020) *Fiscal policies for Paris Club agreements with non-comparable creditors*. IMF Policy Paper. Washington, DC: IMF.
- Khuong, N.V., Shabbir, M.S., Sial, M.S. and Khanh, T.H.T. (2021) 'Does informal economy impede economic growth? Evidence from an emerging economy', *Journal of Sustainable Finance & Investment*, 11(2), pp. 103–122.
- MacAfee, K. (1980) 'A glimpse of the hidden economy in the national accounts', *Economic Trends*, pp. 15–21.
- Medina, L. and Schneider, F. (2019) *Shedding light on the shadow economy: a global database and the interaction with the official one*. CESifo Working Paper No. 7981.
- Schneider, F. (2005) 'Shadow economies around the world: what do we really know?', *European Journal of Political Economy*, 21(4), pp. 598–642.
- Schneider, F. and Enste, D.H. (2002) *The shadow economy: an international survey*. Cambridge: Cambridge University Press.
- United Nations Economic Commission for Africa (UNECA) (2008) *Informal sector: definition, concepts and weighting in African economies*. Addis Ababa: UNECA.
- Vidović, N. and Ritan, V. (2022) 'New approach to estimating macroeconomic determinants of informal employment', *Sciendō*, 10(2), pp. 95–108.
- World Bank (2017) *Georgia country economic update: trade and integration*. Washington, DC: World Bank.
- World Bank (2019) *World Development Report 2019: the changing nature of work*. Washington, DC: World Bank.
- World Bank (2024) *Informal Economy Database*. Available at: <https://www.worldbank.org/en/research/brief/informal-economy-database> (Accessed: 20 November 2026).
- Zi, Y., Qureshi, A. and Al-Faryan, M. (2022) 'Financial inclusion, the shadow economy and economic growth in developing economies', *Structural Change and Economic Dynamics*, 62, pp. 123–136.

საზედამხედველო “BOTTOM-UP” სტრეს ტესტი, როგორც საბანკო სექტორის შოკების მიმართ მდგრადობის ანალიზის ინსტრუმენტი

ელენე ღვინიაშვილი, ალექსანდრა ერგუშიძე

ანოტაცია

წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს ერთ-ერთი ინსტრუმენტი — ზედამხედველობის “Bottom-up” სტრეს ტესტი. იგი საშუალებას იძლევა დროულად გამოვლინდეს და შეფასდეს როგორც ცალკეულ ბანკში, ისე მთლიანად ფინანსურ სექტორში არსებული რისკები, რაც ხელს უწყობს მაკროპრუდენციული პოლიტიკის მომავალზე ორიენტირებულობას და უზრუნველყოფს პრევენციული მოქმედების შესაძლებლობას. 2025 წლის სტრეს ტესტის შედეგები ცხადყოფს, რომ საბანკო სისტემა მთლიანობაში სტაბილურია და მედეგი მძიმე, თუმცა დაბალი ალბათობის სტრესების მიმართ. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ სტრეს ტესტის სცენარის რეალიზების შემთხვევაში, საქართველოს საბანკო სისტემა შეძლებს სტაბილურად ფუნქციონირებას, დაკრედიტების მკვეთრი შეზღუდვის გარეშე.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული ბანკი, “Bottom-up” სტრეს ტესტი, სტრეს ტესტის ბუფერი, ევროპის ცენტრალური ბანკი, ინგლისის ცენტრალური ბანკი, ფედერალური სარეზერვო სისტემა, ფინანსური სტაბილურობა, საკრედიტო რისკი, საპროცენტო რისკი.

შესავალი

საბანკო სისტემის მდგრადობის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ადეკვატური

კაპიტალის ბუფერებია, რაც საშუალებას აძლევს საბანკო სექტორს დაკრედიტების მკვეთრი შეზღუდვის გარეშე შეძლოს ეკონომიკური შოკების გადატანა (Schroth, 2019). ემპირიული ანალიზი ცხადყოფს, რომ მდგრადი საბანკო სისტემის შემთხვევაში ეკონომიკური კრიზისის სიღრმე და სიმწვავე შედარებით ნაკლებია, განსაკუთრებით ისეთი ტიპის ფინანსურ სისტემაში სადაც საბანკო სექტორი მთავარ მოთამაშეს წარმოადგენს (Bois-say, 2016).

უნდა აღინიშნოს, რომ მდგრადი საბანკო სისტემა მნიშვნელოვანწილად მომავალზე ორიენტირებული მაკროპრუდენციული პოლიტიკის შედეგია. რისკების წინასწარ განსაზღვრა და მათ შესამცირებლად შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება სექტორს უფრო სტაბილურს და შოკების მიმართ მედეგს ხდის (Ampudia, 2021). სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ საზედამხედველო “Bottom-up” (ქვემოდან ზემოთ) სტრეს ტესტი, რომელიც გულისხმობს ცენტრალური ბანკის მიერ თითოეული კომერციული ბანკისთვის ერთი და იგივე მაკროეკონომიკური სცენარის შეთავაზებას, რომლის მიხედვითაც ბანკები თავად, მათი მსესხებლების მახასიათებლების გათვალისწინებით, აფასებენ აღნიშნული სცენარით მოვლენების განვითარების გავლენას ბანკის მდგრადობაზე და შედეგებს უზიარებენ რეგულატორს. ეს საბანკო სისტემის მთავარი გამოწვევების იდენტიფიკაციისა და მიტიგაციის შე-

საძლო გზების ძიების საშუალებას აძლევს როგორც მარეგულირებელს, ისე თავად ბანკს (ECB, 2025). შესაბამისად, მძიმე სტრესის მიმართ მოწყვლადი ბანკების გამოვლენა და მათთვის, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი კაპიტალის ბუფერის დაწესება, საბანკო სისტემას საერთო ჯამში უფრო სტაბილურს გახდის.

საქართველოს ეროვნული ბანკი საზედამხედველო სტრეს ტესტის სავარჯიშოს 2018 წლიდან ატარებს. მისი მეთოდოლოგია და დაშვებები ყოველწლიურად იხვეწება და ახლდება, რათა შესაბამისობაში იყოს არსებულ გამონგებებთან. იმ შემთხვევაში, თუ სტრეს ტესტის სავარჯიშოს საბოლოო შედეგების ანალიზით გამოვლინდა, რომ რომელიმე კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად უარესდება, შესაძლებელია კაპიტალის მოთხოვნა ინდივიდუალურად გაიზარდოს. აღნიშნული დამატებითი კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება იმგვარად, რომ საზედამხედველო სტრეს-ტესტში მოცემული სცენარებისა და რისკ-ფაქტორების რეალიზების შემთხვევაში, დანაკარგების წარმოშობის მიუხედავად, უზრუნველყოს ბანკის დაცვა საზედამხედველო დეფოლტისაგან და ფინანსური სერვისების შეუფერხებლად მიწოდება.

სტრეს ტესტისას “Bottom-up” მეთოდის გარდა, გამოიყენება “Top-down” (“ზემოდან-ქვემოთ”) მიდგომა, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ჩარჩოს და მაკროეკონომიკური და ბანკების ფინანსური ცვლადების ურთიერთკავშირის მოდელზე დაყრდნობით ხორციელდება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ “Bottom-up” სტრეს ტესტისგან განსხვავებით, “Top-down” ტესტის საშუალებით შესაძლებელია სისტემის დონეზე არსებული მოწყვლადობების და პოტენციური რისკების მეორადი ეფექტების შეფასება, რაც ცენტრალურ ბანკს და ბაზრის მონაწილეებს უადვილებს მთლიანი სურათის დანახვას. “Bottom-up” სტრეს ტესტი კი სისტემის ანალიზში, გარკვეულწილად, ბანკების სპეციფიკურობის გათვალისწინების საშუალებას იძლევა. შეიძლება ითქვას, რომ ეს

ორი სავარჯიშო ერთმანეთის შემავსებელია (Bisio and Fiori, 2019).

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მსგავსად, ეროვნული ბანკი “Bottom-up” სტრეს ტესტთან ერთად, “Top-down” სტრეს ტესტის სავარჯიშოსაც ატარებს. აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით, შესაძლებელია ბანკების დიდ შოკებთან გამკლავების უნარის შეფასება. სტრეს ტესტების შედეგები ეროვნული ბანკის საიტზე ქვეყნდება, ხოლო ინტერაქტიული პლატფორმის მეშვეობით, დაინტერესებული მხარე თავად შეძლებს თითოეული მაკროეკონომიკური ცვლადისთვის ჰიპოთეტური სტრესული სცენარის არჩევასა და კომერციული ბანკის კაპიტალის კოეფიციენტის დინამიკაზე დაკვირვებას.

საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა

“Bottom-up” სტრეს ტესტი, როგორც საზედამხედველო პოლიტიკის ინსტრუმენტი, ფართოდ გამოიყენება ცენტრალური ბანკების მიერ. სტრეს ტესტის ჩატარების მეთოდოლოგია და მიდგომები დამოკიდებულია ქვეყნის და მისი ფინანსური სისტემის თავისებურებებზე. ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე ცენტრალური ბანკის მიდგომას.

ევროპული ცენტრალური ბანკი (ECB) ევროპის საბანკო უწყებასთან (EBA) ერთად, ე.წ. “Constrained bottom-up” მიდგომას იყენებს. კერძოდ, კომერციული ბანკები თავის ფინანსურ მდგომარეობაზე სტრესის გავლენას საკუთარი შიდა მოდელებით აფასებენ, თუმცა ზედმეტად ოპტიმისტური შედეგების თავიდან ასაცილებლად და ბანკებს შორის შესადარისობის გასაზრდელად, სავარჯიშო სრულდება ECB-ის მიერ მიწოდებული სცენარებით, დაშვებით და მეთოდოლოგიის დეტალური გზამკვლევით. ჩატარებული სამუშაოს ხარისხი მკაცრად მოწმდება ECB-ისა და ევროპის საბანკო უწყების მიერ. სტრეს ტესტი მოიცავს საბაზრო, საოპერაციო და სუვერენულ რისკებს (European Central Bank, 2019). გარდა ამისა, ECB-ი სტატიკური საბალანსო უწყისის დაშვებას იყენებს, რაც იმას

გულისხმობს, რომ სტრეს ტესტის საპროგნოზო სამწლიანი პერიოდის განმავლობაში ბანკის საბალანსო უწყისის ზომა, კომპოზიცია და რისკის პროფილი არ იცვლება. სტრეს ტესტში მონაწილე ბანკების შერჩევა იმგვარად ხდება, რომ ამ პროცესმა სულ მცირე ევროკავშირის საბანკო სექტორის მთლიანი აქტივების 75 პროცენტი მოიცვას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ ECB სტრეს-ტესტების შედეგებს იყენებს ბანკების ზედამხედველობის მიმოხილვისა და შეფასების პროცესში (SREP). რაოდენობრივი შედეგები განაპირობებს პილარ 2-ის მითითების (Pillar 2 Guidance (P2G))¹ განსაზღვრას, რომელიც არ წარმოადგენს სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნას და სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. ხარისხობრივი შედეგებმა (მონაცემთა ხარისხი და რისკების მმართველობა) შეიძლება გავლენა მოახდინოს სავალდებულო პილარ 2-ის მოთხოვნაზე (P2R)². სტრეს ტესტები ასევე ქმნის ერთიან სტანდარტს ბანკების მდგრადობის შესადარებლად, აძლიერებს საბაზრო დისციპლინას და სხვა ზედამხედველობითი საქმიანობების დაგეგმვასა და განხორციელებასაც უწყობს ხელს.

ევროპული ცენტრალური ბანკის მსგავსად, ინგლისის ცენტრალური ბანკიც ატარებს “bottom-up” სტრეს ტესტს სისტემური ბანკებისთვის. თუმცა, ECB-თან შედარებით, აღნიშნული სტრეს ტესტი მოიაზრებს უფრო მძიმე და ხანგრძლივ ეკონომიკურ რეცესიას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გლობალურად. ECB-ის მსგავსად, ინგლისის ცენტრალური ბანკიც სტრეს ტესტების შედეგებს იყენებს იმისთვის, რომ შეაფასოს ბრიტანეთის საბანკო სისტემის მდგრადობა და მიიღოს გადაწყვეტილებები კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის შესახებ — როგორც მთელი სისტემისთვის, ისე ინდივიდუალური

ბანკებისთვის. სტრეს ტესტის შედეგების საფუძველზე ფინანსური პოლიტიკის კომიტეტი (Financial Policy Committee (FPC)) და პრუდენციული რეგულირების ორგანო (Prudential Regulation Authority (PRA)) აფასებენ, საკმარისია თუ არა კაპიტალის ბუფერები სტრესული სცენარის გასაძლევად და საჭიროა თუ არა მათი გამკაცრება ან შემსუბუქება. კერძოდ, შედეგები გამოიყენება სისტემურ დონეზე მოქმედი ინსტრუმენტების, მაგალითად კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის, და ბანკის სპეციფიკური ბუფერების, როგორიცაა PRA ბუფერი, განსაზღვრისთვის. ამ გზით სტრეს ტესტები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მაკროპრუდენციული პოლიტიკის ფორმირებაში (Bank of England, 2024-25).

ფედერალური სარეზერვო სისტემა, “Bottom-up” სტრეს ტესტისთვის, ECB-სა და ინგლისის ცენტრალური ბანკისგან განსხვავებით, სტანდარტიზებულ მიდგომას იყენებს. აღნიშნული გულისხმობს, რომ სავარჯიშოში მონაწილე ყველა ბანკისთვის საკრედიტო, წმინდა და საპროცენტო, საბაზრო და საოპერაციო რისკებზე სტრეს ტესტის შედეგების შეფასება ხორციელდება ერთიანი, ფედერალური სარეზერვო სისტემის (FED) მიერ შემუშავებული მოდელით. ზოგადად, სტანდარტიზებული მიდგომა უზრუნველყოფს ბანკებს შორის შესადარისობას და იძლევა სისტემაზე სტრესის გავლენის აგრეგირების საშუალებას (Orlov, Zryumov and Skrzypacz, 2023). თუმცა, ბანკის სპეციფიკურობების გათვალისწინება ნაკლებად ხდება. დამატებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინგლისის ცენტრალური ბანკის მსგავსად, FED-ი სტრეს ტესტს ატარებს დიდი, სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკებისთვის. ხოლო იმ ბანკებს, რომელთა ფინანსური მდგომარეობა ამ სავარჯიშოს ჩატარების შედეგად მკვეთრად უარესდებათ, პირველად კაპიტალზე დამატებითი მოთხოვნა უწესდებათ

1. წარმოადგენს კაპიტალის სარეკომენდაციო დონეს, რომელიც ასახავს საზედამხებველო მოლოდინს კაპიტალის დონის შესახებ, რომელსაც ბანკი სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნების ზემოთ უნდა ფლობდეს.

2. წარმოადგენს სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნას, რომელიც თითოეული ბანკის საზედამხებველო მიმოხილვისა და შეფასების პროცესის (SREP) საფუძველზე განისაზღვრება.

სტრეს ტესტის ბუფერის სახით. ამასთან, შეიძლება შეეზღუდოს კაპიტალის განაწილებაც. დამატებით, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ცენტრალური ბანკები, ისე FED-ი, ატარებს Top down სტრეს ტესტის სავარჯიშოსაც, ფინანსური სისტემის გამონვევებზე უფრო ფართო და აგრეგირებული სურათის მისაღებად.

მეთოდოლოგია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეროვნული ბანკი სტრეს ტესტის სავარჯიშოსთვის სტანდარტიზებულ მიდგომას იყენებს. შესაბამისად, ბანკებს გარკვეული ვადა ეძლევათ, რათა მათთან გაზიარებული Excel-ის სტანდარტული ფორმები თავისი ფინანსებისა და მსესხებლების მონაცემებით შეავსონ და წარადგინონ ეროვნულ ბანკში (სებ-ი 2019).

სტრეს ტესტის სავარჯიშოში საკრედიტო რისკების შეფასება შედგება ორ ძირითადი ეტაპისგან. პირველი ეტაპი მოიცავს საკრედიტო პორტფელის დაყოფას ხუთ კატეგორიად (კორპორატიული პორტფელი, მცირე/საშუალო ბიზნესის პორტფელი, მიკრო ბიზნესის პორტფელი, საცალო პორტფელი და ოქროს ლომბარდული პორტფელი). კორპორატიული და მცირე/საშუალო ბიზნესის პორტფელის ერთი ნაწილი, რომელიც მოიცავს საზედამხედველო კაპიტალის 1%-ზე მეტი ვალდებულებების მქონე მსესხებელთა ჯგუფებს მთლიანად ექვემდებარება სტრესს, მეორე ნაწილი კი - შერჩევით. შერჩევით შეფასებული პორტფელის შედეგები ვრცელდება მთლიან შესარჩევ პორტფელზე.

პირველ ეტაპზე ხდება პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის განაკვეთის განსაზღვრა. რეზერვის განაკვეთად აიღება მაქსიმალური განაკვეთი ამავე პორტფელზე არსებულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთსა და საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერის შესაბამის განაკვეთს შორის.

მეორე ეტაპზე, ბანკების პორტფელი გადაითვ-

ლება დაგრძელვადიანების, გაუფასურების, აუთვისებელი ნაწილის ათვისების და პორტფელზე მიმართული სტრესების გათვალისწინებით. აღნიშნულის შედეგად დაითვლება ახალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და შესაბამისი რეზერვის განაკვეთი. სხვაობა პირველ და მეორე ეტაპებზე მიღებულ რეზერვის განაკვეთებს შორის წარმოადგენს სტრესის წმინდა ეფექტს. სტრესით გამონვეული ახალი რეზერვის მოცულობა გამოითვლება ზემოთ ხსენებული რეზერვის განაკვეთის გამრავლებით სტრესის შემდგომ სესხების მოცულობაზე.

რაც შეეხება საპროცენტო რისკს, საპროცენტო განაკვეთების ზრდის შედეგად ერთწლიან პერიოდებზე მიღებული მოგება/ზარალი გამოითვლება საპროცენტო გეპის გადაფასებიდან. ამასთან, სტატიკური საბალანსო უწყისის დაშვებიდან გამომდინარე, გაზრდილი საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები გამოითვლება როგორც მცურავ განაკვეთიანი, ისე იმ ფიქსირებული განაკვეთის მქონე აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც ამ ერთი წლის ვადაში იფარება, თუმცა ჩანაცვლდება იმავე ტიპის აქტივებითა და ვალდებულებებით.

დამატებით, მოგება-ზარალის ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, ხდება მისი ერთწლიანი პროგნოზირება, სტრესის ეფექტის კორექტირებების გათვალისწინებით. უკანასკნელში შედის ერთი მხრივ საკრედიტო და საპროცენტო რისკის ეფექტის, ხოლო მეორე მხრივ, გაცვლითი კურსის გაუფასურების, არა-საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების კორექტირება, აგრეთვე, უძრავი ქონების ფასების შემცირების ეფექტის ჩართვა.

ბოლო ეტაპზე, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რისკის ეფექტის გავლენა ფასდება საზედამხედველო კაპიტალზე. იმ შემთხვევაში, თუ მოცემული მკაცრი, მაგრამ შესაძლო სტრეს ტესტის ეფექტი რომელიმე კომერციული ბანკისთვის იმდენად მძიმე იქნება, რომ მკვეთრად გაუარესდება მისი ფინანსური მდგომარეობა,

ბანკს შესაძლოა დაუწესდეს დამატებითი მოთხოვნა კაპიტალზე სტრეს ტესტის ბუფერის სახით.

სტრეს ტესტის ჩატარების მეთოდოლოგია წლიდან წლამდე რადიკალურად არ იცვლება, თუმცა ხდება მისი დახვეწა და წინა სავარჯიშოს დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. უნდა აღინიშნოს, რომ 2025 წლის საზედამხედველო სტრეს ტესტის სავარჯიშოში მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა. კერძოდ, სტრეს ტესტის სავარჯიშოს მოდელი გადაეწყო იმგვარად, რომ თანხვედრაში ყოფილიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან (IFRS 9)³.

საზედამხედველო სტრეს ტესტის სცენარი და დაშვებები

2025 წელს, კომერციულმა ბანკებმა წარმოადგინეს მორიგი სტრეს ტესტის შედეგები, რომელმაც აჩვენა, რომ სისტემის დონეზე, საბანკო სექტორს ეკონომიკური შოკების გამკლავებისა და ბიზნეს ციკლის დადმავალ ფაზაში საკრედიტო აქტივობის გაგრძელებისთვის კაპიტალის საკმარისი ბუფერი აქვს და სისტემის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.

სცენარის მიხედვით, მაკროეკონომიკური და ფინანსური შოკის გამო გლობალურად ეკონომიკური აქტივობა ნელდება და ჩვენ სამეზობლო და ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში კი თავი იჩინა რეცესიამ. პარალელურად, უფასურდება ლარი და რისკის პრემიის ზრდის გამო იზრდება საპროცენტო

განაკვეთები. კერძოდ, სტრეს ტესტის ძირითად დაშვებებს წარმოადგენს:

- ეროვნული ვალუტის 40 პროცენტით გაუფასურება ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ვალუტების მიმართ;
- უძრავი ქონების აშშ დოლარში გამოხატული ფასების შემცირება 30 პროცენტით, ხოლო ლარში - 2 პროცენტით;
- აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სპრედის 1.5-დან 2 პროცენტამდე ზრდა;
- ეროვნული ვალუტის აქტივებზე საპროცენტო განაკვეთების მატება 3 პროცენტული პუნქტით, ხოლო ვალდებულებებზე - 5 პროცენტული პუნქტით ზრდა;
- უცხოური ვალუტის აქტივებსა და ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად 2 და 4 პროცენტული პუნქტით ზრდა;
- არასაპროცენტო შემოსავლების და ხარჯების 5 პროცენტული პუნქტით კლება;
- დასაქმებულთა რაოდენობის და შემოსავლების 5-5 პროცენტით მცირდება.

წინა სტრეს ტესტის სავარჯიშოსგან განსხვავებით, სადაც მხოლოდ ერთი სცენარი იყო, 2025 წლის სტრეს ტესტებში სექტორული ბრუნვები იცვლება სამი: საბაზისო, მსუბუქი და მძიმე სცენარების მიხედვით, სექტორების ციკლურობის გათვალისწინებით (იხ. ცხრილი 1). აღსანიშნავია, რომ საბოლოო შედეგი სამივე სცენარის შეწონვის შედეგად მიიღება. კერძოდ, 50% ენიჭება საბაზისო სტრესის სცენარს, ხოლო 25-25 პროცენტი მსუბუქ და მძიმე სტრეს სცენარებს (იხ. ცხრილი B.1).

3. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც არეგულირებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას, შეფასებას და გაუფასურებას.

ცხრილი 1. სტრეს ტესტების სცენარები

ცხრილი N1	ბრუნვის შემცირება		
რისკ სექტორი	საბაზისო სტრეს სცენარი	მსუბუქი სტრეს სცენარი	მძიმე სტრეს სცენარი
სახელმწიფო ორგანიზაციები	5.0%	2.5%	10.0%
საფინანსო ინსტიტუტები	10.0%	5.0%	20.0%
ლომბარდული სესხები (ოქროს ფასის შემცირების სტრესი) 20%	20.0%	15.0%	25.0%
უძრავი ქონების დეველოპმენტი	40.0%	20.0%	60.0%
უძრავი ქონების მენეჯმენტი	30.0%	20.0%	40.0%
სამშენებლო კომპანიები (არა დეველოპერები)	25.0%	15.0%	35.0%
სამშენებლო მასალების მოპოვება, წარმოება და ვაჭრობა	25.0%	15.0%	35.0%
სამომხმარებლო საქონლის ვაჭრობა	5.0%	2.5%	10.0%
სამომხმარებლო საქონლის წარმოება	5.0%	2.5%	10.0%
ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო პროდუქციის წარმოება და ვაჭრობა	35.0%	25.0%	45.0%
ფეხსაცმლის, ტანსაცმლის და ტექსტილის წარმოება და ვაჭრობა	5.0%	2.5%	10.0%
ვაჭრობა (სხვა)	5.0%	2.5%	10.0%
წარმოება (სხვა)	10.0%	5.0%	20.0%
სასტუმროები და ტურიზმი	30.0%	20.0%	40.0%
რესტორნები, ბარები, კაფეები და სწრაფი კვების ობიექტები	15.0%	7.5%	30.0%
მძიმე მრეწველობა	5.0%	2.5%	10.0%
ბენზინგასამართსადგურებსა და ბენზინის იმპორტ. გაცემული სესხები	5.0%	2.5%	10.0%
ენერგეტიკა	5.0%	2.5%	10.0%
ავტომობილების დილერები	35.0%	25.0%	45.0%
ჯანდაცვა	5.0%	2.5%	10.0%
ფარმაცევტიკა	5.0%	2.5%	10.0%
ტელეკომუნიკაცია	5.0%	2.5%	10.0%
სერვისი	5.0%	2.5%	10.0%
სოფლის მეურნეობის სექტორი	5.0%	2.5%	10.0%
სხვა (ჯართის ბიზნესის ჩართვით)	5.0%	2.5%	10.0%
დეველოპერული კომპანიების დებიტორული დავალიანება	30.0%	20.0%	40.0%

წყარო: წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.


შედეგები

სტრუქტურის სავარჯიშოს შედეგებზე საკრედიტო ნაწილის სტრუქტურა მნიშვნელოვანი ეფექტი იქონია. კერძოდ, ამის შედეგად, სისტემისთვის ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით იზრდება 298 მლნ-დან 4.7 მლრდ ლარამდე, ხოლო სესხების შესაძლო დანაკარგების წილი მთლიან პორტფელში 0.5 პროცენტიდან 6.4 პროცენტამდე იზრდება (იხ. დიაგრამა 1).

ამასთან, დამატებით მოგება/ზარალზე აისახება სცენარის დაშვებებიდან გამომდინარე სხვადასხვა ტიპის ეფექტები:

- გაცვლითი კურსის გაუფასურების დაშვებიდან გამომდინარე, ხდება ბანკების სავალუტო პოზიციის გადაფასება. სტრუქტურის თარიღისთვის საბანკო სისტემა მცირე მოკლე პოზიციით ფუნქციონირებდა, შედეგად, გაცვლითი კურსის 40 პროცენტიანმა გაუფასურებამ 8.0 მლნ ლარამდე ზარალი გამოიწვია;
- მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს საპროცენტო მარჟის 2 პროცენტული პუნქტით გაუარესების დაშვებას. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების დაშვებით მოხდა მოგება/ზარალის გამოთვლა საპროცენტო გაპის გადაფასებიდან ერთნაირ პერიოდზე. გაზრდილი საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები გადაითვალა როგორც მცურავ, ისე ფიქსირებულ განაკვეთთან აქტივებსა და ვალდებულებებზე. გათვალისწინებული იქნა ჰეჯირების ეფექტი საპროცენტო გეპის იმ ნაწილზე, რომელსაც სტრუქტურა ეხება. აღნიშნულის შედეგად, ჯამურად ამ კომპონენტში საბანკო სექტორმა 1.1 მლრდ ლარის ოდენობით ზარალი მიიღო;
- არასაპროცენტო შემოსავლები და ხარჯები იცვლება სცენარით გათვალისწინებული 5 პროცენტიანი კლების შესაბამისად. ამასთან, დამატებით გავლენას ახდენს უძრავი ქონების ფასის ვარდნის სტრუქტურა, რომელიც ბანკის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონებისა და დასაკუთრებული ქონების ღირებულების ვარდნაში აისახება.

დიაგრამა 1. სესხებზე შესაძლო დანაკარგების ზარალის წილი პორტფელში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ყველა ბარალის შეჯამების შედეგად, სტრესის შემდგომ სცენარში მნიშვნელოვნად მცირდება საბანკო სისტემის მომგებიანობა. სისტემის ბარალი სტრესის შემდეგ საანგარიშო წელში 0.6 მლრდ ლარს აღწევს, მაშინ როდესაც


სტრესამდე სისტემა 3.1 მლრდ ლარის წმინდა მოგებით ოპერირებდა. სტრესის შემდეგ მცირდება წმინდა საპროცენტო მარჟაც 5.0-დან 4.1 პროცენტამდე.

დიაგრამა 2. მოგების დეკომპოზიცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

დიაგრამა 3. მომგებიანობის მაჩვენებლები



შენიშვნა: ROE - წმინდა მოგება შეფარდებული წლის საშუალო სააქციო კაპიტალთან, ხოლო ROA - წმინდა მოგება შეფარდებული წლის საშუალო აქტივებთან.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.


სტრუქტურის ტექსტის ბანკის კაპიტალზე გავლენის შეფასება მიზნად ისახავს, რომ საბანკო სექტორი სრული მზადყოფნით შეხვედეს დაბალი ალბათობის, თუმცა მძიმე სტრუქტურის და არ დაარღვიოს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები. კაპიტალის კონსერვაციის და კონტრცირების ბუფერების მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს საბანკო სისტემაში კაპიტალის საკმარისი ოდენობით არსებობა, რაც დაეხმარება ბანკებს შთანთქმონ სტრუქტურის პირობებში წარმოშობილი სისტემური დანაკარგები. ამასთან, არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი საბანკო სისტემას დოლარიზაციით გამოწვეული სისტემური რისკის შემცირებაში ეხმარება.

შესაბამისად, კაპიტალი, რომელიც ბანკს სჭირდება სტრუქტურის გასამკლავებლად ნაწილობრივ უკვე გათვალისწინებულია კაპიტალის კონტრცირების, კონსერვაციისა და არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერებით. იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული კაპიტალის ორმაგი მოთხოვნა, წმინდა სტრუქტურის ბუფერის გამოთვლი-

სას სტრუქტურის პირობებში საჭირო კაპიტალს აკლდება როგორც კონტრცირების და კონსერვაციის ბუფერები, ისე უცხოურ ვალუტაში არაჰეჯირებული საკრედიტო რისკის ბუფერის მესამედის ოდენობის კაპიტალის მოთხოვნა.

მოცემული სცენარის მიხედვით, ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად მცირდება 16.9 პროცენტიდან 14.2 პროცენტამდე, ხოლო ცალკეულ ბანკებს დაკრედიტების შესაძლებლობა ეზღუდებათ (იხ. დიაგრამა 4). თუმცა, სტრუქტურის ტექსტის ჩატარების თარიღისთვის სისტემა ჯამურად კაპიტალის საკმარისი ბუფერებით ფუნქციონირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სისტემისთვის არსებული ბუფერები და სტრუქტურის დროს პოტენციურად გამოთავისუფლებადი კონსერვაციის და კონტრცირების ბუფერები, ასევე უცხოურ ვალუტაში არაჰეჯირებული საკრედიტო რისკის ბუფერის მესამედი, საკმარისი იქნება სტრუქტურის შედეგად მიღებული დანაკარგების დასაფარად⁴. შესაბამისად, კაპიტალის ჰიპოთეტური დანაკარგები სისტემის სტაბილურობას და მდგრადობას საფრთხეს არ უქმნის.

დიაგრამა 4. კაპიტალის კოეფიციენტები



შენიშვნა: დაქვითულია კონსერვაციის, კონტრცირების და არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის მესამედი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4. აღნიშნული გაანგარიშებები ეფუძნება ძირითადი პირველადი კაპიტალის მონაცემებს.

დასკვნა

სტაბილური ფინანსური სისტემა ეკონომიკური კეთილდღეობის ქვაკუთხედი. ცენტრალური ბანკის, როგორც მისი მარეგულირებლის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას რისკების დროული იდენტიფიცირება და მათი პრევენცია წარმოადგენს. ამისთვის კი საჭიროა ფინანსურ სისტემაში არსებული მოწყვლადობები შეფასდეს როგორც ცალკეული ბანკის, ისე, აგრეგირებულად, მთელი სისტემის დონეზე. “Bottom-up” სტრეს ტესტის სავარჯიშო, “top-down”-თან სტრეს ტესტთან ერთად, საშუალებას იძლევა სისტემაში არსებული რისკები შეფასდეს როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე. ჩატარებული “Bottom-up” სტრეს ტესტის მიხედვით, ქართული საბანკო სისტემა სტაბილურია და მედეგი ნაკლებად სავარაუდო, თუმცა მძიმე ეკონომიკური სცენარების მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს ეროვნული ბანკი (2019) *სტრეს-ტესტების მეთოდური სახელმძღვანელო*. თბილისი: საქართველოს ეროვნული ბანკი.

საქართველოს ეროვნული ბანკი (2025) *ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2025*. თბილისი: საქართველოს ეროვნული ბანკი.

Ampudia, M., Lo Duca, M., Farkas, M., Pérez-Quiros, G., Pirovano, M., Rünstler, G. and Tereanu, E. (2021) *On the effectiveness of macroprudential policy*. ECB Working Paper No. 2559. Frankfurt am Main: European Central Bank.

Bisio, P. and Fiori, R. (2019) *Long-term fundamental changes to the EU-wide stress test*. Notes on Financial Stability and Supervision No. 14. Rome: Bank of Italy.

Boissay, F., Collard, F. and Smets, F. (2016) *Booms and banking crises*. BIS Working Paper No. 545. Basel: Bank for International Settlements.

European Central Bank (2019) *The ECB's approach to stress testing*. Macroprudential Bulletin No. 10. Frankfurt am Main: European Central Bank.

European Central Bank, Single Supervisory Mechanism (2025) *Stress test of euro area banks – final results*. Frankfurt am Main: European Central Bank.

Federal Reserve Board (2025) *Supervisory stress test methodology*. Washington, DC: Board of Governors of the Federal Reserve System.

Orlov, A., Zryumov, J. and Skrzypacz, A. (2023) ‘Stress testing and bank lending’, *Review of Financial Studies*, 36(11), pp. 4460–4501. doi: 10.1093/rfs/hhad040.

Schroth, J. (2019) *Macroprudential policy with capital buffers*. BIS Working Paper No. 771. Basel: Bank for International Settlements.

The Bank of England (2024) *The Bank of England's approach to stress testing the UK banking system (updated 2024)*. London: Bank of England.

The Bank of England (2025) *Key elements of the 2025 bank capital stress test*. London: Bank of England.

ინფორმაცია ავტორებისთვის

სტატიების სტრუქტურირების და წყაროების მითითების წესები

სტატიის სტრუქტურა

1. შესავალი
2. ლიტერატურის მიმოხილვა
3. თეორიული ნაწილი – ეკონომიკური მოდელი/თეორია, რომელსაც ეფუძნება სტატია
4. მონაცემების ანალიზი
5. შედეგები და შედეგების განხილვა
6. დასკვნა

სტატიის მოცულობა უნდა შეადგენდეს 2500-5000 სიტყვას.

წყაროების მითითების წესი (ჰარვარდის სტილი)

1. წყაროების მითითება ნაშრომის ტექსტში

როდესაც ნაშრომის ტექსტში გამოიყენება სხვა ავტორის/ავტორების/ორგანიზაციის ინფორმაცია, აუცილებლად უნდა მიუთითოთ ავტორების სახელები და გამოყენებული ნაშრომის პუბლიკაციის წელი. ეს ეხება როგორც პარაფრაზს (სხვისი აზრის/შედეგების საკუთარი სიტყვებით გადმოცემას), ისე ციტირებას (სხვისი ტექსტის უცვლელად გადმოტანას). აღნიშნული დეტალები უნდა განთავსდეს წინადადების ბოლოს,

მაგალითად: თუ ერთი ავტორია – (McCurley, 2012), თუ ორი ავტორია – (Brown and Taylor, 2021), ხოლო, თუ სამი ან მეტი – მიეთითება მხოლოდ პირველი ავტორი (Brown et al., 2021)

2. გამოყენებული ლიტერატურის სია

გამოყენებული ლიტერატურის სია არის ყველა იმ წყაროს ჩამონათვალი, რომელიც გამოყენებულია ნაშრომში.

a. წიგნების მითითება

წიგნების მითითებისას ბიბლიოგრაფიული დეტალები უნდა მოიცავდეს შემდეგს, ზუსტად ამ თანმიმდევრობით:

- ავტორ(ებ)ი – პიროვნებები ან ორგანიზაცია, ჯერ გვარები, შემდეგ სახელები;
- პუბლიკაციის წელი;
- სათაური (ქვესათაურის ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში), იტალიკით;
- პუბლიკაციის ადგილი;
- გამომცემელი.

მაგალითად: Smith, J. (2020) *Global economics*. London: Routledge.

b. პარაგრაფი წიგნში

- წიგნში პარაგრაფის მითითებისას ბიბლიოგრაფიული დეტალები უნდა მოიცავდეს შემდეგს, ზუსტად ამ თანმიმდევრობით:

- ავტორი - პიროვნებები ჯერ გვარი, შემდეგ სახელი;
- პუბლიკაციის წელი;
- პარაგრაფის სათაური;
- რედაქტორი - პიროვნება/პიროვნებები, ჯერ სახელი, შემდეგ გვარი;
- წიგნის სათაური, იტალიკით;
- პუბლიკაციის ადგილი;
- გამომცემელი;
- გვერდები.

მაგალითად: Green, T. (2018) 'Innovation in education'. In: Black, K. (ed.) *Modern learning theories*. 2nd edn. Oxford: Oxford University Press, pp. 55–70.

c. სტატიები გაზეთებისა და ჟურნალებიდან

ამ შემთხვევაში ბიბლიოგრაფიული დეტალები უნ და მოიცავდეს შემდეგს, ზუსტად ამ თანმიმდევრობით:

- ავტორ(ებ)ი;
- პუბლიკაციის წელი;
- სათაური;
- გაზეთის/ჟურნალის დასახელება იტალიკით;
- ტომის/გამოცემის ნომერი;
- თვე და რიცხვი (გაზეთისთვის) ან თვე/კვარტალი (ჟურნალისთვის), თუ არ არის ტომის/გამოცემის ნომერი;
- გვერდი.

მაგალითად: Taylor, A. and Brown, M. (2019) 'Climate change and agriculture', *Journal of Environmental Studies*, 45(3), pp. 215–230.

d. ინფორმაცია ინტერნეტიდან

ამ შემთხვევაში ბიბლიოგრაფიული დეტალები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ავტორ(ებ)ი ან ორგანიზაცია, პასუხისმგებელი ვებ-გვერდზე;
- წელი, თუ თარიღი არ არის, ჩასვით (no date);
- ვებ-გვერდის/დოკუმენტის სათაური იტალიკით ;
- ხელმისაწვდომია, ბმული (ლინკი);
- თარიღი, როდესაც პირველად ეწვიეთ ამ გვერდს - დღე/თვე/წელი.

მაგალითად: World Health Organization (2022) *Mental health and COVID-19*. Available at: <https://www.who.int/mental-health-covid> (Accessed: 30 April 2025).

National Statistics Office of Georgia (2023) *Demographic data of the population*. Available at: <https://www.geostat.ge/> (Accessed: 30 April 2025).



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საქართველო, თბილისი 0114
ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1
monetaryeconomics@nbg.gov.ge
www.nbg.gov.ge